

მარინა ლამენია



მედიაბიბლიოგრაფია — მოკლე ცნობარი

(პრესა, პოლიგრაფია, გამომცემლობა, ფოტოგრაფია.
ჟურნალისტიკები, გამომცემლები,
პოლიგრაფისტები, ფოტოგრაფები)

„ცნობის ფურცელი“
1896 წ.

მარინა ღამენია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ.

„ხალოვნებისა და ხალხურის
განვითარების ცენტრი“ —

მედიაოჯახი (საქართველოს მასშტაბისა
და პოლიგრაფიის ოჯახი)



მედიებიტილოგრაფია — მოქლეთ ცნობარი

(პრესა, პოლიგრაფია, გამოცემლობა, ფოტოგრაფია,
ჟურნალისტები, გამოცემლები,
პოლიგრაფისტები, ფოტოგრაფები)

„ცნობის ფურცელი“
1896 წ.



გამომცემლობა „ქინჯასალი“
თბილისი 2023



მარინე დამენია — ავტორ-შემდგენელი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს მედიაპედაგოგის დამფუძნებელი

MARINE DAMENIA — Author-compiler Honored journalist of Georgia, founder of Media Museum of Georgia

МАРИНЕ ДАМЕНИА — автор-составител, Заслуженный журналист Грузии, основатель Музея СМИ Грузии



ნესტან ფიფია — რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; შოთა მესხიას სახ. ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

NESTSN FIFIA — Editor, Doctor of Philology, Shota Meskhya State University Associate Professor

НЕСТАН ПИПИА — РЕДАКТОР, Доктор Филологии, Ассоциированный Профессор Гос. Университета им. Шота Месхия



მურმან თავდიშვილი — სპეც. რედაქტორი, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დ. აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი

MURMAN TAVDISHVILI — special editor Professor of Technical University of Georgia, laureate of Davit Agmashenebeli Prize

МУРМАН ТАВДИШВИЛИ — Спец. Редактор, Доктор Филологии, Профессор, Лауреат премии по имени Д. Агмашенебели

© მ. დამენია, 2023

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-647-8

ს ა რ ჩ ე მ ო

რედაქტორისაგან — შესაკრებელი „ცნობის ფურცლისა“	7
წინასიტყვაობა — მედიანობლიოგრაფია	10
Assembly of „Tsnobis Purtseli“ („Notification Sheet“)	12
Mediabibliography	15
Сборник „Цнобис пурцели/Листок известий“	17
Медиабиблюография	20
„ცნობის ფურცელი“	22

გ ა ზ ე თ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემლებისა და უმთავრესი თანამშრომლების ბიოგრაფიები

ვალერიან გუნია	27
ალექსანდრე ჭყონია	34
ალექსანდრე ჯაბადარი	42
გიორგი ლასნიშვილი	50
არჩილ ჯორჯაძე	55
გიორგი ზდანოვიჩი	59
სამსონ ფირცხალავა	62
ვრიგოლ რცხილაძე	69
ვრიგოლ გველეხიანი	72
გიორგი დეკანოზიშვილი	75
კიტა აბაშიძე	81
ზაქარია ჭიჭინაძე	89

„მ. შარაძე და ამხ. სტამბა“

მ. შარაძე და ამხ. სტამბა	92
მაქსიმე შარაძე	99
ექვთიმე კერესელიძე	110

მეფიაბიბლიოგრაფია
ბ ა ზ ე თ ე ბ ი

ცნობის ფურცელი -----124
 იგერია -----135
 კავალი -----153
 მეურნე, სამეურნეო გაზეთი -----160
 ქუთაისის გაზეთის საქმე -----163
 ბექდგთი საქმის გამოფენა -----163
 КАВКАЗЪ -----164
 КАЗБЕКЪ -----188
 КАСПІЙ -----189
 МИРОВЫЕ ОТГОЛОСКИ -----203
 НЕДЪЛЯ, КНИЖКИ НЕДЪЛИ, РУСЬ,
 ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЛИСТОКЪ -----207
 НОВОСТИ, ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ -----218
 НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ -----229
 НОРЪ-ДАРЪ -----239
 ПЕТЕРБУРГСКЪЯ ВѢДОМОСТИ -----243
 РОДИНА -----253
 СЫНЪ ОТЕЧЕСТВА -----264
 ТЕАТРАЛНИЙ УКАЗАТЕЛ -----270
 ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ -----270
 ЮРИДИЧЕСКАЯ ГАЗЕТА -----274
 შუაკი -----276

ქ უ რ ნ ა ლ ე ბ ი

მეურნე -----281
 მთაბზე -----283
 ჯეჯილი -----287
 ВСЕМИРНАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ -----289
 ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ -----294
 НИВА -----304

ПРИРОДА И ЛЮДИ ————— 313
 СЪВЕРНЫЙ ВЪСТНИКЪ ————— 322

ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ე ბ ო

ახალი მკითხველი ————— 332
 გამომცემელთა კინკლაობა ————— 333
 ქართული სტამბა კავკავში ————— 334
 რკინიგზის სტამბა ————— 334
 თბილისის საზოგადოების სომხური წიგნების გამომცემლობა ————— 335
 შუგალოვის სტამბა ————— 335
 თრითლე სიტყვა ქართული წიგნების გამოცემის გამო ————— 336

ქ უ ო ნ ა ლ ო ს ტ ე ბ ო

გიორგი საძაგლიშვილი (მწერლობაში „ივერიელი“) ————— 345
 ზოილის მოქცევა ————— 346
 ქართული გამოცემა წიგნისა „კრწანისის ბრძოლის 100-წლის თავის გამო“ ————— 347
 ბორთხინის გარდაცვალება ————— 348
 ვ. ვ. ველიძე ————— 349
 გაზეთ „ნოვოე თბოზრენესა“ და პლუჩევესკის საქმე ————— 349
 სასამართლოს მატთანე: „ნოვ. თბოზრ.“ რედაქტორის თავ. ვ. მ. თუმანიშვილისა და „ტფ. ლისტ.“ რედაქტორ ე. ი. ხუჩატუროვის საქმე ————— 350
 „გრაჟდანიის“ რედაქტორ თავ. მესხერსკისა და პოლოვცოვთა საქმე ————— 351
 სომხურ ჟურნალ „ტარაზის“ რედ. ტ. ნაზარიანცისა და სომხურისავე გაზეთის „არძაგანკის“ რედაქტორის ა. ითანისიანის სასამართლო საქმე ————— 353
 გაზეთ „კავკაზის“ რედ-გამომც. ბ-ნი მილიუტინისა და ამავე გაზეთის თანამშ. ბ-ნი ბანტაძის საქმე ————— 353
 სიმართლის აღდგენა ————— 356

ფ ო ტ ო ბ ო ო ა ფ ო ა

ფოტოგრაფიის გაუმჯობესება ————— 358

უ ც ხ ო მ თ ი ს პ რ ე ს ა

გაზეთი „Times“	361
გაზეთ „Welt“-ის რედაქტორის, გაზეთ „Burger“-ის რეპორტიორისა და სხვა ჟურნალისტების სასამართლო საქმე	362
გაზეთი მატარებელში	364
ინგლისური გაზეთების აკრძალვა ოსმალეთში	364
ედისონის ახალი გამოგონება	364
ცოტა რამ ავტორის შესახებ	366
A little about the author-compiler	368
Немного об авторе-составителе	370

შესაკრებელი „ცნობის ფურცლისა“

ჟურნალისტიკის, მედიის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებად მოი-
აზრება უძველეს რომა და ბიზანტიაში დამკვიდრებული ე.წ. ზეპირი
გაზეთის პრაქტიკა, ჩინური „დი ბაო“, თუმცა ისინი წინამორბედი უფრო
იყვნენ, ვიდრე კლასიკური სახე ჟურნალისტიკისა. პირველი ნაბეჭდი
ყოველკვირეული გაზეთი გამოვიდა 1609 წელს სტრასბურგში გერმან-
ულ ენაზე, ხოლო პირველი ჟურნალი — პარიზში 1665 წელს. მსოფ-
ლიოს უმეტეს ქვეყანაში პრესის ისტორია იწყება XIX საუკუნიდან.
საგულისხმოა, რომ საქართველოში გაზეთის შექმნის აუცილებლობა-
ზე მიუთითებდა უგანათლებულესი იოანე ბატონიშვილი მამამისის,
მეფე გიორგი XII-ისთვის, 1799 წელს წარდგენილ სახელმწიფო
მართვა-გამგეობის რეფორმატორულ პროექტში — (შარაძე — IX.
2001); პირველი ქართული პერიოდული ორგანო „საქართველოს გაზე-
თი“ (შემდგომში „ქართული გაზეთი“) გამოიცა 1819 -1820 წლებში.
გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1896 წლის 20
ოქტომბრიდან 1906 წლის 25 მარტამდე; 1901 წლიდან ჰქონდა იმავე
სახელწოდების ყოველკვირეული სურათებიანი დამატება.

XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკა ღირსეული, ძლიერი და
საინტერესოა. სილომონ დოდაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ილია, აკაკი,
ვაჟა... ამ მხრივ სულიერ-ცნობიერებად გარჯილთა თვით სახელთა
ხსენებაც ნათელ წარმოდენას ქმნის იმ პერიოდის ქართულ პუბლი-
ცისტიკაზე.

გაზეთ „ივერიის“ წინასიტყვაობაში (1877 წ. 3 მარტი) ილია ჭავ-
ჭავაძე წერდა, რომ წიგნიერების, ცოდნის გავრცელების საქმე-
ში ჟურნალ-გაზეთობა უდიდესი სასწავლებელია, რამდენადაც „იგი
საწყაოთა საზოგადოების გონებითის, ზნეობითის ძალისა და ნიჭისა,
იმოდენად იგი საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საქართვები-
სა“ (ილია ჭავჭავაძე — 231. 1986). ის აქვე აგრძელებს მსჯელობას
მკითხველისა და გაზეთის ურთიერთობაზე; რომ მიძიეა აღსრულება
მისისა სრულყოფილად და რომ „მაგ სიმძლეეშია ის საწყაოც, რომ-
ლითაც უნდა აიწყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა
მიუწყო მისთა მოღვაწეთა შენი გულითადი თანაგრძნობა“ (ილია
ჭავჭავაძე — 234. 1986). აი, ასე მიმართავს მკითხველს.

ამ ზოგადი მასშტაბური სივრცის ნაწილია წინამდებარე კრებული. წარმოდგენილი შესაკრებლით, მას ერთვის სარჩევი ქართული, რუსული, სომხური, თათრულენოვანი გაზეთებისა და ჟურნალებისა. გაზეთის ნომრებში განხილული საკითხები დალაგებულია თემატურად.

არცთუ ისე ვრცელ საინფორმაციო მასალაში იკვეთება უამრავი სირთულე გამოცემის საკითხში: ცენზურა, უსახსრობა, შუღლი, ინტრიგა, (ასეთი იყო მაგალითად ყაზაროვის სტამბის საკითხი და სხვა მრავალი).

ციფრული ტექნოლოგიების ხანაში ინფორმაციის მოძიება ადვილია, მაგრამ წიგნს აქვს თავისი ფუნქცია და ყალიბი, მკითხველს თვითონ ესაუბრება, როგორც კი იგი მიუხალება მას, ამ შემთხვევაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, რუსული იმპერიის პერობილებაში მყოფი საქართველოსა და თვით იმპერიის მედიასივრცის აქტიურ ცხოვრებას ვეხებით; ავით და კარგით, ბნელით და ნათლით.

ლამისაა ხელშესახებად ცნადია ზაქარია ჭიჭინაძის, მაქსიმე შარაძის, ფილომონ ქორიძის, გაბრიელ ქიქოძის, მეღქმისედეკ ნაკაშიძის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, ნიკო ლომოურის, ეკატერინე ვაბაშვილის, აკაკის, ილიას, ვაჟას, ყაზბეგის და სხვა ღირსეულ ქართველთა დვაწლი ქართული ენის, გალობის, კულტურის გადარჩენის საქმეში. იქმნება სურათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა; დუდილი-ბრძოლა ბნელსა და ნათელს შორის, ღირსეულნი რომ არ ნებდებოდნენ, რადგან მწკიცედ სწამდათ; „აღამიანის ბედნიერება ღვთიური ვალის აღსრულებაშია“ (არჩილ ჯორჯაძე).

საგულისხმოა, რომ ექვთიმე კერესელიძემ 5532 საგალობელი გადააჩინა. ზოგჯერ ბიოგრაფიებში გამოკრთება ინფორმაცია, როგორი მონღომებით ცდილობდნენ შესაძლებლობების გამოყენებას, რათა საქართველოს პერობილების საკითხი ევროპაში გაეტანათ (მაგ.: გიორგი დეკანოზიშვილი და მისი მეუღლე ჰენრიეტა ფრენუა).

ეს აღამიანები მრავალმხრივი ნიჭის, შემოქმედებითი უნარის, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არიან, მაგრამ არსებით ყურაადღებას უთმობენ, უშურველად იღვწიან გამომცემლობის საქმეში. სჯერათ, რომ ეს პოვრესისაკენ, განვითარებისაკენ მიმავალი გზაა — აქ უკან დახევა არ შეიძლება.

ნათლად ჩანს გამოცემების პირობების არსებითი სხვაობა რუსეთსა და საქართველოში. რუსულ სინამდვილეში თვალში საცემია მრავალ-

ფეროვნება: ტექნიკური, იდეური, შინაარსობრივი. იქ სამიპერატორთა კარი ძალიან ბევრ გამოცემას აფინანსებს, გამოდის ლიტერატურული, მეცნიერული, საცნობარო ჟურნალ-გაზეთები, (გამომცემელ-რედაქტორები არიან ექიმები, პედაგოგები, გენერლები, მეცნიერები), ზოგიერთი შეუნიღბავი შოფინისტური იდეებით გამოდიოდა, ვასილ გულენკო თვითმპყრობელობის აბოლოგეტი იყო. „რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესების გამატარებელ ბურჟს“ უწოდებდნენ (1897 წელს გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორია).

ამ წიგნში წარმოდგენილი მასალა შედარებითი ანალიზისთვისაც საინტერესო იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ ბიბლიოგრაფიულ კრებულში დაინტერესებული პირი იბოვის ბევრ და მრავალფეროვან ფაქტობრივ მასალას, იმ ეპოქის ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულენოვან პერიოდულ გამოცემათა აღწერილობას, თემატურ სქემას, გავრცელების არეალს, ფასსა და სისტემას, ორგანიზაციულ საკითხებს. ყოველივე ეს მკითხველს დაინტერესებს. ცხადად ჩანს, რომ ქართული პრესის განვითარებაზე გავლენას ახდენდა რუსული პრესა (ეს გარდაუვალი პროცესი იყო იმპერიის პყრობილობის პირობებში). „ცნობის ფურცელი“ ავრცელებდა ინფორმაციას უცხოეთის პრესიდანაც. ზოგადად, XIX საუკუნის საქართველოში „რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებთან ერთად არც ევროპულ (ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ) ენებზე გამოსული პერიოდული გამოცემები ყოფილა უცხო“ (გ. შარაძე — XIII, 2001). ერთ-ერთ ნომერში „ცნობის ფურცელი“ ავრცელებს განცხადებას: „მიიღება ხელის მოწერა რუსეთისა, ევროპისა და ამერიკის ყველა ჟურნალ-გაზეთებზედ“ (გვ. 172).

მედიაბიბლიოგრაფიის წარმოდგენილი ცნობარი ერთგვარი კალენდოსკოპია სახელმწიფოებრიობადაკარგული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურულ-სამართლებრივი ცნოვნებისა. თითოეული დაინტერესებული პირი თავის წილ ინტერესს დაიკმაყოფილებს ამ მასალების გაცნობით.

წესიან ფიქია,

რედაქტორი, ფილოლოგიის დოქტორი,
შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

მედიაბიბლიოგრაფია

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთი ცნობილი და ფართოდ გავრცელებული სექტორია მუზეუმი. მუზეუმები თავიანთი მიმართულებით შეიძლება იყოს: ისტორიული, საბუნებისმეტყველო, მემორიალური, ხელოვნებისა, ლიტერატურული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 200-მდე მუზეუმი, აქამდე არც ერთი მათგანი არ ასახავდა საქართველოს მასშედის განვითარების ეტაპებსა და ჟურნალისტიკის შემოქმედებით ცხოვრებას. სწორედ ამიტომ 2014 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრში“, რომელიც აერთიანებდა ხუთ მემორიალურ სახლ-მუზეუმს, დაუშვა ერთი შტატი „მედიამუზეუმისთვის“ (უნდა აღვნიშნო, რომ „მედია მუზეუმი“ არამხოლოდ კავკასიაში, არამედ პოსტსაბჭოთა კავშირშიც ერთადერთია). 2018 წლიდან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ სხვა მემორიალურ სახლ-მუზეუმთან ერთად „მედიამუზეუმი“ შევიდა მუზეუმების მართვის განყოფილებაში, რომელიც წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა. ა. ი. ბ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს სტრუქტურული ერთეულს. მედიამუზეუმში დაცულია საქართველოს მასშედისა და პოლიგრაფიის განვითარებასთან, თანამედროვე მედიასთან დაკავშირებული ექსპონატები, როგორცაა: ბეჭდური მედიის ნიმუშები: — ჟურნალ-გაზეთები, ერთდროული გამოცემები, ბიულეტენები (მედიარქივი); მუზეუმის მნიშვნელოვანი ნაწილია პოლიგრაფია, ურომლისოდაც წარმოდგენილია ბეჭდვითი მედია. აქ წარმოდგენილია გაზეთის კლიშე („ქუდი“, „დევიზი“), რეტუში, ლინოტიპი, („ხაზის ანაბეჭდი“), შრიფტები... აქვეა დაცული ელექტრული მედიის ნიმუშები: რადიო, ტელევიზორი, კინოფირები, დიქტიფონები... ჟურნალისტიკის, პოლიგრაფისტიკის, კორექტორების, ტელეკომპერატორების, ფოტოკორექსიონდენტების შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები, საავტორო წიგნები, ნაშრომები, ხელნაწერები და სხვა მემორიალური ნივთები. დღეისათვის მუზეუმში დაცულია 22 000-ზე მეტი ექსპონატი. მედიამუზეუმის ერთ-ერთი დანიშნულებაა ჟურნალისტიკის, პოლიგრაფისტიკის, ტელე-რადიო და ფოტოკორექსიონდენტების, თბერატორების პირადი საქმიანების შექმნა. ეგ გახლავთ: ბიოგრაფიების,

დიპლომების, ჯილდოების, ფოტოებისა და სხვა მემორიალური ნივთების, შექმნილი ექსპონატების, მოძიება-დამუშავება.

მედიამუშეობის ერთ-ერთი უპირობო მიმართულებაა საგანმანათლებლო საქმიანობა — სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მედიის მიმართულებით. სწორედ ამას ითვალისწინებს მედიამუშეობაში დაწყებული ერთ-ერთი პრიორიტეტი — მედიამუშეობის განხორციელება საქართველოში დღემდე გამოცემულ სხვა ბიბლიოგრაფიებისგან.

მედიამუშეობის განხორციელება ძირითადად განკუთვნილია მასმედიის მიმართულების მეცნიერებისთვის, სტუდენტებისა და, საერთოდ, მედიის-ტორიით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

ეს წიგნი ამ მიმართულებით პირველი მცდელობაა და იგი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1896 წლის გამოცემას დაეთმო. აქ მედიასთან — ჟურნალ-გაზეთებთან, ჟურნალისტებთან, ფოტოგრაფიასა და პოლიგრაფიასთან, გამოცემლებთან დაკავშირებული მასალაა გადმოტანილი წყაროს მითითებით, მაგ.: №56/3 ნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია დაბეჭდილია გაზეთის 56-ე ნომრის შესამე გვერდზე. საგაზეთო მასალები დალაგებულია თემატიკისა და ანბანის მიხედვით. არ შეგნებივარ და უცვლელი დაგტოვე იმ პერიოდის ქართული ენის გრამატიკის ნორმები. მასალებს დართული აქვს მცირე ინფორმაცია ჟურნალ-გაზეთების გამოცემის შესახებ და რედაქტორების ბიოგრაფიები ფოტომასალებით, სადაც უმთავრესი ყურადღება გამახვილებულია მედიასთან თანამშრომლობის ასპექტზე.

მარინა ლაშინია,

ავტორ-მემდგენელი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს მედიამუშეობის დამფუძნებელი

Assembly of „Tsnobis Purtseli“ („Notification Sheet“)

Interesting information about journalism and the history of the media is considered to be the so-called Chinese „Di bao“ that was spread in ancient Rome and Byzantium as an oral newspaper practice. Although they were precursors rather than the classical form of journalism. The first printed weekly newspaper appeared in 1609 in Strasbourg in German, and the first magazine in Paris in 1665. The history of the press in most countries of the world begins in the 19th century. It is significant that in Georgia, „the most uneducated Ioane Batonishvili pointed to the necessity of introducing a newspaper in the reform project of the state management presented to his father, King George XII in 1799“ (Sharadze — IX. 2001); The first Georgian periodical „Newspaper of Georgia“ (later „Georgian Newspaper“) was published in 1819-1820.

The newspaper Tsnobis Purtseli, a Georgian social and political periodical, was published in Tbilisi from October 20, 1896 to March 25, 1906; From 1901 it had a weekly pictorial supplement of the same name.

Georgian journalism of the 19th century is worthy, strong and interesting. Solomon Dodashvili, Jacob Gogebashvili, Ilia, Akaki, Vazha... In this regard, even the mention of the names of the spiritually-consciously dedicated themselves in this creates a vivid representation of the Georgian journalism of that period.

In the foreword of „Iveria“ newspaper (March 3, 1877), Ilia Chavchavadze wrote that in the matter of spreading literacy and knowledge, magazine-newspapers are a great learning tool, to the extent that „it is the measure of the mind, moral strength and talent of society, to the same extent it is a measure of the needs and necessities of life.“ (Ilia Chavchavadze — 231. 1986). Here he continues to discuss the relationship between the reader and the newspaper; That it is difficult to fulfill the mission perfectly and

that „in such difficulty is the measure with which the dignity of the newspaper should be built and with which you should share your heartfelt sympathy for its workers“ (Ilia Chavchavadze — 234. 1986). This is how he addresses the reader.

The part of this general large-scale space is the Tsnobis Purtseli. It is a compilation presented in this collection, it is attached with the table of contents of Georgian, Russian, Armenian, Tatar language newspapers and magazines. The topics discussed in the issues of the newspaper are arranged thematically.

In the not so extensive information material, there are many difficulties in the issue of publishing: censorship, lack of funds, quarrels, intrigue (such was the issue of Kazarov’s printing house, for example, and many others).

In the age of digital technology, information is easy to find, but a book has its own function and form, speaking to the reader as soon as he engages with it. In this case, from the second half of the 19th century to the 1st half of the 20th century, we are dealing with the active life of Georgia under the control of the Russian Empire and the media space of the empire itself; with evil and kindness, dark and bright.

The contribution of Zakaria Chichinadze, Maxime Sharadze, Filomon Khoridze, Gabriel Kikodze, Melkhisiedek Nakashidze, Alexander Sarajishvili, Niko Lomouri, Ekaterine Gabashvili, Akaki, Ilia, Vazha, Kazbegi and other worthy Georgians in saving the Georgian language, singing, and culture is tangibly obvious. A picture of socio-political life is created; Boiling-struggle between the dark and the light, if the dignified did not surrender, because they believed a little; „Human happiness is in the fulfillment of divine debt“ (Archil Jorjadze).

It is significant that Ekvtime Kereselidze saved 5532 hymns. Sometimes the biographies contain information about how diligently they tried to use the opportunities to bring the issue of the prisoners of Georgia to Europe (eg: Giorgi Dekanozishvili and his wife Henrietta Frenois).

It is significant that in this bibliographic collection the interested person will find many and multinational factual materials, descriptions of Georgian, Russian, Armenian, and Tatar language period-

icals of that era, thematic scheme, distribution area, price, system and organizational issues. All this will interest the reader. It is clear that the development of the Georgian press was influenced by the Russian press (this was an inevitable process under the conditions of imperial occupation). The Tsnobis Purtseli spread information from the foreign press as well. In general, in 19th century Georgia, „along with Russian-language magazines and newspapers, periodicals published in European (French, English, German) languages were not alien either“ (G. Sharadze — XIII, 2001). In one of the issues, the Tsnobis Purtseli announces: „subscribers will be accepted for all magazines and newspapers of Russia, Europe and America“ (p. 162).

Presented reference of media bibliography is a kind of kaleidoscope of the public-political-literary-legal life of a country that has lost its statehood. Each interested person will satisfy his own interest by getting to know these materials.

NESTAN FIFIA,
editor, Doctor of Philology,
Shota Meskhya State University Associate Professor

Media bibliography

The museum is one of the well-known and widespread sectors of cultural heritage protection in the world, including in Georgia. Museums in their direction can be: historical, natural science, memorial, art and literary. Despite the fact that there are about 200 museums in Georgia, until now none of them reflected the stages of development of Georgian mass media and the creative life of journalists. That is why, in 2014, the Media Museum of Georgia was established in Zugdidi. After the reorganization, carried out in Zugdidi Municipality, the “Media Museum” together with other memorial house-museum joined the Museum Management Department in 2018, which is a structural unit of the “Art and Culture Development Center” of Zugdidi Municipality. The media museum stores exhibits related to the development of Georgian mass media and polygraphy, modern media, such as: samples of printed media:— magazines, newspapers, simultaneous publications, bulletins (media archive); An important part of the museum is polygraphy, without which print media is unimaginable. Here are newspaper clichés („cap“, „motto“), retouch, linotype, („line print“), fonts... here are preserved samples of electronic media: radio, television, film tapes, dictaphones... of journalists, polygraphists, proofreaders , photo materials depicting the creative life of TV operators, photojournalists, author's books, works, manuscripts and other memorial items. Today, more than 22,000 exhibits are preserved in the museum.

One of the purposes of the Media Museum is to create personal files of journalists, polygraphists, TV-radio and photo correspondents, operators. These are: search and processing of biographies, diplomas, awards, photos and other memorial items (then exhibits).

One of the unconditional directions of the Media Museum is educational activity — scientific-research works in the direction of media. About this is exactly one of the projects — A Media Bibliography, started in the Media Museum which differs from other bibliographies published in Georgia so far.

Media bibliography is mainly intended for mass media researchers, students and people interested in media history in general. This book is the first attempt in this direction, and it was dedicated to the 1896 edition of the newspaper “Tsnobis Purtseli”. Here, the material related to the media - magazines, newspapers, journalists, photography and polygraphy, publishers is transferred with reference to the source, for example: #56/3 means that this information is printed on the third page of the 56th issue of the newspaper. Newspaper materials are sorted by topic and alphabetically. I did not touch and left unchanged the norms of the Georgian language grammar of that period.. The materials include information about magazine and newspaper publications, short biographies of editors and publishers with photographs where the main focus is on the aspect of cooperation with the media.

MARINE DAMENIA,

Author-compiler

Honored journalist of Georgia,

founder of Media Museum of Georgia

P.S. The text was translated into English by **MAKA GOGOKHIA**

The text was translated into Russian by **NONA KARCHAVA**

Сборник „Цნობის პურცელი/ Листок известий“

С Интересными сведениями о журналистике и истории СМИ принято считать сложившуюся в Древнем Риме и Византии практику так называемых устных газет, китайских „Ди бао“, хотя они были скорее предшественниками, чем классической формой журналистики. Первая печатная еженедельная газета появилась в 1609 году в Страсбурге на немецком языке, а первый журнал — в Париже в 1665 году.

История печати в большинстве стран мира начинается с 19 века. Показательно, что в Грузии „о необходимости введения газеты указывал наиболее образованный Иоанэ Батонишвили в проекте реформы государственного управления, представленном его отцу, королю Георгию XII в 1799 г.“ (Шарадзе — IX. 2001). Первое грузинское периодическое издание „Газета Грузии/საქართველოს გაზეთი“ (впоследствии „Грузинская газета/ქართული გაზეთი“) вышло в 1819-1820 годах.

Газета „Цნობის პურცელი/Листок известий“, грузинское общественно-политическое периодическое издание, выходила в Тбилиси с 20 октября 1896 г. по 25 марта 1906 г.; С 1901 г. она имела одноименное еженедельное иллюстрированное приложение.

Грузинская публицистика 19 века достойная, сильная и интересная. Соломон Додашвили, Яков Гогешаши, Илья, Акакий, Важа... В связи с этим одно упоминание имен, духовно-сознательно трудившихся уже создает ясный образ грузинской публицистики того периода.

В предисловии к газете „Иверия“ (3 марта 1877 г.) Илья Чавчавадзе писал, что в деле распространения грамотности и знаний, журналы/газеты являются великим учебным пособием, поскольку „они являются источником ума, нравственная сила и талант общества, в той мере, в какой является мерлом жизненных нужд и потребностей“ (Илья Чавчавадзе — 231. 1986).

Тут же он продолжает обсуждение отношений между читателем и газетой; что сложно выполнить миссию в совершенстве и что „в такой сложности есть исходная точка, с которой должно создаваться достоинство газеты и с которым ты должен строить свое искреннее сопереживание“ (Илья Чавчавадзе - 234. 1986). Вот так он обращается к читателю.

В не очень обширном информационном материале обнаруживается масса сложностей в вопросе издания: цензура, нехватка средств, ссоры, интриги (например, вопрос о типографии Казарова и многое другое).

В век цифровых технологий найти информацию легко, но книга имеет свою функцию и форму, она говорит с читателем, как только он ее читает, в данном случае со второй половины XIX века до первой половины XX века, мы прикасаемся к активной жизни Грузии в составе Российской империи и медицине самой империи; злом и добром, темным и светлым.

Очевидна, ощутима заслуга Закария Чичинадзе, Максима Шарадзе, Филомона Коридзе, Габриэля Кикодзе, Мелкиседека Накашидзе, Александра Сараджишвили, Нико Ломоури, Екатерины Габашвили, Акакия, Ильи, Важы в деле спасения грузинского языка, песнопения, культуры. Создается картина общественно-политической жизни; яростная борьба между темным и светлым; достойные не сдавались, так как вера их была тверда, непоколебима; „счастье человека в выполнении божественной долга“ (Арчил Джорджадзе).

Нужно отметить, что Еквтиме Кереселидзе сумел спасти 5532 песнопений (церковное). Иногда в биографиях появляется информация о том, с каким рвением пытались использовать все возможности, для того чтобы донести до Европы вопрос о пленниках в Грузии (например, вопрос Георгия Деканоцишвили и его супруги Генриеты Френуа)

„Цნობის პურცელი/Листок известий“ часть общего масштабного пространства. Он представлен как сборник/собрание, к которому прилагается оглавление газет и журналов на грузинском, русском, армянском, татарском языках. Вопросы, обсуждаемые в номерах газеты, расплжены тематически.

Показательно, что в этом библиографическом сборнике заинтересованный человек найдет немало многонациональных фактических материалов, описания грузинских, русских, армянских и татароязычных периодических изданий той эпохи, тематические схемы, ареал распространения, цену и систему, организационные вопросы. Все это заинтересует читателя. Понятно, что на развитие грузинской печати оказала влияние русская пресса (это был неизбежный процесс в условиях имперской оккупации).

„Цნობის პურცელი/Листок известий“ также распространяла информацию и из иностранной прессы. Вообще в Грузии XIX века „наряду с русскоязычными журналами и газетами не были чужды и периодические издания, издаваемые на европейских (французском, английском, немецком) языках“ (Г. Шарадзе — XIII, 2001). В одном из номеров газета объявляет: `Подписи принимаются во все журналы и газеты России, Европы и Америки“ (стр. 162).

Представленный сборник медиабiblioграфий - своеобразный калейдоскоп общественно-политической-литературно-правовой жизни страны, утратившей государственность. Каждый желающий удовлетворит свой интерес, ознакомившись с этими материалами.

ნესტან პიპია,
 редактор, Доктор Филологии,
 Ассоциированный Профессор
 Государственного Университета им. Шота Месхия.

Медиабиблиография.

Музей является одним из известных и распространенных секторов охраны культурного наследия в мире, в том числе и в Грузии. Музеи по своему направлению могут быть: историческими, музеями естествознания, мемориальными, художественными, литературными. Несмотря на то, что в Грузии насчитывается около 200 музеев, до сих пор ни один из них не отражал этапы развития грузинских СМИ и творческой жизни журналистов.

Именно поэтому в 2014 году в Зугдиди был создан Музей СМИ Грузии, После реорганизации, проведенной в Зугдидском муниципалитете, „Медиа-музей“ вместе с другим мемориальным домом-музеем в 2018 году присоединился к отделу музейного управления, который является структурным подразделением „центра развития культуры и искусства“ Зугдидского муниципалитета.

„Медиа-музей“ хранятся экспонаты, связанные с развитием грузинских СМИ и полиграфии, современных СМИ, такие как: образцы печатных изданий: журналы/газеты, синхронные издания, бюллетени (медиаархив); важной частью музея является полиграфия, без которой немислимы печатные издания.

В музее представлены газетные клише („шапка“, „девиз“), ретушь, линотипия, („штриховка“), шрифты... здесь хранятся образцы электронных носителей: радио, телевидения, киноплёнки, диктофоны... фотоматериалы отражающие творческую жизнь журналистов, полиграфистов, корректоров, телеоператоров, фотокорреспондентов, авторские книги, рукописи и другие памятные предметы. Сегодня в музее хранится более 22 000 экспонатов.

Одной из задач Медиа-музея является создание личных дел журналистов, полиграфистов, телерадио и фотокорреспондентов, операторов. Это: поиск и обработка биографий, дипломов, наград, фотографий, мемориальных предметов и других значимых вещей.

Одним из безусловных направлений Музея медики является

просветительская деятельность — научно-исследовательские работы в направлении медиа. Именно с этого начался один из проектов в Музее медиа — медиабиблиография, которая отличается от других библиографий, изданных до сих пор в Грузии.

Библиография СМИ в основном предназначена для исследователей средств массовой информации, студентов и людей, интересующихся историей СМИ в целом.

Эта книга является первой попыткой в этом направлении, и она была посвящена выпуску 1896 года газеты „Цნობის მუხრანის“. Здесь материалы, относящийся к СМИ - журналам, газетам, журналистам, фото и полиграфии, издательству - передаются со ссылкой на источник, например: N56/3 означает, что данная информация напечатана на третьей странице 56-го номера газеты. Газетные материалы отсортированы по темам и в алфавитном порядке. Я оставила без изменений нормы грамматики грузинского языка того периода.

К материалам сопровождаются небольшая информация об издании журналов и газет, краткими биографиями редакторов и издателей с фотографиями, где основное внимание уделяется аспекту сотрудничества со СМИ.

МАРИНЕ ДАМЕНИЯ,

автор-составитель,

Заслуженный журналист Грузии,

основатель Музея СМИ Грузии

P.S. Текст на английский перевела **МАКА ГОГОХИЯ.**

Текст на русский перевела **НОНА КАРЧАВА**

„ცნობის ფურცელი“



ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა „ცნობის ფურცელი“ თბილისში 1896 წლის 20 თქტომბრიდან 1906 წლის 25 მარტამდე გამოდიოდა; იყო ფართო ზომის. 1901 წლიდან ჰქონდა ამავე სახელწოდების ყოველკვირეული სურათებიანი დამატება. მისი წლიური ფასი იყო 6 მანეთი. 1904 წლიდან „ცნობის ფურცელი“ გახდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო. გაზეთი იმდენად პოპულარული იყო, რომ მას წელიწადში 12 ათასი ხელისმომწერი ჰყავდა.

„ქართულს ენაზედ ბევრი გაზეთი ვერ შეედრება „ცნობის ფურცელს“ ვერც ღირსებით და ვერც სწავლით, ამას გარდა, .. ისე იაფადაც, წლით ღირდა 6 მ. და ნომერი 3 კაპ. რის მაგალითიც ქართველებში არ ყოფილა და რის გამოცემაზედაც მართლაც და აღუქსანდრე ჯაბადარს მიუძღვის დაუფასებელი შრომა, უანგართ სამსახური, მისის ცდით და ხასიათის გაუმჯობესებით საქმემ იქამდის მიადწია, რომ ერთ დროს ამ გაზეთს 12 ათასი ხელის მომწერი ჰყავდა, რაც ქართველებში პირველი მაგალითი იყო“ — ვკითხულობთ წიგნში: „ქართული სტამბები 1627-1916. ნიკოლოზ დოდობერიძე და ზოგი ქართველთა მოღვაწენი სურათებით“.



ვალერიან გუნია
Valerian Gunia
Валериан Гуния

სწავდასწვა დროს გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: **ვალერიან ბუნია** (1896–1899); **ალექსანდრე ჭყონია** (მაჭახეიძე) (1899 წლის 10 დეკემბრიდან — 1900 წლის 4 ნოემბრამდე); **ალექსანდრე ჯაბადარი** (1901–1906).

უმთავრესი თანამშრომლები იყვნენ: ბიორბი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ბიორბი ზღანოვიჩი, სამსონ ფირცხალავა, ბრიგოლ რცხილაძე, ბრ. გველესიანი, კიტა აბაშიძე, ბიორბი დეკანოზიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

*** *** ***

The Georgian public and political periodical "Notice Sheet" was published in Tbilisi from October 20, 1896 to March 25, 1906; wide size. From 1901 it had a weekly pictorial supplement of the same name. Its annual price was 6 manats. Since 1904, "Tsnobis Purtseli" has become the organ of the Socialist-Federalist Party of Georgia. The newspaper was so popular that it had 12,000 subscribers a year.

At different times, the editor-publishers of the newspaper were: Valerian Gunia (1896-1899); Aleksandre Chkonia (Machakhelidze) (from December 10, 1899 to November 4, 1900); Alexander Jabadari (1901-1906). The most important employees were: Giorgi Laskhishvili, Archil Jorjadze, Giorgi Zdanovich, Samson Firtskhalava, Grigol Rtskhiladze, Grigol Gvelesiani, Kita Abashidze, Giorgi Dekanozishvili, Zakaria Chichinadze and others.

*** *** ***


Грузинское общественно-политическое периодическое издание „Цнобис Пурцели“ издавалось в Тбилиси с 20 октября 1896 г. по 25 марта 1906 г. ши-



**ალექსანდრა
ჭყონია
Aleksandre
Chkonia
Александр
Чкония**



**ალექსანდრა
ჯაბადარი
Alexandere
Jabadari
Александр
Джабадари**



**ზაკარია
ჩიჩინაძე
Zakaria
Chichinadze
Закария
Чичинадзе**


როკიმ ფორმატომ. С 1901 г. оно имело одноименное еженедельное иллюстрированное приложение. Ее годовая цена составляла 6 манатов. С 1904 года „Цნობის პურცელი“ стало органом Социал-федералистской партии Грузии. Газета была настолько популярна, что у нее было 12 000 подписчиков в год.

В разное время редакторами/издателями газеты были: Валериан Гуния (1896-1899); Александр Чкония (Мачахелидзе) (с 10 декабря 1899 г. по 4 ноября 1900 г.); Александр Джабадар (1901–1906).

Наиболее важными сотрудниками были: Георгий Ласхишвили, Арчил Джорджадзе, Георгий Зданович, Самсон Пиртхалава, Григол Рцхиладзе, Гр. Гвелесиани, Кита Абашидзе, Георгий Деканоозишвили, Закария Чичинадзе и другие.



**გრიგოლ
გველესიანი
Grigol Gvelesiani
Григол
Гвелесиани**




**არჩილ
ჯორჯაძე
Archil
Jorjadze
Арчил Джорджадзе**



**გიორგი
ზდანოვიჩი
Giorgi Zdanovich
Георгий
Зданович**



**კიტა
აბაშიძე**
Kita Abashidze
Кита Абашидзе




**გრიგოლ
რცხილაძე**
Grigol Rtskhiladze
Григол Рцхиладзе



**გიორგი
ლასხიშვილი**
Giorgi Laskhishvili,
Георгий Ласхишвили



**გიორგი
დეკანოზიშვილი**
Giorgi Dekanozishvili
Георгий
Деканозишвили



**სამსონ
ფირცხალავა**
Samson
Firtskhalava
Самсон Пиртхалава

გაზეთ „ცნობის ფურცლის“
რედაქტორ-გამომცემლებისა და
უმთავრესი თანამშრომლების
ბიოგრაფიები

ვალერიან ბუნია

ვალერიან ლევანის ძე გუნია დაიბადა 1862 წ. 21 იანვარს ზუგდიდის მაზრის სოფელ ეკში (ამჟამინდელი სენაკის მუნიციპალიტეტი).

1876 წელს შევიდა თბილისის რეალურ სასწავლებელში. 1881 წელს პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის სასწავლებლიდან გარიცხეს. სწავლა განაგრძო მთავრობის, პეტროვსკოე-რაზუმივსკოეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.


სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ენერგიულად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი აქტიურად იყო ჩართული ქართული მედიის განვითარებაში. ილიასთან გაზეთ „იმერიაში“ თანამშრომლობდა. მუშაობდა გაზეთ „ღრუბაში“. რედაქტორობდა ჟურნალ „თეატრს“; 1886 წელს დააარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“; 1888 წელს გამოსცა „საქართველოს კალენდარი“. 1907 წელს — იუმიორისტული ჟურნალი „ნიშაღური“.

თეატრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი სისტემატურად აქვეყნებდა თეატრალური ხელოვნების შესახებ ლიტერატურულ წერილებს, თეორიული ხასიათის სტატიებს.

აღსანიშნავია მისი ისტორიული ნარკვევი „ქართული თეატრი 1879–1889 წლებში“; დაწერა ლიბრეტოები თბურებისთვის — ფალიაშვილის „დაისი“, არაყიშვილის „დინარა“ და სხვა. იყო მთარგმნელიც. 300-მდე პიესა აქვს გადმოცემული; თარგმნიდა უკრაინულსაც.

1896 წელს ერთი ებრაელისგან შეიძინა სტამბა, თუმცა მისი შენახვა ვერ შეძლო და სხვებს გადასცა.

ვალერიანი წარმოუდგენლად ბეგონა და





**ვაქტანგ
გუგია**

განსხვავებულ საქმიანობას ეწეოდა: სათავადაზნაურო ბანკში მუშაობდა; ერთხელ თეატრის მოღაროს ფუნქციაც შეუთავსებია; 1883 წლიდან ქართულ პროფესიულ თეატრშია; 1921 წლიდან ხელმძღვანელობს ქართულ თეატრებს. ნიჭიერი დრამატურგი თეატრში რეჟისორიც იყო და მსახიობიც, 200-მდე წარმოდგენა დაუდგამს. მან განასახიერა სხვადასხვა სახე — როლი: მეფე ღირი, ოტელო (უილიამ შექსპირის „მეფე ღირი“, „ოტელო“), კაკო (ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ მისედვით), თიდიპოსი (სოფოკლეს „თიდიპოს მეფე“), ოსიპი (ნიკოლოზ გოგოლის „რეჟისორი“), თთარ ბეგი (ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატი“). 1903 წელს თეატრმა შექსპირის „ოტელოზე“ დაიწყო მუშაობა. პრემიერის შემდეგ მის დღიურში გაჩნდა ჩანაწერი: „დღეს პირველად ტრადიკული როლი — ოტელო — ვითამაშე. საზოგადოდ წარმოდგენა და განსაკუთრებით ჩემი როლი — საუცხოოდ ჩაგატარეთ. საზოგადოებამ ძლივს იწამა ჩემი ტრადიკული ნიჭი. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა წინააღმდეგი იყო.“



**ვასო
გაბუჩია**

პირველ ქართულ საბჭოთა ფილმებში არაერთი როლი განასახიერა. კერძოდ: 1921 წელს ფილმ „არსენა ჯორჯიაშვილში“ ითამაშა გენერლის როლი (რეჟ. ივანე პერესტიანი); 1922 წელს „სურამის ციხეში“ გუზირის როლი (რეჟ. ივანე პერესტიანი); „მოძღვარში“ — მაყვალას მამის როლი (რეჟ. ვლადიმერ ბარსკი); 1923 წელს „მამის მკვლელები“ — ნიკალას როლი (რეჟ. ამო ბეკ-ნაზაროვი); 1926 წელს „ხანუმაში“ — ვაჭარი ადამის როლი (რეჟ. ალექსანდრე წუწუნავა); 1927 წელს „გოგი რატიანში“ — მექსოვის როლი

(რეჟ. კონსტანტინე მარჯანიშვილი); „ამოკ-ში“ — ევროპელი ქალის ქმრის როლი (რეჟ. კოტე მარჯანიშვილი); „მთის კანონში“ — მუხას როლი (რეჟ. ბორის მიხინი); 1934 წელს მონაწილეობდა ფილმში „ნახვამდის“ (რეჟ. გიორგი მაკაროვი).

ოტელიოდან, თიდიბოსიდან, მეფე ღირიდან — მექოვკემდე ყველანაირი როლი აქვს შესრულებული. „ყველა როლი-როლია, დიდი თუ პატარა, დრამატული თუ კომიკური, ქალი-სა თუ კაცისა, ყველა როლი შესაფერ ნიჭსა და უნარს თხოულობს. ყველა როლს შესრულება უნდა და ვაშა და დიდება იმას, ვინც უფერულს ან „ნაკლებ მასალიდან“ როლს დიდის ხელოვნებით გააპირთვნებს და ცხოვლად დაასურათებს,“ — წერდა ის თავის დღიურში.

კარგი მთსაუბრე, ჭკვიანი და თბილი ვალერიანი გამოირჩეოდა შესანიშნავი ხმით, ძლიერი ტემპერამენტით, დიდი სცენური მომხიბვლელიობით, შთამბეჭდავი გარეგნობით. იგი ერთ-ნაირად იხდენდა როგორც ევროპულ, ისე ქართულ სამოსს. ამავე დროს, იყო თავმდაბალი კაცი. იმდენად ემოციური ყოფილა, რომ უკვე გამოცდილი და სახელოვანი სცენაზე გასვლის წინ მაინც დეღავდა.

1883 წლის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „საღაროსთან აუარება ხალხია... თეატრის დერეფანი დაკეტილია. ყველა ბილეთი გაყიდულია. ხალხი მაინც არ იშლება... ახალგაზრდა დამწყებ მსახიობს ვალერიან გუნიას მდელვარებისგან ხელ-ფეხში ძალა წართმევია და ბოლო წუთებში უარს ამბობს წარმოდგენაში მონაწილეობაზე. უკვე ცნობილ და გამოცდილ დიდ არტისტ ვასო აბაშიძეს კი მკაცრად უთქვამს: „ხელი ჰკარით და შეაგდეთ სცენაზე!“ მაყურებელს უკვირს, რა ბუნებრივ-



**ვასო აბაშიძე
და
ვახტანგ გუგია**



**ლადო
კახიძე**



**ილია
ჩაუჩავაია**

ია სცენაზე ეს ახალგაზრდა მსახიობი. ვალერ-
რიანი მაშინ პირველად გავიდა სცენაზე და
პოეტ გრენგუარის როლი ითამაშა „შანვილის
პიესაში „მეფე და პოეტი“. მაყურებელი მიიხ-
იბლა.“ — აი, ასე დაიწყო ვალერიან გუნიას
სასცენო მოღვაწეობა.

ვალერიან გუნიამ მძიმე, გაჭირვების წლები
გამოიარა: „იანვარი. ვერაფერი ახალი წელი
გამითენდა — გაჭირვება, შიშველ-ტიტველი
ცოლ-შვილი და კარზე მომდგარი შიმშილი.
მებრალეობა ჩემი უმცროსი ნონა! აკლია კვება
და ჩაცმა-დახურვა, პალტო არა აქვს — ზაფ-
ხულის პალტოთი დადის სკოლაში. დედამის
ნინას, როგორც იქნა, პალტო შეგუჰკურე 20
წლის ლოდინის შემდეგ. მე სულ არა მაცვია
რა“, — წერს თავის დღიურში.

ვასო აბაშიძეს უთქვამს, თეატრში ერთი
ვალიეო გვყავს დაუოჯახებელი და იქნებ
მდიდარი ქალი შეირთოსო. მართლაც, ვალე-
რიანი 1898 წელს ნინა გომელაურზე გარიგე-
ბით დაქორწინდა. გარიგებისას შეთანხმდნენ
— მზითევის ნახევარი თეატრალურ საღარო-
ში უნდა გადასულიყო. დაქორწინებისთანავე
შეიძინა სტამბა, რომლის კურთხევა დიდი
ნადიმით აღინიშნა. კურთხევას ილია ქავ-
ჭავაძეც ესწრებოდა. სტამბის საქმეთა მმართველი
ლადო კეცხოველი განლდათ. მზითე-
ში იყო თამარ მეფის პორტრეტიც, რომელიც
ნინას ბოდბიდან გამოატანეს დეებმა. თამ-
არის პორტრეტი დღესაც ჰკიდია მის სახლში,
„როგორც ოჯახის მფარველი ანგელოზი“.



**ნონა
გრიშაშვილი**

ის ყველაზე ფიქრობდა, ყველას ენმარებო-
და; მთელ თავის ენერგიას სხვას ახარჯავდა,
ამით სუნთქავდა და ცოცხლობდა. ი. ვრიშ-
აშვილმა ლექსიც კი მიუძღვნა „მამაგ ჩემო“.
რისკზე წასვლაც შეუძლო და ურთიერთობა-

შიც არაფერი ეძლეოდა. ილიას ტრაგიკული მკვლელობის შესახებ პირდაპირ, დაუფარავად და თამამად წერდა პუბლიკაციებს. იგი ხელმძღვანელობდა 1907 წელს საგურამოდან ილია ჭავჭავაძის გადმოსვენებას. თვითონ ჩონთი ვამოწყობილი ცხენზე ამხედრებული მიუძღოდა პროცესიას. ერთხელ ფილიპე მანარაძისთვის ქუჩაში მიუძახებია, „შე ილიას მკვლელო...“. თავის პრინციპებსა და იდეებს არასდროს დალატობდა. ერთხელ სუმბათოვ-ოუჟინს უთქვამს, „დაბრუნდი რუსეთში და კარიერაც გექნებაო“. ოუჟინის შეთავაზებაზე უარი თქვა, ერჩივნა, თავისი ენერგიითა და ნიჭით ქვეყანას გამოსდგომოდა.



**ალექსანდრა
სუმბათოვ-
ოუჟინი**

მან საფუძველი ჩაუყარა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას. იყო პირველი თავმჯდომარე საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების გამგეობისა, ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი თბილისის მსახიობთა ამხანაგობისა და სსფა.

მნიშვნელოვანი დეკაწლი მიუძღვის ქართულ თეატრში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებასა და ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდაში.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის პირველ თავმჯდომარეს 1931 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1933 წელს — საქართველოს სსრ-ის სახალხო არტისტის წოდება.

ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, გამომცემელი ვალერიან გუნია გარდაიცვალა 1938 წლის 31 ივლისს თბილისში.

ვალერიან გუნიას „ემემორიალურ ოთახში“ შექმორჩენილი ნივთები თავისთავად ისტორიაა.





ძველ აგეჯსა და ნივთებთან უცნაური, ძველუბური დაფა დგას. ნოტების ამ დაფაზე თურმე როლი ედო და კითხულობდა. ძველ მაგიდაზე დევს მისი სათვალე, რომელიც მუდამ ეკეთა. პატარაობისას, ჩილიკაობის თამაშისას, ვალერიანს ჯონი მარცხენა თვალში მოხვდა და ისე დაუწიანა, რომ მისი ოდესაში წაყვანა და შუშის თვალის ჩასმა გავდა საჭირო. ის ჩადგმული თვალით თამაშობდა სცენაზე და პენსნეს ატარებდა. ისე ნიჭიერად მალავდა ამ ნაკლს, ვერაფერს ამჩნევდა.



ამ სახლში 1926 წელს გადმოსულან. ზოგი ამბობს, თურქეთის კონსულის სახლი იყოთ, ზოგიც — სომეხი ვაჭრისო. სადარბაზოდანვე იგრძნობა სახლის ლამაზი არქიტექტურა: კიბე, მოაჯირი, ხელით ნაჭკედი რეინის ძველი ლამპიონი შესასვლელში, ფილაქანზე რუსული წარწერა: ა. ანდრეოლეტინი — იტალიელ მხატვარს ეს სახლი თავად მოუპირკეთებია. სოლოლაკში ლამაზი სახლების უმეტესობა მისი მოკაზმულია, რომლებიც რადაცნაარად გიზიდავს. ამ ოთახში, სადაც ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი, იმ ეპოქის სუნთქვა იგრძნობა.⁽³⁾




1963 წელს ფოთის თეატრს ვალერიან გუნიას სახელი მიენიჭა. 1998 წელს დაფუძნდა ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერაზე, ერთ-ერთ ქუჩას ვალერიან გუნიას სახელი ეწოდა.

(წყარო: 1. ეკა მახარაშვილი — ვალერიან გუნია — „ქართული თეატრის უშიშარი რაინდი“, <https://burusi.wordpress.com/2009/12/13/valerian-gunia-3/>)

2. <https://ka.wikipedia.org/wiki/>

3. <https://burusi.wordpress.com/2009/12/13/valerian-gunia-3/>)



ალექსანდრე ჭყონია



ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია დაიბადა 1855 წ. ახალციხეში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1875 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით. ორი წელი დაჰყო პარიზში; იქ იგი სწავლობდა ისტორიას. კარგად ფლობდა ევროპულ ენებს, ჯეროვნად ჰქონდა შესწავლილი ლიტერატურა და ისტორია.

სამშობლოში 1877 წელს დაბრუნდა და სამსახური დაიწყო სასამართლოს ორგანოებში. 1877 წლის ივნისიდან იყო ქუთაისის სასამართლოს კანდიდატი, 1879 წელს შორაპანში გადაიყვანეს, შემდეგ იყო თჭურგეთის მოპროცეპელი მოსამართლის თანაშემწე.

1881 წლის ივლისიდან მუშაობდა ნაფიც ვეჟილად ჯერ ქუთაისში, შემდეგ — თბილისში. იყო ამიერკავკასიის რეინიგზის იურისკონსულტის თანაშემწე.

ალექსანდრე ჭყონია აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელია ყველა ქართული კულტურული ორგანიზაციისა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი; ბანკის, დრამატული საზოგადოების, სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა და მრავალი სხვა დაწესებულების ხელმძღვანელი.

1899 წელს სპეციალური რეკლამები იუწყებოდნენ: „მთავრობის ნებართვით ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, ალ. ჭყონიას სახლში, პირველი სექტემბრიდან დაარსდება ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. მდგომიარე წელს გაიხსნება ორი მისამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზი-

ული კლასი, ხოლო შექმნილი ყოველი წელიწადის მოქმედება თითოეული კლასი. საქართველოს მისივე მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ **ლიდა ბრიგოლის ასულ ანჯა-ფარძიძეს ან მარიამ იოსების ასულ მახარაძეს**⁽¹⁾. ეს ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ ალექსანდრე ჭყონიამ საკუთარი სახელი დაუთმო სასწავლო პროცესს, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას.

ქართულ პრესაში თანამშრომლობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან დაიწყო (გაზ. „**დროებაში**“ 1874 წ.) ა. მაჭახელიძის ფსევდონიმით (მისი ფსევდონიმი იყო აგრეთვე „ა. ქ-ა“). ამის შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. მისი შრომებიდან, გარდა საგანგებო და საჟურნალო წერილებისა სხვადასხვა საკითხზე, აღსანიშნავია ცალკე წიგნად გამოცემული „ისტორიული ნარკვევი ანუ საისტორიო ქრესტომათია“ (1890 წ.), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

1884 წელს ქუთაისში გაზეთ „**შრომის**“ თანამშრომლებმა და რამდენიმე განათლებულმა პირმა „წიგნების გამომცემელი წრის“ დაფუძნება გადაწყვიტეს, რომლის წესდება ალექსანდრე ჭყონიამ შეადგინა.

1894 წლიდან 1905 წლამდე, ე.ი. იმ დრომდე, როდესაც უსახსრობის გამო ჟურნალი დაიკეტა, რედაქტორობდა ერთადერთ ქართულ ყოველთვიურ ჟურნალ „**მომავალს**“. გარდა თრგანობისა და რედაქციური ხასიათის შრომისა, ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა: ჟურნალში ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებსა და შინაურ მიმოხილვებს.

1895-1898 წლებში რედაქტორობდა სა-

სოფლო-სამეურნეო ვაზეთ „მეურნეს“, 1880 წელს გამოსცა კრებული „სამრეწველო თაიბულო“. 1886 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა „ქილილა და დამანა“. მისი სამი ლექსი: „მიბაძვა მე-14 ფსალმუნისა“, „ნეტავი ქვეყნად“ და „ხანჯალს ვუძღვნი „ერთი ხანჯლის“ ავტორს“ დაბეჭდილია გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ 1980 წელს გამოცემული „ქართული პოეზიის“ თხუთმეტტომეულის მეთერთმეტე ტომში.

აღ. ჭყონიას თვალსაზრისით დამსახურებაა, რომ მან პირველმა ფრანგული და იტალიური ენებიდან თარგმნა და ქართველ საზოგადოებას გააცნო ევროპულ მოგზაურთა და მისიანერთა ცნობები საქართველოს შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია შრომა არქანჯელო ლამბერტისა „სამეგრელოს აღწერა“, შემდეგ — პეტრო დელა ვალეს „მოხსენება საქართველოს შესახებ, 1627 წ.“ („ივერია“ 1897 წ. №3); „იტალიელი მოგზაურები საქართველოში — იოსაფატ ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი“ — („მოამბე“, 1894წ. №11); „ტავრნიეს მოგზაურობიდან მე-17 ს.“ („მოამბე“, 1898 წ. №6) და სხვ.

განუწყვეტელი შრომით ადრე დასნეულებული აღ. ჭყონია 1907 წლის 8 თქტომბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.

ნეკროლოგი აღექვანდრე ჭყონიაზე დაბეჭდილია ექვთიმე თაყაიშვილისეულ „ძველი საქართველოს“ I ტომში. აქვეა დაბეჭდილი მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფია.

„12 თქტომბერს, 1907 წელს, ტფილისში, კუკიის სასაფლაოზე, დაკრძალეს გვამი ერთი საუკეთესო მამულიშვილის და მუშაკის აღექვანდრე მინიანის ძე ჭყონიასი.

ალექსანდრე ჭყონია დაიბადა 17 ივნისს 1855 წელს ქალაქ ახალციხეში, სადაც იმ დროს მამა მისი შტაბს-როტმისტრი (შემდეგ პოლკოვნიკი) იყო...

ალექსანდრე მრავალი პირადი ღირსებით იყო შემკული. დინჯი, წყე-სპეტაკი, ყველაფერში ზომიერი, ბეჯითი, ხასიათ-მტკიცე, პირდაპირი, პირში მოქმელი, არა მართაღს, ჭორებს მისგან ხუმრობაშიც ვერ მოისმენდით, ყოველი პირ-მოთხეობა, თრ-პირობა და სიცრუე მას დიდად აშფოთებდა ხოლმე. ამ შემთხვევაში ის ცეცხლივით ენთებოდა და პირში მხილება იცოდა. რა საქმეც უნდა გაეკეთებინა, თავის ქებას, თვის გამორჩენას და თავის ღვაწლის დაფასებას მისგან ვერ მოისმენდით, ის თავის თავს თვლიდა უბრალო მუშაკათ და, რაც შეეძლო და რაოდენადაც დრო ნებას აძლევდა, ჩუმად, უმყვირალოდ ემსახურებოდა საზოგადო საქმეს.

არ ყოფილა ისეთი ქართული დაწესებულება და ქართული საქმე, რომელშიაც ალექსანდრე ჭყონიას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს. ის დიდხანს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, რამდენიმე წელიწადს ამ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად იყო და დიდ შრომას ეწეოდა. ბანის, დრამატული საზოგადოების, სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების და ჟურნალ-გაზეთების საქმიებისა ყოველთვის დიდი გულშემატკივარი და დამხმარი იყო. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობა მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. პირველი მისი კორესპონდენცია, მოსკოვიდან გამოგზავნილი, დაისტამბა გაზეთ „დროებაში“ 1874 წ. ა. მაჭახელიძის



**პიეტრო დელა
პალე**



**პეტრო
თაყაიშვილი**

ფსევდონიმით. უფრო ბევრი წერილი ეკუთვნის 1876 წ., როდესაც ალექსანდრე პარიჟში იყო. პარიჟიდან დაბრუნების შემდეგ ხშირათ გზავნიდა გაზ. „დროებაში“ კორესპონდენციებს თავის სამსახურის ადგილებიდან. ტფილისში გადმოსახლების შემდეგ ალ. ჭყონია შეუდგა „ისტორიული ნარკვევის“, ანუ საისტორიო ქრისტომატიის, შედგენას და გამოცემას, რომელიც დაამთავრა და გამოსცა თავის ხარჯით 1890 წელს. ჯერ-ჯერობით ქართულს ლიტერატურაში ეს ერთად-ერთი და მასთან საინტერესოდ შედგენილი ქრისტომატია არის. კიდევ უფრო თვალ-საჩინო მის შრომას შეადგენენ უცხო ენებიდან ნათარგმნი თხზულებანი საქართველოს შესახებ. ალექსანდრე ჭყონიამ პირველად გააცნო ქართველ საზოგადოებას ევროპულ მოგზაურების წერილები საქართველოს შესახებ. ევროპულ მოგზაურთა და მისიონერთა ცნობები საქართველოს შესახებ ფრიად საყურადღებო მასალას შეადგენენ ჩვენი ისტორიის შესასწავლათ. უმეტესი ნაწილი ამ მასალებისა ეხლა გვაქვს ქართულს ენაზედ ალ. ჭყონიას მეოხებით. ამით დიდი ღვაწლი დასდო მან საქართველოს ისტორიას. ისტორიული კვლევა-ძიების სურვილი განსვენებულს სტუდენტობიდან ჰქონდა. ამისთვის გაემგზავრა ის პარიჟს, რომ იქ კარგათ შეესწავლა ისტორია და მეცნიერული მეთოდები ისტორიის კვლევა-ძიებისა, მაგრამ განსვენებული, როგორც საზოგადოთ ყველა ჩვენი მოღვაწენი, იძულებული გახდა თავის ცოლ-შვილის სარჩენათ დიოურ ვარამისთვის ეზრუნა და მხოლოდ ნაწილათ შეესრულეზინა თავის განზრახვა ევროპულ მწერალთა თქმულებების გადმოთარგმნით ქართულ ენაზედ და ისტორიული ქრისტომატიის შედ-

გენით. მისი ნათარგმნია: საქართველოს აღ-
წერა არქანჯელო ლამბერტისა, რომელიც
წინეთ ნაწილ-ნაწილათ შუნნალ „მოამბეში“
იბეჭდებოდა და შემდეგ ცალკე წიგნათ გა-
მოვიდა; პიეტრო დელლა ვალეს მონსენება
საქართველოს შესახებ 1627 წელს; იტალ-
იელი მოგზაურები საქართველოში XVII
საუკუნეში; ტავერნიეს მოგზაურობა XVII
საუკუნეში და სხვა.

ქართულ შუნნალ-გაზეთების განვითარების
და გამოცემის საქმეში ალექსანდრე ჭყონიას
დიდი ღვაწლი მიუძღვის. 1893 წ. ქართულ გა-
მომცემელ საზოგადოებასთან შესდგა პატარა
წრე ალ. ჯაბადარის, ექ. თაყაიშვილის და
ი. ბაქრაძის თაოსნობით, რომელმაც დააარსა
ყოველთვიური შუნნალი „მოამბე“ პირვე-
ლად ნ. დოლობერიძის რედაქტორობით და
შემდეგ რედაქტორად მოიწვია ალ. ჭყონია.
ნ. დოლობერიძე იმ პირობით დათანხმდა თავის
სახელზე ნება გამოეტანა შუნნალის გამოცე-
მისა, რომ შემდეგ სხვა, წრის მიერ არჩეულ
პირისთვის გადაეცა შუნნალი. 1894 წლიდან
1905 წლამდის, ესე იგი შუნნალის დაკეტვამ-
დის, უსახსრობის გამო, ალ. ჭყონია იყო ერ-
თათ-ერთ ქართულ შუნნალის რედაქტორად
და ძლიერ სვინიდისიერათ აწარმოებდა საქმეს,
დიდ შრომას ეწეოდა და ბეჯითად იქცეოდა.
სარედაქციო შრომის გარდა, „მოამბეში“
ის სხვა შრომასაც ეწეოდა. ბეჭდავდა თავ-
ის მიერ ნათარგმნს უცხოელების თქმულებებს
საქართველოს შესახებ, შინაურ მიმოხილვებს
და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. შემდეგ, როდეს-
საც შუნნალთან ერთად გაზეთი „ცნობის
ფურცელი“ დაარსდა, ალ. ჭყონიამ იკისრა
ყოველდღიურის გაზეთის რედაქტორობაც და
ამ გაზეთის რედაქტორად იყო 1903 წლამდის.

დაუღალავმა მუშაობამ, კერძომ თუ საზოგადომ, უდროთო დაასწულა ალ. ჭყონია, მას შეეპარა გულის ავადმყოფობა, რომლის მიზეზითაც 1907 წლის 8 თქტომბერს გარდაიცვალა.

დაკრძალვას დაესწრნენ ყველა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ხოლო ალ. ჭყონიას დასაფლავება სხვა ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა დასაფლავებას არ ჰგავდა. განსვენებული არ თანაუგრძნობდა არავითარ გარეგან ფორმებს, ცრუ ჩვეულებებს და უმნიშვნელო ფორმალისტობას, ამიტომ სიცოცხლეშივე დაიბარა, რომ მისი კუბო გვირგვინებით არ შეეკოთ. როგორც თვითონ ჩუმი და დინჯი იყო, ისე დინჯათ და ჩუმათ მიაცილა ქართველმა საზოგადოებამ განსვენებული საშუალო საგანემდე. მღვდელმა თალაკვაძემ გრძნობიერ სიტყვაში გამოსატა, თუ როგორ დიდი დანაკლისია ალ. ჭყონიასთანა მუშაკის დაკარგვა ჩვენი პატარა საზოგადოებისთვის. მისი ამხანაგი ვექილი დუმიდოვი თავის სიტყვაში შეეხო განსვენებულს, როგორც ყოვლად ღირსეულ კაცს, საუცხოო ამხანაგს და საზოგადო მოღვაწეს. ნაფიც ვექილმა შეგალიემ ლამაზათ წარმოთქმულს სიტყვაში დაახასიათა განსვენებული, როგორც განვითარებული იურისტი, კარგი ვექილი, პროგრესული იდეების მქონი კაცი, მაღალი ზნეობით, მტკიცე ნასიათით შექობილი და განაცხადა, რომ ნაფიც ვექილთა კომისიამ ნიშნად პატივის ცემისა გადასწყვიტა, დაჰკიდოს ალ. ჭყონიას სურათი თავის საკრებულოში, რათა ახალგაზრდა ვექილთ მუდამ სახსოვრად და სამაგალითოდ ჩაუნერგონ ამ კაცის უებარი თვისებანი: გულ-წრფელობა, მიუდგომლობა, ზნეობრივი სიფაქიზე, პატიოსნება და

კეთილ-სინდისიერობა ყოველ საქმეში. ვარ-
დენ ყიფიანმა სასაფლაოზე ლექსი წაიკითხა“.
წერილს თანდართული აქვს ალ. ჭყონიას
სტატიებისა და წერილების სია.

(წყარო: 1. http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=98).

<https://ka.wikipedia.org/wiki/>.

<https://wikisource.org/wiki/%E1%8%E....>

„ძველი საქართველო“ — საქართველოს საისტორიო
და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი 1.
ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909
წელი.

<https://drive.google.com/file/d/1s9oaQYE8teCwtwC-Q3Moq0Mn5RWltkjZ/view>



ალექსანდრე ჯაბაღარი



ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბაღარი დაიბადა 1851 წლის 24 ივნისს საგარეჯოში. სწავლობდა თბილისის გიმნაზიისა და პეტროვსკოე-რაზუმოვსკის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში (ახლანდელი მოსკოვის ტიბირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო აკადემიიდან გაირიცხა.

1880 წელს ყოფილი სასახლის ქუჩაზე არწრუნის გალერეასთან მდებარე ი. ივანოვის ბიბლიოთეკა ალექსანდრე ჯაბაღარისა და დავით ნანუკაშვილის (ნანუკოვი) მფლობელობაში იყო. ბიბლიოთეკა თავდაპირველად ჯაბაღარის სახელით იყო ცნობილი.

ალექსანდრე ჯაბაღარი ქართველი საზოგადოების იმ დეპუტაციაში იყო, რომელმაც 1905 წლის 16 თებერვალს თბილისში მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენ. მაღამას გურიამი გაგზავნილი ჯარის შეჩერება მოსთხოვა.

1906 წლის იანვარში აირჩიეს ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების გამგე-კომიტეტის ერთ-ერთ წევრად; 1918 წლის ივნისში ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარედ დასახელდა. 1919 წლის ივლისში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბჭოს სსდომაზე აირჩიეს საჩუქო ოპერაციებთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელ კომისიაში.

1872 წელს მისი თაოსნობით დაარსდა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“, მანვე გახსნა წიგნსაცავი-სამკითხველო ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე მთავრობის

სტამბა და ცინკოგრაფია; გამოსცა ქართველ კლასიკოსთა თხზულებები.


XIX საუკუნის 90-იან წლებიდან თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იყო ჟურნალ „მოამბის“ დროებითი რედაქტორი (№5-9) და საგამომცემლო საზოგადოების თავმჯდომარე (1894-1895).

1897 წლის 2 დეკემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოცდამეხუთმეტე სხდომაზე ჟურნალ „მოამბის“ გამომცემლის ალექსანდრე ჯაბადარის განცხადებით, გამგეობას რედაქციისთვის ისტორიული ხელნაწერებისა და გუჯრების ბეჭდვისთვის ყოველწლიურად უნდა გადაეცა დაბირებული 20 თუმანი. გამგეობამ აღ. ჯაბადართან მოლაპარაკებების გამართვა ექვთიმე თაყაიშვილსა და დავით კარიჭაშვილს დააგალა.

1901-1906 წლებში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და მისი ყოველკვირეული „სურათებიანი დამატების“ რედაქტორ-გამომცემელია.

ალექსანდრე ჯაბადარის შესახებ საინტერესო მასალაა დაბეჭდილი ნიკოლოზ ბესარიონის ძე დოდობერძის წიგნში: „ქართული სტამბები 1627-1916. ნიკოლოზ დოდობერძე და ზოგი ქართველთა მოღვაწენი სურათებით“, სადაც ვკითხულობთ:

„ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარს სამაგალითო ბიოგრაფია აქვს. იგი სავსეა სწვა და სწვა ღირსეულის ცნობებით და მასთან სასტამბო საქმეთა შრომით ხომ შესანიშნავი ფაქტორი. ჩვენ აქ მართოდ მართო მის სასტამბო მოღვაწეობაზედ უნდა ვისაუბროთ, რადგანაც ესეც საკმარისია იმის საბუთად, რომ ვიცოდეთ ამ კაცის ენერგიული შრომა და სიძარბო ქართველის ტომის და ქართუ-



ნიკოლოზ
დოდობერძე

ლის მწიგნობრობის ბეჭდვის და ქართული სტამბის წარმოების წინაშე.

ალექსანდრე ჯაბადარმა იაკობ მანსვეტოვის მიერ ბოძებული სტამბა კარგად მოაწყო და მოქარვა.

სტამბას რა დანიშნულებაც დაუდო წინ იაკობ მანსვეტოვმა, ჭეშმარიტად, მის შესრულებას და განხორციელებასაც ალექსანდრე გიორგის ძე დიდის ხალისით დაადგა, მოკლე დროის განმავლობაში ალ. ჯაბადარმა ასახეულა კაზმულ წიგნთ გამომცემლობა და გამოსცა რამდენიმე შესანიშნავი წიგნები ქართველთა წარჩინებულ მწერართა, ამას გარდა, მანვე სტამბის საქმეც ჩინებულად მოაწყო და ამ გარემოებამ მის გამომცემლობასაც ხელი შეუწყო და დააწინაურა.

სტამბის კარგად მოწყობის საქმემ ალ. ჯაბადარს გაუადვილა და შეაძენინა გამოსაცემად ჟურნალი „მოამბე“, რომელ ჟურნალიც ალ. ჯაბადარისავე გამომცემლობით თითქმის 8 წელს იბეჭდებოდა და უნდა ითქვას, რომ ეს ჟურნალი ისე კარგად და შინაარსიანად გამოდიოდა, რასაც ღირსებით სხვები სულ ვერ შეედრებინ. „მოამბის“ ასეთი ღირსება მთელს ქართულის საზოგადოების წინაშე ცნობილია კარგად და ამიტომ მასზედ აქ ჩვენ ბევრს არას ვიტყვით, იმას კი მოვიყვანო, რომ ჟურნალის გამომცემის საქმეს დიდათ უწყობდა ხელს სტამბის არსებობის საქმეც.

ქართული სტამბა მარტოდ „მოამბის“ გამომცემის საძირკვლად და სახსრად არ დარჩა, იგივე გახდა უმთავრესი იარაღი იმ სამწერლო გარემოების, რომ ალ. ჯაბადარი გახდა რექტორად დღიურის გაზეთ „ცნობის ფურცლის“, რომელ გაზეთის გამომცემაც მან ვაღ. გუნიასაგან შეიძინა. რადგანაც ამ გაზეთმაც

აღ. ჯაბადრის რედაქტორობით იწყო გამოსვლა და მასთან იგი გამოდიოდა საზოგადოთ, ამიტომ აქ მასზედ ვიტყვით თორიდ სიტყვას სულ მოკლედ.

ქართულს ენაზედ ბევრი გაზეთი ვერ შეედრება „ცნობის ფურცელს“ ვერც ღირსებით და ვერც სწავლით, ამას გარდა, იგი გამოდიოდა ფართოს ზომის, სურათების და მატებით და მასთან ისე იაფადაც, წლით ღირდა 6 მ. და ნომერი 3 კაპ. რის მაგალითიც ქართველებში არ ყოფილა და რის გამოც ენაზედ მართლაც და აღექვანდრე ჯაბადარს მიუძღვის დაუფასებელი შრომა, უანგარო სამსახური; მისის ცდით და ხასიათის გაუმჯობესებით საქმე იქამდის მიადწია, რომ ერთ დროს ამ გაზეთის 12 ათასი ხელის მომწერი ჰყავდა, რაც ქართველებში პირველი მაგალითი იყო.

აღ. ჯაბადარი ყოველს თავის ენერგიულს შრომასთან იგი დვაწლდებულა მითაც, რომ საქართველოში მან შემოიღო ცინკოგრაფია და ესეც განსნა სტამბაში, ესეც მეტად დიდი საქმე იყო და პატივსაცემიც მრავალთაგან. ცინკოგრაფიამ ხელი შეუწყო გაზეთის დამატების გამოცემის და გავრცელების საქმეს; რაც ჩვენში ყველამ ვიცით კარგად, სტამბას სჭირდებოდა ხშირად სწვა და სწვა ზომის ასოები და იმეცადინა მან და სტამბასთან განსნა ასოების ჩამოსასხმელი, ანუ სლავალიტნი. სტამბის სახელოვნება მართოდ ამით არ განსაზღვრა, მისთვის საჭირო იყო საკაზმაგი და ესეც მოაწყო, სადაც კეთდებოდა ყველა ქართულ გამოცემანი. ბევრი წიგნის ყდები მეტად ანტიკად და სუფთად კეთდებოდა.

აღ. ჯაბადარმა სტამბა ისე მოაწყო და ისე გაამდიდრა სასტამბო იარაღებით, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა სტამბაში და

რითაც ეს სტამბა ტფილისში გახდა პირველ ხარისხის სტამბათ. ასეთ პირველ ხარისხის სტამბა კარგად ენმარებოდა როგორც „მოამბის“ საქმეს, ისევე ვაზ. „ცნობის ფურცლის“ გამოცემას და მასთან სხვათა საქმიეებსაც, ზაკაჰნიკების და ნამეტურ ქართ. წიგ. გამ. ამხანაგობის გამოცემას სომ ძიძათ და იარაღათ მოეგლინა და ამ საქმის საშუალებით გაბრწყინდა კარგი ქართული წიგნების გამოცემა და მასთან ვრცელი წიგნების ტომებისაც.

ასეთის საქმიეებით ალ. ჯაბადარმა ისეთი დაფალება დასდო, ისეთი ამაგი გაუწია ქართველ ერს, რასაც ფასი არა აქვს, იგი დაუფასებელია. ამისი შრომა არის მეტად ძვირფასი და ვალ გადახდილი წინაშე სამშობლო ქვეყნის, ქართველი ერის და მწიგნობრობის. ქეშმარიტება არის ამის მოწამე, რომ ალ. ჯაბადარმა ქართველ ერს სინდისიერად ემსახურა მწიგნობრობის მხრით და მისი გამოცემანი და ჟურნალ-გაზეთიც ერთობ იაფად ღირდა. ამ ენერგიის კაცს სურათები რუსულს ენაზედაც რომ დაუწყო გამოცემანი, იქ მას უთვალავი ხელის მომწერნი ეყოლებოდა და კაი ფულსაც შეიძენდა და ქართველებში კი მან მტრობის მეტი არა შეიძინა რა.

მადლობის მაგიერ ალ. ჯაბადარს და მის სასტამბო მოქმედებას ბევრნი საყვედურებს უთვლიდნენ. მადლობელი არ იყვნენ მასზედ, რომ გაზეთსა და ჟურნალს ისე იაფი ფასი აქვნდა წლიურად, ამას გარდა, ხშირად ბეჭდავდა ვრცელ ტომებს, რის მაგალითიც სხვაგან ჩვენში ეს არსად ყოფილა. მიუხედავად უმაღურობისა, ალ. ჯაბადარი გულის არ იტყენდა, თავის ვალდებულებას სტამბის და წიგნების გამოცემის წინაშე სვინდისიერად ასრულებდა, როგორც ფართო გაზეთის გამოცემას და

ჟურნალის, ისევე მშვენიერ წიგნებსაც ბეჭდავდა. ამ ამხანაგობამ, მისმა სტამბამ და ალ. ჯაბადარმა შექმნა თითქმის ქართული ახალი ხორც-შესხმულ წიგნების მწერლობა.

ასე სინიდისიერად უძღვებოდა ალ. ჯაბადარი როგორც წიგნების გამოცემის საქმეს, ისევე სტამბის წარმოებას. რკინის გზის საქმის აღება მხოლოდ ალ. ჯაბადარს ყველაფერი შრომა გაუორკეცა და გაუდიდა. რკინის გზის საქმის წინაშე გაძლიერდა უნდა დიდი ენერგიული კაცი, უნდა მომზადებული და სტამბის საქმეებშიც კარგად გამოწურთული ფაქტორი, უამისოდ აქ კაცი ვერაფერს გააწყოფს, სტამბა მეტად რთული, დიდი და ძნელი აღსასრულებელია.

ყველაფერს კარგად აწარმოებდნენ და სტამბა დღითი დღე სახელოვნებას იძენდა, მათთან ქონებითაც მდიდრდებოდა, ამ დროს მონდა ჩვენის ქვეყნის 1905 წ. აურ-ზაური. ამ გარემოებამ სტამბაზედაც იქონია დიდი გავლენა. ამით სტამბა შეფერხდა საკმარისად და ამას წარაღივ მოჰყვა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო. ვინაიდან არც ერთი ასეთი დაწესებულება არ გადარჩა ასეთ წარაღს, ზოგი მთისპო კიდევ, ხოლო ეს სტამბა კი დაწარაღდა და მთისპოთ კი მას არაფერი შემჩნევა. რასაკვირველია, ესეც ალ. ჯაბადარის ენერგიული შრომა გახლდათ.

დაგალიანებამ სტამბა მოვალეებს ჩაუგდო ხელში, პირველ მოვალედ დაგით პაატას ძე მაჭავარიანი გახლდათ, ვინც დაუწყო სტამბას წარმოება და შესავლიდამ ვალეებს დაუწყო ძლევა. ამ გვარად მის ხელში კარგა ხანს დარჩა სტამბა, ვალეების საქმე ზოგი გადაწყდა, ზოგი გადაუწყვეტი დარჩა. ეს გარემოება ალ. ჯაბადარისთვის ისეთ გაწვიადებულად

აღმოჩნდა, რაისა გამო დახანება აღარ ინდომეს. აღ. ჯაბადარმა მოახერხა და უკანასკნელი მოგალეც მთიშორა. მით სტამბა მათის ზედამხედველობისაგან გაათავისუფლა. დღეს სტამბის გარემოება ასეთი არის, რაზედაც აღ. გიორგის ძეს ერთობ ბევრი შრომა და ცდა მიუძღვის.

ეს სტამბა ისტორიული სტამბა გახლავთ. იგი დაარსებულია მდიდარის მიზნით ბევრის მოღვაწეობის და სამსახურის შექმნევ. ამ სტამბის ბოლოც რიგიან ბოლოთ დაგვირგვინდა. იგი შეიძინა იაკობ მანსვეტოვმა და მერე იგი გახდა „ქართველ წიგნთ გამომცემელ ამხანაგობის“ საკუთრებათ. ქართველთ ცნოვრებაში ამ სტამბას ისეთი სამსახური მიუძღვის, მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართველთა ცნოვრებაში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ქართულ სასწავლებლებს და სხვა ასეთ საზოგადო დაწესებულებათა, მათხედ უფრო მეტი და მასთან კულტურულ-პროგრესული. ამიტომ ვინატრებთ ამ სტამბის დღევანდელობას და დღითი დღე გამდიდრებას და წარმატებას“.

ალექსანდრე ჯაბადარის მოკლე ბიბლიოგრაფია: 1920 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა სტატიები: „საქართველოს ნაფოსადგური უნდა“; „ცნვისა და საქონლის მომშენებელთა მომავალი ყრილობის გამო“; მოხსენება „ჩვენი მატყელი და მისი გამოყენება“. მისი შემუარები დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1934, №№ 1-6).

ალექსანდრე ჯაბადარმა თავისი მდიდარი და იშვიათი ბიბლიოთეკა სიცოცხლეშივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა.

საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერი, რე-

დაქტორ-გამომცემელი, მთარგმნელი ალექსანდრე ჯაბადარი 1933 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა თბილისში.

ალექსანდრე ჯაბადარის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. შექმოსწირა თინათინ სასოკიამ 1968 წლის 2 ივლისს (შექმოსულობათა წიგნი № 319).

(წყარო: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94_%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98

<https://society.iliauni.edu.ge/persons/1709-aleqsandre-giorgis-dze-jabadari>

https://manuscript.ge/portfolio_page/aleksandre-jabadari/)

„ქართული სტამბები 1627-1916. ნიკოლოზ დოღობერიძე და ზოგი ქართველთა მოღვაწენი სურათებით“, გვ.: 226)



ბიოგრაფიული ლასხიშვილი




გიორგი მისხილის ძე ლასხიშვილი დაიბადა 1866 წლის 25 დეკემბერს, ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიაში ჩამოყალიბდა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად. სწორედ აქ სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „სტჰორი“, რომელიც თავგამოდებით ილაშქრებდა ყოველგვარი ანტიქართულის წინააღმდეგ.

1884 წელს ჩარიცხა თბილის (ნოვოროსიისკის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სერგეი მესხთან ერთად აქტიურად ჩაება რევოლუციური ორგანიზაციის „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლიას“ სამხრეთის ჯგუფის მუშაობაში, რისთვისაც 1887 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს, ხოლო 1888 წლის 2 თებერვალს დააპატიმრეს და 6 თვე ქუთაისის ციხეში ამყოფეს. გათავისუფლების შემდეგ ერთ ხანს მუშაობდა საადგილმამულო ბანკში, მაგრამ 1889 წლის ზაფხულში კვლავ დააპატიმრეს და 5 წლით გააციმბირეს. პირველი წერილი ირკუტსკის პროგრესულ გაზეთ „Сибирская газета“-ში დაბეჭდა. კორესპოდენტებს ბეჭდავდა თმსკის გაზეთში „Степной край“.

1894 წელს საქართველოში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით — მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოეხმარებინა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ამ განწყობით წარუდგინეს იგი 1895 წლის იანვარში გაზეთ „იშვრიაში“ ილია ჭავჭავაძეს. იმ პერიოდიდან მუშაობდა „ივერის“ რედაქციაში, სადაც „ლალის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საზოგადოებრივ-პოლი-


ტიკურ საკითხებზე. ასევე პრესაში აქვეყნებდა წერილებს ფსევდონიმებით: „Ган“, „გან“, „გაბისონია“, „ესიკელა კვაჭანტირაძე“, „ესიკელა კვაჭანტირაძე“, „ლ-ლი“ და „ლა-ლი“. თანამშრომლობდა „Новое обозрѣніе“-ში, „მოამბეში“, „კვალში“...



ეს პერიოდი საქართველოში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით ხასიათდებოდა — დემოკრატიული ბანაკი ორად გაიყო. ვინც ცდილობდა ამ დაპირისპირებული ძალების კონსოლიდაციას, მათ შორის ერთ-ერთი პირველი გიორგი ლასნიშვილი იყო. იგი აღნიშნავდა: „დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას, ერთი აზრით განმსჭვალუდს.“ გიორგი ლასნიშვილმა ერთგულ მიმდინარეობათა გამაერთიანებელი ორგანიზაციის შექმნის მიზნით „ივერიაში“ თავი მოუყარა ახალგაზრდა პუბლიცისტ-ინტელიგენტთა რადიკალურად განწყობილ ჯგუფს. „ივერიის“ დახურვის შემდეგ (1896) ეს ჯგუფი „ცნობის ფურცლის“ გარშემო გაერთიანდა. 1900 წლიდან გახდა რეორგანიზებული გაზეთი „ცნობის ფურცლის“ ფაქტობრივი რედაქტორი. სწორედ აქ ჩაისახა მომავალი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის პრაქტიკული ხელმძღვანელობა მანვე იტვირთა.

1905 წელს პარიზში ყოფნისას იყო გაზეთი „საქართველო“ ერთ-ერთი რედაქტორი.

ეს აქტივობა უყურადღებოდ არ დარჩენია ხელისუფლებას, რომელმაც 1910 წელს ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის ლიკვიდაცია შეძლო. გიორგი ჯერ 7 თვით ჩასვეს მეტენის ციხეში, ხოლო შემდეგ 5 წლით კავკასიაში ცნობრება აუკრძალეს. მან ხარკოვში სამი წელი გაატარა, შემდეგ



ბაქოში დასთან გადასვლა მოახერხა; მოგვიანებით თბილისში დაბრუნდა.

1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი.


1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს.

1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. რესპუბლიკის პირველ მთავრობაში იყო განათლების მინისტრი და მთავრობის კაბინეტში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი. დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად 1918-1921 წლებში საფუძველი ჩაუყარა არაერთ საგანმანათლებლო-აღმწრდელით დაწესებულებას. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის, ქმედით მონაწილეობას ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტისა და თბილისის კონსერვატორიის დაარსების, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების საქმეში და სსგ.

1919 წელს აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად.

1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სიით; იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის XI არმიის შემოტევების შედეგად ოჯახით ბათუმში ჩავიდა ემიგრაციაში წასასვლელად, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა



და საქართველოში დარჩა. 1920 წლის თებერვალში დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში, სამარტოთ საკანში. 1924 წელს ხელმეორედ დააპატიმრეს.

ბოლოს ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სამინისტროში საფინანსო აგენტად, ბანკის გამგეობის წევრად. 1926 წელს სამსახურსაც დააჩეხა თავი.

პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ლასნიშვილი გარდაიცვალა 1931 წლის 15 მარტს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.


გიორგი ლასნიშვილის მემუარები გამოიცა 1934 წელს.

2018 წლის 23 მაისს ქ. თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩას მიენიჭა გიორგი ლასნიშვილის სახელი.

(წყარო: <http://firstrepublic.ge/ka/biography/143>;

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98_%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

tbsakrebulo.gov.ge/uploads/oqmebi/saxeldebisa_da_simbolikis_komisia/_14_-_23.05.2018.PDF.






**სრულიად საქართველოს სხანის მოღვაწეთა
პირველი ყრილობის პრაზიდენტი. 1914 წ.**

**მარცხნიდან მდივნები: იოსებ რომანიშვილი,
კ. ანდრონიკაშვილი; თავმჯდომარის ამხანაგები:
ალექსანდრე კრინიძე, კიბა აბაშიძე; ყრილობის
თავმჯდომარე გიორგი ლასნიშვილი;
ყრილობის საპატიო თავმჯდომარე
აკაკი წერეთელი; ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილი,
იოსებ ბარათაშვილი, შალვა ღაღინი, სიმონ ჭანჭავაძე,
იოსებ იმედაშვილი და პოლიომ ირავთელი.**


არჩილ ჯორჯაძე

არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე დაიბადა 1872 წლის 10 იანვარს თბილისში. 1892 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა ვარშავაში, მაგრამ პეტერბურგში მალევე დაბრუნდა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ლექციებს ასმენდა პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. ამ პერიოდში იგი სოციოლოგიით ინტერესდება, შემდეგ ლევ ტოლსტოის მოძღვრებამ გაიტაცა. ერთხანს ინგლისში ცხოვრობდა ტოლსტოველთა კოლონიაში, ესექსის საგრაფოს სოფელ პერლიფლასში. 1897 წელს ტოლსტოველთა თემაზე აწერნაღ „СЪВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ“-ში გამოაქვეყნა წერილი: „ზნეობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოცდილება“, რომელმაც ლევ ტოლსტოის ყურადღება მიიპყრო.




1901 წელს ბრუნდება საქართველოში და აქტიურად ებმება ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თანამშრომლობდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. 1901–1902 წლებში გამოქვეყნებული წერილების სერიაში არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა ე. წ. საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების კონსოლიდაციის თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენდა.

1903–1905 წლებში პარიზში გამოსცა პირველი ქართულ-რეგოლუციური გაზეთი „სამბართველი“, „La Georgia“, ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე — თავისუფალი



ლევ
ტოლსტოი



ორგანო, რომელმაც წამოაყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა. გაზეთის რედაქტორობდა **არჩილ ჯორჯაძე**, 1905 წლის უკანასკნელი ნომრებს რედაქტორობენ — **ბიორბი ლასხიშვილი** და **თედო სახრობია**.

1904 წელს მიწვეული იყო უენევაში, როგორც ქართული პოლიტიკური ფრაქციების კონფერენციის ორგანიზატორთაგანი. სწორედ აქ შეიქმნა „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულაციო პარტია“. იგი იყო ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი და მთავარი იდეოლოგი. მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი მოძღვრების — სოციალიზმ-ფედერალიზმის — ჩამოყალიბება.

არჩილ ჯორჯაძე, რომლის უპირველეს ინტერესს ეროვნული საკითხი და მისი სწორად გაგება წარმოადგენდა, იყო პირველი, რომელმაც უენევის კონფერენციაზე გააუღერა, რომ საქართველო არ იყო რუსეთის რიგითი პროვინცია, არამედ ის იყო ქვეყანა, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოდა. წერილებში ის ხშირად განიხილაფს სხვადასხვა ქვეყნის ავტონომიის საკითხებს. სწორედ არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა „გაკაფეს გზა თანამედროვე აზროვნებისკენ და შესაძლებელი გახადეს არაფრისგან შექმნათ სახელმწიფო, რომელიც ნელ-ნელა ახდენდა ინტეგრაციას თანამედროვეობაში. მათი წარმატების მწვერვალი იყო, რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვება, თუმცა ეს წარმატება მხოლოდ სამ წელს გაგრძელდა“.

თავგანწირულმა მუშაობამ ავი შედეგიც გამოიღო — მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, ერთხანს ჩოჰინის საა-

ვადმყოფოში იწვა, შემდეგ შვეიცარიაში ექიმ ს. დიასამიძისა და როსტომაშვილის დახმარებით ანეტა ბაბესთან დაბინავდა. აი, რას წერდა შვეიცარიიდან კლარანსში სამკურნალოდ წასული არჩილ ჯორჯაძე ანეტა ბაბეს: „იყო დრო, როდესაც სამშობლო და მამული ჩემთვის ცარიელი სიტყვა იყო, იყო დრო, როდესაც ვითომ ღმერთს ვეძებდი, სინამდვილეში კი უმელო, უსაგნო და უმიზნო სიცოცხლეს კი გაჩანჩალებდი. რამდენიმე წელიწადია, ყველა ამას თავი დაფაღწე, ჩემს გულში აღმოვაჩინე ის, რაც ჩემი არ მეგონა, ადამიანი და ხალხი შემიყვარდა. ამ დროიდან შედარებით ბედნიერი ვარ. და ესეა იმ მდგომარეობაში ვარ, ყველაფერი მივცე ამ აზრის განხორციელებისათვის, რომელმაც მე გამაცოცხლა.“

არჩილი ყოველთვის მატერიალურ სიგიწროეს განიცდიდა, მაგრამ, გაჭირვებისა და ავადმყოფობის მიუხედავად, სისტემატურად მუშაობდა, არ დარჩენილა არც ერთი სფერო — ფილოსოფია, სოციოლოგია, რელიგია, ხელოვნება — არჩილის პუბლიცისტურ შემოქმედებაში არ ასახულიყო. მისი გამოკვლევები საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ბათუმში გაატარა. სიკვდილამდე ორი კვირით ადრე მეგობრებით გარემომრტყმულმა თავისი ნაწერები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე იგი მეგობარსა სწერდა: „ადამიანის ბედნიერება ღვთიური ვალის ასრულებაშია. ვინც ამ ვალს ასრულებს, იგი უკვდავია და ერთვის მარადისობას. თქვენც ამ ვალს ასრულებთ და, მაშასადამე, ვერც უგვანო სინამდვილე გაგი-

ტენსთ სულს.“ იგი გარდაიცვალა 1913 წლის 21 მარტს ბათუმში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თბილისში, მთაწმინდის რაიონში (გარეთუბანი), რუსთაველის გამზირიდან რევაზ თაბუკაშვილის ქუჩამდე არსებული სივრცე 1923 წლიდან არის არჩილ ჯორჯაძის სახელობის ქუჩა.

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა არჩილ ჯორჯაძის „წერილები“. წიგნში შესულია შექმნილი ნაშრომები: მთლიანი და საქმე; თვითმოქმედებაზე; თვითმოქმედების შიშის წარი; ჩვენს საქართველოში კითხვები; საერთო მოქმედების ნიდაგი; დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმი; ერთგული დემოკრატიზმი.

არჩილ ჯორჯაძის 16 პუბლიკაცია პდფ ფორმატში გამოქვეყნებულია ელ-მისამართზე: <https://gdi.ge/publication/archil-jordjadze.page>).

(წყარო: [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94;); <http://laterna.ge/?cat=46&show=5844#.YIL9zCgzblU>;



გიორგი ზდანოვიჩი

გიორგი ზდანოვიჩი — მაიაშვილი (ფსევდონიმი) დაიბადა 1855 წლის 4 ნოემბერს ქუთაისში.

1871 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ხოლო 1873 წელს სასწავლებლად პეტერბურგის სამხედრო-სამკედინო აკადემიაში გადავიდა ქირურგიის საფუძვლიანად დაუფლების მიზნით.

1874 წელს მოსკოვში მიემგზავრება; 1875 წელს რევოლუციური მოღვაწეობის გამო დააპატიმრეს; ზდანოვიჩის რევოლუციური ფსევდონიმი იყო „რიჟი“. 1877 წელს სწავლას ერთად „50-იანელების“ პროცესზე გაასამართლეს და მოუსაჯეს ციმბირში გადასახლება 6 წლითა და 8 თვით; მის წარმოთქმულ სიტყვას დიდი გამომხაურება მოჰყვა მაშინდელ საზოგადოებაში და არც დღეს დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

გიორგი ზდანოვიჩის სულიერი ბუნება ვერანაირმა განსაცდელმა ვერ გატეხა. ის ცნებებიც და მის გარეთაც მუდამ იმას ცდილობდა, რომ ხალხში არ ჩამქრალიყო ეროვნული სულისკვეთება. პატიმრობაში ყოფნის დროს გარე სამყაროსთან, ხალხთან კავშირის დასამყარებლად და მათთვის თავისი აზრების გასაზიარებლად მან მოიმარჯვა პუბლიცისტის მანვილი კალამი.

1882 წლიდან ქართულ პუბლიცისტიკაში გიორგი ზდანოვიჩის გამორჩეული ადგილი ეჭირა. ის მწერლობაში ცნობილი იყო „მაიაშვილის“ სახელით. გიორგი ზდანოვიჩმა, როგორც ფართო განათლებისა და მაღალი გემოვნების





ბუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, მალე მოხსენებდა სახელი მკითხველთა შორის და ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი გახდა.

1886 წლიდან ტომსკში ხელმძღვანელობდა „Сибирская газета“-ს. 1889 წელს დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისში დასახლდა. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და მოღვაწეები; დაინტერესებული იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნდა; მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული საქვეყნოდ განთქმული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან; იყო მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს ყრილობის დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი; 1896-1917 წწ. ამ ყრილობის უცვლელი ხელმძღვანელია; იმ პერიოდში არ ყოფილა ჭიათურაში არც ერთი ღონისძიება, რომელშიც იგი არ იღებდა მონაწილეობას; გაჰყავდა ქუჩები, გზები, აგებდა ხიდებს, მუშათა თეატრებს, სასადილოს, ბიბლიოთეკებს, აბანოს, წყალსადენებს, საკანალიზაციო სისტემებს და სხვ. 1897 წელს ჭიათურაში გაიხსნა საექიმო ბუნქტი, აფთიაქი; აიგო მცირე ელექტროსადგური და 1907 წლიდან ჭიათურის მოსახლეობა ელექტროგანათებით სარგებლობდა; გაყვანილ იქნა სატელეფონო ხაზები; 1911-1914 წ-ში არსებობდა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი, ჭიათურის ვაჟთა უმაღლესი სასწავლებელი, ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, სამთო ტექნიკის განყოფილება და სხვ. მისი ინიციატივით შეიქმნა მუდმივი საკონტროლო კომისია, რომელიც მრეწველებსა და უცხოეთის ფირმის წარმომადგენლებს საგრძნობლად უზღუდავდა მუშების წონაში

მოცუვების შესაძლებლობას.

მთელი თავისი ნიჭი, გონება და ნებისყოფა მშობელი ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლას შესწირა. ავტორია ორი წიგნისა: „რჩეული ნაწერები“ (ავტორი)//ტ.2: 1892-1916 წწ. — თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1968. „რჩეული ნაწერები“ (ავტორი)//ტ.1: 1877-1891 წწ. — თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1967.

საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გარდაიცვალა 61 წლის ასაკში — 1917 წლის 30 ივლისს. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილას პანთეონში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურის ცენტრის კულტურული მემკვიდრეობის განვითარების დეპარტამენტის თრგანოებით ჭიათურაში, სანლში, სადაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) ცხოვრობდა, მემორიალური დაფა გაიხსნა.

მემორიალური დაფის გახსნის იდეა კულტურის ცენტრში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა რადა სადილოვამ გააჟღერა. ინიციატივისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატეს მუნიციპალიტეტის მერმა გივი მოდებაძემ და მაჟორიტარმა დეპუტატმა სულხან მახათაძემ.

წყარო: mwvanekvavila.blogspot.com;

ქართულ მოღვაწეთა ლექსიკონი,


1801-1952: ტ. II.

ელ / იოსებ იმედაშვილი. - თბ., 2021. გვ.210.

<http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/radasadilova.pdf>



სამსონ ფირცხალავა



სამსონ ვიორგის ძე ფირცხალავა დაიბადა 1872 წლის 4 მარტს ქუთაისის მაზრის სოფელ მათხოჯში. ანბანი უფროსმა ძმებმა შეასწავლეს, შემდეგ სოფლის დიაკონს მიაბარეს. მოგვიანებით კი ხონის ორკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს. სწავლასწავა დროს სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუშაობდა ქუთაისსა და ჭიათურაში. 1901 წლიდან გადმოვიდა თბილისში.

1902-1910 წლებში ასრულებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნისა და საქმეთა მმართველის მოვალეობას. პარალელურად უძღვებოდა საზოგადოების კანცელარიასა და ბიბლიოთეკასაც.

ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას: იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1901) და ლიდერი, მესამე დამფუძნებელი კრების (1906) მონაწილე, 1907-1909 წლებში პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტი გახდა.

1908 წელს აირჩიეს აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტის მდივნად. 1910 წელს გადაასახლეს ქალაქ ტყურში, საიდანაც 1913 წელს დაბრუნდა.

1917-1919 წლებში იყო საქართველოს ერთგული საბჭოს, ხოლო 1919-1921 წლებში



აკაკი
წერეთელი


საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე მიღებულ და 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს“, მან როგორც ეროვნული საბჭოს წევრმა და საქართველოს პირველი მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების — წევრმა, რიგით 54-ე (1918 წ.) და 93-ე (1919 წ.) მთაწერა ხელი.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შედეგ, 1922-1946 წლებში, პოლიტიკური ემიგრანტია.

ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე იყო, როცა დაიბეჭდა მისი პირველი კორესპონდენცია გაზეთ „ივერიაში“. იგი ასე იხსენებს ამ ამბავს: „გიმნაზიელობის ხანას ეკუთვნის ჩემი პირველი წერილების დაბეჭდვა გაზეთ „ივერიაში“ „სან-გინის“ ფსევდონიმით 1893 წ. თებერვლის 2, 9 და 12 ნომრებში. ეს იყო სამი რეცენზია ქუთაისის თეატრის წარმოდგენებისა — „ქართული დრამა ქუთაისში“. სამწერლო მიდრეკილება ადრე გამოვიჩინე: მენუთე თუ მექქესე კლასში ვიყავი, როცა „ივერიაში“ კორესპონდენცია გავეუგზავნე ჩვენი სოფლიდან, ჩვენებურ ამბებს ვატყობინებდი.“

1901 წლის 29 დეკემბრიდან (1901-1902) გაზეთ „ივერის“ კორექტორია. „ივერიაში“ სისტემატურად ათავსებდა სტატიებს. ძირითადად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და ფელეტონებს. იყენებდა ფსევდონიმებს: „კალამი“, „სიტყვა“, „ქლიბი“, „იფიფე“, „შინ“, „შინ“, „?“, „?“, „?“, „სამსონი“, „არჩ.-იანი“,





„კ.ი.“, „კალამი ნახე“, „კალე“, „სა-ფარი“, „სა-ფარი“, „სანფარი“, „სანფინი“ და „ტოროლა“.

1902 წლის 14 აპრილს გადავიდა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში და შეუერთდა რედაქციის ირგვლივ თავმოყრილ ჯგუფს, რომელიც შექმდებოდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დამფუძნებლად და მთავარი კომიტეტის წევრად იქცა. ამავე დროიდან ეწევა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. „ონრანკის“ (მეთვალყურის) სათვალთვალთა ჟურნალებში გატარებულია მეტსახელით — „Секретарь“. 1905 წლის თებერვალში, როგორც „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი, თან ახლდა სულთან კრიმ-გირეისა და აბოლონ წულაძის მისიას გურიაში. იყო გაზეთ „ბლენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ფაქტობრივი რედაქტორი (1906). 1906 წლის მეორე ნახევარში დაბრუნდა ტფილისში და განაგრძო მუშაობა დახურული „ცნობის ფურცლის“ მეკვიდრე გაზეთ „შრომაში“. 1906-1907 წლებში მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალები „ბლენი“ და „მიწა“, 1908-1909 წლებში კი — სალიტერატურო გაზეთები „მზე“ და „შასპუნჯი“. რედაქტორობდა გაზეთ „სახალხო სამხმს“ (1917-1921).



დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული წიგნის გამოცემის საქმეში. ავტორია ისტორიული თხზულებებისა ილიაზე, თამარ მეფეზე, ძველ მესხეთსა და საქართველოს უძველეს ისტორიაზე. 1907 წელს მისი თანაავტორობით გამოვიდა კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. 1918 წელს გამოცემულ მის წიგნში „ერი და ეროვნება“ განვითარებულია ეროვნული საკითხის გადაჭრის

სულთან
კრიმ-გირეი

წვრილბურჟუაზიული კონცეფცია.

ემიგრაციაში აგრძელებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თანამშრომლობდა ქართული პოლიტიკური პარტიების „ერთიანი ფრონტის“ გახეთ „ღამოშკიღებელ სპარტო-ველოში“ და სოციალისტ-ფედერალისტთა საზღვარგარეთის ორგანიზაციის ჟურნალ „სოციალისტ-ფედერალისტში“. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „სახალხო საქმე“ (1926–1935). იყო საფრანგეთის ქართველ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

გარდა წერილებისა, უცხოეთში აქვეყნებდა პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წიგნებს. კერძოდ. „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“ (პარიზი, 1935), „ისტორიული ლანდები“ (პარიზი, 1934), „თამარ მეფე“ (პარიზი, 1939), „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“ (პარიზი, 1947). ისტორიული შინაარსის მცირე ზომის გამოცემათა შესახებ ავტორი ამბობს, რომ მისი მიზანია „პატარა-პატარა ამბების ხანით გაგაცნოთ მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდები... ენლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლია თავისი ერის თავგადასავლის სრული უცოდინარობა და ამით მეტად შეფერხებულია როგორც ჩვენი საზოგადოებრივი, ისე ყოველდღიური ცხოვრება...“

ემიგრაციაში ყოფნის წლებში პედაგოგადაც მოღვაწეობდა. პარტიულ თანამებრძოლ ფილიპე შარაძესთან ერთად ქართულ ენასა და ლიტერატურას, მშობლიურ ისტორიას ასწავლიდა და აყვარებდა უცხოეთში დაბადებულ ქართველთა ახალ თაობას.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ



საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ქართული ემიგრაციის ლიდერები, დაბრუნებულიყვნენ საქართველოში; ლიდერების უმრავლესობამ ამ შემთავაზებაზე უარი თქვა. სამსონ ფორცხალავა 1947 წელს დასთანხმდა წინადადებას. 1947 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ-ში დაბრუნების ნებართვა მიიღო.

1948 წლის 19 იანვარს ბარიზიდან მოსკოვის გაგლით გამოემგზავრა სამშობლოში.

მამულში დაბრუნებული სამსონი უზომოდ მონატრებულ სამშობლოს ერთობ ამაღელვებელი სიტყვებით მოეფერა:

„ეგლაგ შენთან ვარ, ჩემო სამშობლოც! სალაპი ჩემო მშვენიერო მრავალფერად მონატრულო, ყოველი სიმდიდრით შეპყულო, გულით კეთილშობილო, გმირული ქვეყანავ, სალაპი შენ!


ჩემი გული შენი სიყვარულის ცეცხლით ძვეს. გონებას შენი ფიქრი წარმართავს, ჩემს არსებას მხოლოდ შენ ფლობ, ვსუნთქავ შენს ჰაერს, ვჭვრეტ შენს სახეს, მესმის შენი ხმა, შევცქერი შენს დიდებულ აწმყოს და შენ მიღიმი, მეაღერსები, შენს მადლს გადმოაფრქვევ ჩემზე.

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ!

რა წმინდაა შენი მიწა! აი, დაგდივართბილისის ქუჩაზე და მეკრძალებოა, მეძმძმება მიწაზე ფეხის დაბიჯება“...

დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, ძმისშვილის ოჯახში. მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სამსონ ფორცხალავა 1951 წლის 24



**ფილიპე
შარაძე**

დეკემბერს, სამსახურში ყოფნისას დააბატონრა.

25 დეკემბერს მისი ოთახის ჩხრეკისას და შემდგომ დღეებში დაიკარგა სამსონ ფირცნალავას პირადი ბიბლიოთეკის იშვიათი გამოცემები; ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას.

1952 წლის 7 იანვარს სამსონ ფირცნალავას ანტისაბჭოთა საქმიანობაში მონაწილეობის ბრალი წაუყენეს (სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა; 58-10 ნაწილი 1; 58-11 მუხლებით). ბრალდებას საფუძვლად დაუდეს 1937 წელს დაზრეტილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრების ჩვენებები, სადაც სამსონ ფირცნალავა დასახელებული იყო პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის ლიდერად.

ძიების პროცესში მოთავსებული იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შიდა ცინის ცალკე საკანში, სარდაფში.

1952 წლის 5 ივლისს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა სამსონ ფირცნალავას ბრალი დადასტურებულად ცნო და მას შრომა-გასწორების კოლონიაში 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

1952 წლის 15 ივლისს გადაიყვანეს თბილისის ცინის საავადმყოფოში, სადაც 26 ივლისს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოფიტვის, მწვავე დიზენტერიისა და არტერიოკარდიოსკლეროზის დიაგნოზით.

საგარაუდოდ დაასაფლავეს ცინის სასაფლაოზე.

1988 წელს თბილისში გამოიცა მისი „მობრუნებათა უშუცლები“.

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სიღი-

ბისტრო თორდის ქუჩის ერთ მონაკვეთს 2018 წლის 23 მაისს სამსონ ფირცხალაგას სახელი მიენიჭა.

(წყარო: <http://firstrepublic.ge/ka/biography/189>
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C_%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი, 23 მაისი, 2018 წ. http://www.tbsakrebulo.gov.ge/uploads/oqmebi/saxeldebisa_da_simbolikis_komisia/_14_23.05.2018.PD).


ბრიტოლ რევილიაქი


გრიგოლ სიმონის ძე რევილიაქი დაიბადა 1876 წელს ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ შაშინში.

1895 წელს დაამთავრა ტფილისის მე-3 გიმნაზია. 1900 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ ტფილისში ადვოკატად მუშაობდა.

იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1906 წელს შეიმუშავა პარტიის პროგრამა, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ 1907 წელს დაამტკიცა.

პარალელურად აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში — თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან. 1902 წლიდან მუშაობდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, წერდა მოწინავეებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. 1906-1907 წლებში იყო სოციალ-ფედერალისტური გაზეთების „შრომის“ და „მეზობრის“ რედაქტორი. 1909-1924 წწ. იყო „სახალხო ბაზეთის“ თანარედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურული კრებულის „ბრძემლი“, ბესიკის ნაწარმოებები და სხვა მრავალი. 1917 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ამიერკავკასიის თვითმმართველობა“. ფართო მკითხველი მას იცნობდა როგორც მასწავლებლის კრიტიკოსს. პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, ფელეტონებს, ლიტერატურულ კრიტიკას აქვეყნებდა „ზ-ის“, „ზ-ის“, „ზანგის“, „ზანგი ხინოს“ და „რანგის“ ფსევდონიმებით.





1908 წელს თბილისში მისივე ინიციატივით დააარსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“, რომლის საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩიეს.

1910 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად დააბატიმრეს და ათი თვის განმავლობაში მოთავსებული ჰყავდათ მეტეხის ციხეში.

1917 წლიდან იყო „საუნივერსიტეტო საზოგადოების“ გამგეობის წევრი, შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს“.

1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; საქართველოს მრავალპარტიული საკონსტიტუციო კომისიის წევრი; აგრარული კომისიის წევრი.

1919 წელს დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლად მოკავშირეთა არმიის სარდალსა და ოსმალეთის მთავრობასთან.

რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 წლის მაისიდან საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის (მემარჯვენეების) წარმომადგენელია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში.

1923 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის ლექტორად. ამ დარგში



შექმნა გამოკვლევები და თეორიული ხასიათის წერილები.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას დააპატიმრეს.

1925 წლის 15 ივლისს — 3 აგვისტოს გრიგოლ რცხილაძე სწვა 46 პოლიტპატიმართან ერთად გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ ე. წ. „პარიტეტული კომიტეტის პროცესზე“ — 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზების ბრალდებით. სასამართლომ გაათავისუფლა ბრალდების დაუსაბუთებლობის გამო.

შემდგომ წლებში მუშაობდა იურისკონსულტად.

იურისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკოსი, უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოების გამგეობის წევრი გრიგოლ რცხილაძე გარდაიცვალა 58 წლის ასაკში, 1934 წლის 8 ნოემბერს თბილისში. დაკრძალეს 12 ნოემბერს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



საქართველოს მხარეთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმი, მხარეთა სასახლე, 1926 წელი. მარცხნიდან: კოკი აბაშიძე, სანდრო ყანჯელი, ბრიგოლ რცხილაძე, გერონტი ქიქოძე, შალვა აფხაიძე

(პ.ს. ფოტო აღებულია ელ. გვერდდან: <http://niamorebi.ge/afkhaidze/>)

ბრიბოლ გველესიანი



გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი დაიბადა 1870 წლის 18 სექტემბერს ქუთაისში. სწავლობდა იქაურ კლასიკურ გიმნაზიაში. 1895 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა მისკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი. დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გრიგოლ გველესიანი ქართული პერიოდიკის საშუალებით საზოგადოებას წარუდგალერმონტოვისა და კრილოვის ნაწარმოებთა თარგმანებით, ხოლო პირველი პუბლიცისტური წერილი „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში“ მისკოვიდან გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს. იგი დაიბეჭდა 1890 წელს „იშვრი-აში“. თბილისის უნივერსიტეტის დაასარსებლად პირველი სხდომა ივანე ჯავახიშვილმა სწორედ გრიგოლ გველესიანის სახელში გამართა.

1900 წელს აირჩიეს ქუთაისის ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრად, 1905 წელს ქალაქის თავის მოადგილედ. რევოლუციის წლებში მისი ოჯახი იმდენად მედგრად ჩაერთო საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომ ალიხანოვ-ავანსკის დამსჯელმა რაზმმა გადაუწყვა მამა-პაპისეული სახლი და მდიდარი ბიბლიოთეკა. იგი იძულებული შეიქმნა მიმალულიყო ჯერ სამეგრელოში, შემდეგ ოჯახიანად გაემგზავრა ემიგრაციაში — საფრანგეთში.

ემიგრაციაში აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცნობილი: ამთავრებს სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლას, ეცნობა გამოჩენილ რევოლუციონერ ჟან ჟორესს, თანამშრომლობს გაზეთ „იშვინიტიში“, სხვა-


დასწავლა ფრანგულ ჟურნალ-გაზეთში აშუქებს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს, სწავლა-განათლების საკითხებს და სხვ.

ექვსი წლის შემდეგ ოჯახითურთ დაბრუნდა სამშობლოში. აქ გრიგოლი ბროშურისათვის „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ სამართალში მისცეს, მაგრამ იმის გამო, რომ იგი გამოქვეყნდა ავტორის ემიგრაციაში ყოფნის დროს, გააძარცვეს.


მან ღრმა კვალი დატოვა თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მასში კარგად იყო შერწყმული განსწავლულობა, კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნება და აზლი; აქტიურად მონაწილეობდა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, კერძოდ: ქუთაისის საადგილმამულო ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შექმნაში.

1911 წლის 4 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გამნაწილაში გამართული კრების საფუძველზე 1912 წლის 17 ივნისს მთავრობამ დაამტკიცა წესდება, რომლის თანახმადაც დაარსებულ იქნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით. მუზეუმის გამგედ გრიგოლ გველეხიანი დაასახელეს. კოლექცია თავდაპირველად გრიგოლ გველეხიანის სახელში მითავსეს, 1922 წელს კი კოლექციის ბაზაზე საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი დაარსდა.

გრიგოლ გველეხიანის პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ის, რომ იგი 1918



გიორგი გველესიანი
ქართველთა შორის



სხედან:
გიორგი
დავითაშვილი
და
გიორგი
გველესიანი

წლიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოუსტიციის მინისტრის მოადგილე; 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს, ხოლო 1919 წლის 7 თქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია. ჯერ იყო სენატის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ — თავმჯდომარე. მუშაობდა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში.

მას, როგორც ღრმად განსწავლულ იურისტს, დაევადა საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, რომელიც წარმატებით შეასრულა. დიდმა ჰუმანისტმა სიკედილი, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, კონსტიტუციის პროექტში არ შეიტანა. ამაზე ნოე ჟორდანიას შეუნიშნავს: „გრიგოლ, ჩვენ მონასტრებს არ ვაშენებთ“.

ქვეყანაში რთული სიტუაციის მიუხედავად, ბოზიცია არ შეუცვლია. 1921 წლის თებერვალში უარი თქვა ემიგრაციაში წასვლაზე.

გასაბჭოების შემდგომ მუშაობდა სსრკ-დასსვა თანამდებობაზე. სიცოცხლის ბოლოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ერთ-ერთ ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობდა.

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ გველეხიანი გარდაიცვალა 1926 წლის 17 იანვარს თბილისში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



გიორგი ლეკანოშვილი

გიორგი გაბრიელის ძე ლეკანოშვილი 1868 წლის აგვისტოში დაიბადა ქ. პეტროვსკში, დღევანდელ მაჰანყალაში — დაღესტნის რესპუბლიკა. გიორგის მამა, სამხედრო ოფიცერი, წარმოშობით ქართლის სოფელ რუსიდან იყო. მას ხშირად უნდებოდა ცხოვრება რუსეთში. გაბრიელმა გიორგის დაბადებისთანავე იყიდა თბილისში, ნორაშენის ეკლესიის ახლოს, „ნოვოგიორგეისკაიას პლოშჩადზე“ ბატარა სახლი.



დაწყებითი განათლება თბილისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. შემდეგ მამის სურვილით სწავლა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გააგრძელა, მაგრამ სამხედრო კარიერა არ აინტერესებდა და პეტერბურგში გადავიდა, სადაც 1892 წელს წარჩინებით დაამთავრა სამთო ინსტიტუტი. პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს აქტიური წევრი იყო. სტუდენტობის წლებში დააარსა ქართველ და სომეხ სტუდენტთა კავშირი, რომელმაც გამოსცა და გაავრცელა რამდენიმე ლიტერატურული კრებული. 1892 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1895 წლამდე მუშაობდა ჭიათურის მარგანცის მრეწველის ნ. ლილბერიძის საბადოების გამგედ, ხოლო 1895-1897 წლებში — ბაქოში, ნობელის ნავთის სარეწებზე. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სპეციალისტმა. მისი გამოკვლევები მანგანუმის მრეწველობისა და მისი მომავლის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში.

ინჟინრად მუშაობასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1894-1895 წლებში ქართული თეატრის შექმ-



ნის საქმეს ხელმძღვანელობდა. იყო ქართველ-
თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების გამგეობის წევრი. თანამშრომ-
ლობდა გაზეთ „ივერიანს“ და „ცნობის
ფურცელში“.

გიორგი დეკანოზიშვილმა 1899-1900 წლებ-
ში იმთავითვე ევროპაში: — ინგლისში, გერ-
მანიაში, საფრანგეთში. სრულყო ევროპული
ენების ცოდნა, გაეცნო ამ ქვეყნების სოციალ-
ურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

1901 წ. თბილისში დაბრუნდა და შეუერთ-
და „ცნობის ფურცლის“ გარშემო შეკრებილ
სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს და გახდა
მისი ერთ-ერთი ლიდერი. პარტიულმა საქმი-
ანობამ მოითხოვა თავისუფალი გაზეთის გა-
მოცემა, რაც მეფის რუსეთის მკაცრი ცენზურის
პირობებში შეუძლებელი იყო. საზღვარგარეთ
გაზეთის გამოცემას კი თანხების მოძიება
სჭირდებოდა. ეს გიორგი დეკანოზიშვილმა
იტვირთა და საქმეს შესანიშნავად გაართვა
თავი. შეაგროვა 7 ათასი მანეთი და 1903
წელს არჩილ ჯორჯაძე (გაზეთის რედაქტო-
რი), გიორგი დეკანოზიშვილი (გაზეთის გა-
მოცემის ორგანიზატორი) და ასოთამწყობი
მიშა კიკნაძე პარიზს გაემგზავრნენ. პარიზში
გიორგიმ სწრაფად გააბა კავშირი „ახალგაზ-
რდა თსმალთა პარტიასთან“, რომლის წევ-
რებმაც ერთი კუთხე დაუთმეს თავიანთ სტამ-
ბაში. თურქების მეშვეობით დაუკავშირდა
ევროპაში ცნობილ სოციალისტებს: ჟორჟს,
ფორს, დაუახლოვდა ასევე მუშათა სოციალ-
ისტური ინტერნაციონალის გენერალურ მდი-
ვან კამილ ჰოსიმანს. გიორგიმ ჩამოასხმევინა
ქართული შრიფტი, ცნობილი „პარიზულის“
სახელით, და გაჩაღდა მუშაობა. იბეჭდებო-
და გაზეთი „სამართველი“ და მისი ფრან-



**გიორგი
დეკანოზი**

გული დამატება „La Jeorji“. ფრანგული ვარიანტის რედაქტორი გახლდათ ვიორგი დეკანოზიშვილის ფრანგი მეუღლე — ჰენრიეტა ფრენუა. ამით ქართველმა პოლიტიკოსებმა საქართველოს რუსეთის იმპერიისაგან გათავისუფლების საკითხი პირველად გაიტანეს ევროპაში.



ვიორგიმ ითავა არალეგალური გაზეთის საქართველოში ფარულად გამოცემა, ფულის შოვნა, წამომდების მონახვა, უცხოელ რევოლუციონერებთან დაკავშირება, მიწერ-მოწერა, გაჭირვებულ თანამემამულეთა პატრონობა... მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპულ სოციალისტებსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ესენი იყვნენ: ვიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) ვარლამ ჩერქეზიშვილი, მისიელ თამარაშვილი და სხვ.

ვიორგი დეკანოზიშვილს — ჟენევის 1904 წლის ქართველთა პარტიათათმორისი კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და მონაწილეს — რუსეთის იმპერია ერთ-ერთ საშიშ მტრად მიიჩნევდა, რომელმაც, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, იმპერიას „ზურგიდან ჩასცა მახვილი“. ეს მახვილი კი ქართველი პატრიოტების მიერ 1905 წელს საქართველოში იარაღის შემოტანას უკავშირდება, რომელიც ვიორგი დეკანოზიშვილმა იაპონიის მთავრობის ფულით შეიძინა. ვიორგი დეკანოზიშვილს საქართველოს პატრიოტების შესაიარაღებლად გამოეყო 125 000 იენი. მალე დეკანოზიშვილმა და კიდევ რამდენიმე ადამიანმა შეიძინეს იარაღი. პირველი პარტია გემ „ჯონ გრაფტონის“ მეშვეობით ბალტიის ზღვაში გავიდა, მეორე გემი „გარსია“ რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა.




**გიორგი
თამარაშვილი**

ამ დროს გიორგი დეკანოზიშვილი საიდუმლოდ შენახვის ყველა ზომა მიიღო. მოახერხა შექსყიდა — 8000 თოფი და მილიონზე მეტი ვაზნა. იაკობ ზუბალაშვილის დაფინანსებით შეიძინა გემი „სირიუსი“, დაიქირავა კაპიტანი, ასევე კეიპაჟი, რომლებმაც არ იცოდნენ, რა გადაჰქონდათ. რუსეთის „ოსრანკამ“ ვერ მოახერხა გაეგო, რა გზითა და რომელი გემით წავიდოდა იმპერიაში იარაღი. ნოემბრის თვეში „სირიუსი“ ფოთს მოადგა. გადმოტვირთვა გაძნელდა. იარაღის ნაწილი ზღვაში ჩაყარეს, ნაწილი რუს ჯარისკაცებს ჩაუვარდათ ხელში, მოხდა შეტაკებაც. იარაღის გარკვეული რაოდენობა მოსახლეობამ დაიტაცა. გიორგი დეკანოზიშვილის მიერ შესანიშნავად დაგეგმილი საქმე საქართველოში არცთუ ისე კარგად დააგვირგვინეს; მაგრამ ეს მანც მნიშვნელოვანი ქართული საქმე იყო, დამპყრობლების წინააღმდეგ წარმართული.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და მალე ავადმყოფობის გამო აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა.

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალისტ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1904) და ლიდერი გიორგი დეკანოზიშვილი 42 წლის ასაკში 1910 წლის 19 ნოემბერს კანში, საფრანგეთში, გარდაიცვალა. მას ძლიერ სურდა, რომ მისი სწეული ქართულ მიწას მიჰბარებოდა. ამიტომ თვითონვე შეიმუშავა თავისი ცხედრის სამშობლოში კონსპირაციულად შემოტანის გეგმა. ეს გეგმა ზუსტად მოიყვანეს სისრულეში მისმა ახლობლებმა. 1910 წელს იგი საფრანგეთიდან მალულად ჩამოასვენეს და კუკიის სასაფლაოზე ისე დაკრძალეს, რომ მისმა




იაკობ
ზუბალაშვილი

მეგობრებმა ამის შესახებ მოგვიანებით გაიგეს.

იშვიათია მოდერნიზაცია, რომლის ცნობებისა და დეკანოზის შეფასებისას თანამედროვენი ასე თანამდებობდნენ ერთმანეთთან, როგორც გიორგი დეკანოზიშვილის შემთხვევაში. მისი თანამებრძოლები (სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასნიშვილი, თედო სანოკია და სხვები) მას ერთხმად მოიხსენიებენ, როგორც პატრიოტსა და საქართველოსთვის თავგადასხვეულ პიროვნებას, რომელიც მზად იყო, ყველაფერი გაელო ქვეყნისთვის.

1913 წელს მისმა ქვრივმა პანრიეტა ფრენუა-დეკანოზიშვილისამ შვილებთან — ტარიელსა და თინათინთან ერთად იმოგზაურა საქართველოში და პარიზულ პრესაში თავისი შთაბეჭდილებები გამოთქვეყნა.



**თამარ
სანოკია**

(წყარო: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000073/>)

https://ka.wikipedia.org/wiki/giorgi_dekanoziSvili.

ჟურნალი „ისტორიანი“, 2013 წლის ივლისი, №7/31 (ავტორი გიორგი გაფრინდაშვილი).



**დგანან: ალექსანდრა გაბუნია, კ. გომელია,
პარლამ ჩერქეზიუშილი.**

**სხედან: გიორგი დეკანოზიუშილი და
გრიგოლ გველესიანი**


კიტა აბაშიძე

კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე (კიტა შერქმეული სახელი იყო, სინამდვილეში ივანე ერქვა, მაგრამ ასე თითქმის არაფერს ეძახდა. ფსევდონიმები: „იმერელი ამომრჩეველი“, „კიტა“, „იმ-ამ“, „კ-ა“...) დაიბადა 1870 წლის 16 (28) იანვარს სოფელი ლესაში, ოზურგეთის მაზრაში. კიტას მშობლები გურიიდან იმერეთში გადასახლდნენ და შორაპნის მაზრის სოფელ კაცხში დასახლდნენ.

კიტას მამა ქართველ დიდგვაროვანთა წოდებას განეკუთვნებოდა. თუმცა ისევე, როგორც თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, გაღარიბებული იყო; ამიტომ მუხლჩაუხრელად შრომობდა მოძრივებული მოსამართლის თანამდებობაზე რაჭაში. გიორგი 1874 წელს ვარდაიცვალა. დარჩა მეუღლე, 25 წლის სოფიო გურიელი და სამი შვილი: კიტა, ეკატერინე და პოლინა. უფროსი ვაჟიშვილი კიტა მამის 4 წლისა იყო. კიტას დედა ცდილობდა არაფერი მოეკლათ ბავშვებისათვის. დედა-შვილის ურთიერთობაში განსაკუთრებული სიბოლო და სინაზე იგრძნობოდა. ეს ურთიერთობა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ. კიტა დედას სიყვარულით საგსე ბარათებს უგზავნიდა ქუთაისიდან, თბილისიდან, ოდესიდან, პეტერბურგიდან, კონსტანტინოპოლიდან, პარიზიდან, რომიდან. 9 წლის კიტა თავის დას სწერდა: „ჩვენ რომ დედა გვყავს, კატო ჩემო, იმისი დირსი ჩვენ არა ვართ“. დედის შვილისადმი სიყვარულის ნათელი მაგალითია სოფიოს ტრაგიკული აღსასრული: რაც 1917 წელს ერთადერთი ვაჟი გარდაეცვალა, სოფიომ ზუსტად ერთი წლის თავზე თავი მოიკლა.

1879 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში





შეიყვანეს. ოჯახიდან შორს ცხოვრება ძალიან გაუჭირდა. ამას ემატებოდა მუდმივი მატერიალური გასაჭირი. გიმნაზიაში სწავლის პირველივე წლებიდან დიდ მიდრეკილებას იჩენდა ლიტერატურისადმი, ეუფლებოდა რუსულ, ფრანგულ, ლათინურ ენებს. დები ხშირად საყვედურობდნენ: „დაგვენახვე, დაგველაპარაკე, ამდენი კითხვა თვალებს გაგფუჭებსო“.

ამხანაგებში მუდამ დიდი ავტორიტეტით გამოირჩეოდა, რის გამოც მოწაფეთა ყველა წამოწყებისა და საქმიანობის მეთაურად იყო მიჩნეული. სწორედ ამ დამოკიდებულების გამო გაირიცხა გიმნაზიიდან: პანსიონის ერთ-ერთ აღმზრდელს, ვინმე თხორუევსკის, ქართული ენისა და თეატრის დაცინვისათვის გიმნაზიის მოწაფეებმა სცემეს. თაოსნობა კიტას დაბრალდა. ყმაწვილი საშინლად შეაწუხა ამ სასჯელმა, რადგან მას განათლების მიღების საშუალება ესპობოდა. დედის აქტიური ჩარევითა და გავლენიანი ნათესავების წყალობით კიტა გიმნაზიაში აღადგინეს.

1889 წელს დაამთავრა გიმნაზია და გაემგზავრა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესასწავლად. პარიზში ათი თვის განმავლობაში ცხოვრობდა. ამ დრომ დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მის ესთეტიკაზე, არამედ მისი მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბებაზედაც. ის ყოველნაირად ცდილობდა, პარიზში ყოფნით მაქსიმალური სარგებელი მიეღო. ამის დასტურია მის მიერ დედისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილი. „ის კი არ იფიქროთ, რომ ვერთობოდე რამეთი. მე ჩემს შრომას არ მივაკლებ, რომ ტყუილად არ ჩაიაროს ჩემმა აქყოფნამ და „კაცი ვიქნე“.

მართლაც, პარიზში მყოფი კიტა აბაშიძე

არც ერთ წუთს არ კარგავდა: მუშაობდა მუხუშებში, სწავლობდა ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, უსმენდა ცნობილ მეცნიერებს სორბონისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, იწრთობდა ფილოსოფიასა და ხელოვნების თეორიაში. 1890 წელს ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას.

1895 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ბრუნდება საქართველოში. მუშაობას იწყებს თბილისის კონტროლის პალატაში, შემდეგ — მომრიგებელ მოსამართლედ ჯერ რაჭის მაზრაში, მერე — ჭიათურაში.

აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ სარბიელზედაც: იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, უშუალოდ მონაწილეობდა ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის საქმიანობაში, იყო „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, თავმჯდომარეობდა ქუთაისის საზოგადოება „სინათლეს“. 1901 წლიდან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საუნთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარეა, შემდეგ — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

1905 წლის რევოლუციის დღეებში აქტიურად მონაწილეობდა ჭიათურაში მომხდარ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში, რის გამოც დააპატიმრეს და მხოლოდ გაფლანგნიანი ნათესავების წყალობით მოხერხდა მისი გათავისუფლება. 1909 წელს მეორედ დააპატიმრეს. მიზეზი გახდა მისი გამოსვლა 1909 წლის 22 თებერვალს ქუთაისში შეკმდგარ თავადაზნაურთა შეკრებაზე დავით მიქელაძესა და ნიკოლოზ თავდგარიძესთან ერთად ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ქუთაისის



კიზა აბაშიძე
სხვადასხვაობის დროს
დასთან ერთად.

გუბერნატორის მითითებით, კიტა სასწრაფოდ დააბატონეს და შემდეგ კვლავ ნათესავების წყალობით გაათავისუფლეს.

კიტა შესანიშნავი ორატორი იყო. მის ლექციებზე ისე იჭედებოდა დარბაზი, ნემსის ჩასაგარდნი ადგილი აღარ რჩებოდა. ქართული თეატრის მკვლევარი სერგო გერსამია იგონებს: „როცა მის ლექციებს ისმენდით, არ იდლებოდით. კიტა ნამდვილი ქართული ტიპის ორატორი იყო, თუ შეიძლება, ასე გამოითქვას, ლაპარაკის დროს მუდამ იცავდა ქართული მეტყველების იერსა და სპეციფიკას“ (წყარო: 24blog.ge). „თავისუფლად იდგა კათედრის მარცხენა კიდეზე, მარცხენა ხელს კათედრაზე ჩამოსდებდა, მეორე კი თავისუფლად ჰქონდა. ლაპარაკობდა საშუალოზე მაღალი ტონით, იყენებდა ინტონაციებს, მაგრამ მისი ხმა ყვირილში არასოდეს გადადიოდა და არც ჩურჩულამდე ჩამოვიდოდა. სიტყვებს ისე მკაფიოდ გამოთქვამდა, რომ არც ერთი ბგერა არ იკარგებოდა, სიტყვებს არ ეძებდა, ლაპარაკობდა ფიგურულად, ზომიერი სიდიდით და საჭიროების კვალობაზე – აღფრთოვანებით, შესტიკულაციებს არ მიმართავდა. ერთადერთი მისი შესტი იყო მარჯვენა ხელის გაქნევა და ისიც იშვიათად. როცა კიტა ლაპარაკობდა, თქვენ აშკარად გრძნობდით ქართული მეტყველების სილამაზეს და მიმზიდველობას“. (წყარო: <http://old.tbilisebi.ge/index.php?newsid=268454194>).

გამუდმებით კითხულობდა. დაწვრილებით ეცნობოდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ პრესას, რომელიც საფრანგეთიდან ჰქონდა გამოწერილი. არც პოლიტიკა იყო მისთვის უცნო ხილი — ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

კიტა აბაშიძე სტუდენტობის წლებშივე გამოდის ლიტერატურულ სარბიელზე და იწყებს ფრანგული ლიტერატურის შესახებ წერილების გამოქვეყნებას „კვალსა“ და „ივერიასში“.

ბრესლაში სისტემატურად აქვეყნებს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს XIX-XX საუკუნეების ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის საკითხებზე, თეატრალურ რეცენზიებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ სტატიებს და სხვ.

1896 წლიდან იღია ჭავჭავაძის მიწვევით „ივერიის“ თანამშრომელი ხდება.

1898 წლიდან იწყება მისი, როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკოსის, შემოქმედებითი ადმაგლობის პერიოდი. „მონამბის“ ფურცლებზე ზედიზედ იბეჭდება მისი „ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან“, ასევე კრიტიკული ეტიუდი იღია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, უფრო მოგვიანებით კი, 1900 წ. — ეტიუდები ვანტანგ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე.

ბარალელურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში: „ცნობის ფურცელში“, „სახალხო ბაზეთსა“ და „ღრმებაში“. 1913 წელს ქუთაისის გაზეთ „მრის“ რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა დიდი და შთამბეჭდავი სტატია — „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეპკ!“ „ერთი პილატეთაგანის“ ფსევდონიმით. გაზეთი ელვის სისწრაფით გაქრა დახლებიდან... მაშინ მთელი თბილისი და ქუთაისი მხოლოდ ამ სტატიაზე საუბრობდა...

1911-1912 წლებში ქუთაისში გამოვიდა კიტა აბაშიძის ცნობილი ნაშრომი „ეტიუდები XIX ს-ის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

თ. ბაქრაძის და არ. ბაქრაძის გამოცემა

მ მ ი უ ლ ე ბ ი

მე-XIX საუკუნის

ქართული ლიტერატურის შესახებ

ტომი II.

თბილისი



ქუთაისი
ბუჩქნაძის გამომცემლობა
1912



რომიელიც 1898 წელს „მოამბის“ ფურცლებზე დაწვებული შრომის დაგვირგვინება იყო. ეს ძვირფასი შენაძენია ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის.

კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოდგაწებობა ახალ, ადმაგალ ეტაპს ქმნის ქართული კრიტიკის აზროვნების ისტორიაში; მისმა სტატიებმა თანამედროვე მწერალთა შესახებ (საერთო სათაურით „ცნოვნება და ხელოვნება“) და ყოველწლიურმა კრიტიკულმა მიმოხილვებმა, რომლებიც მან დაამკვიდრა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში და განსაზღვრა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, როგორც მეცნიერების, მთელი შემდგომი განვითარება.

აბაშიძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა „თურგდალეულებს“ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა იდეებმა. მის თვალსაზრისზე ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგადთეორიული პრობლემებისა და ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხის შესახებ გავლენა მოახდინეს იპოლიტ ტენმა, გეორგ ბრანდესმა, განსაკუთრებით კი — ფერდინანდ ბრიუნტიერის ევოლუციურმა მეთოდმა, რომლის მიმდევრადაც იგი საკუთარ თავს მიიჩნევდა. ლიტერატურის ანალიზისას კიტა აბაშიძე იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

თავისი მომავალი მეუღლე — თეკლე ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი — განტანგ ორბელიანის ქალიშვილის, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, ოჯახში გაიწყო. მათ ოთხი შვილი შეეძინათ. ამავე ოჯახის სიძე განდა ივანე ჯაფანიშვილი (მან ცოლად შეირთო თეკლეს უმცროსი და — ანასტასია). სწორედ



**ნიკოლოზ
ჯანი**

ამ დღიდან დაიწყო კიტა აბაშიძისა და ივანე ჯავახიშვილის გულთადი მეგობრობა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიტა აბაშიძე ამიერკავკასიის საგანგებო კომისარი-ატის წევრად და ამიერკავკასიის განათლების კომისრად დაინიშნა, მაგრამ ამ პოსტზე ძალზე მცირე ხანს მოღვაწეობდა. ის ლოგინად ჩაფარდა ხერხემლის ტუბერკულოზის დიაგნოზით. გარდაცვალებამდე დაწერა ანდერძი, რომლითაც თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერძა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ უნივერსიტეტს.

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1901) და ლიდერთაგანი კიტა აბაშიძე გარდაიცვალა 1917 წლის 17 დეკემბერს თბილისში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის ბანთეონში. იქვეა დასაფლავებული მისივე მეუღლე თეკლე ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-თრბელიანი. უფროსი შვილი გიორგი დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. თბილისში არსებობს შემოქმედის სახელობის ქუჩა.


გამოცა მისი წიგნები: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“ პუბლიცისტური წერილი ილია ჭავჭავაძეზე (ავტორი). — თბ., ხელოვნება, 1991.; „ცხოვრება და ხელოვნება“ (ავტორი). — თბ., თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1971.; „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ავტორი). — თბ. საბჭ. საქ., 1970.; „რევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“; სალირიკო პოეზია (ავტორი). — ქუთაისი, გამ-ბა „აკსიმ-კოლი“, 1919.



**გიორგი
აბაშიძე**



**თეკლა
ჯამბაკურ-
თრბელიანი**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020 წელს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „კიტა აბაშიძე — 150“.

(წყარო: მამულიშვილთა საგანე. - თბ., 1994. — გვ.21; ბურუსი: burusi.wordpress.com/ kita abaSiZe - cx-ovreba, Semoqmedeba.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94



**კიტა (ივანე) აბაშიძე,
ქაბო (ეკატერინე) აბაშიძე-ვახრიაშვილი
და ნიკო თავდგირიძე (სოხუმის ქალაქისთავი)**


ზაქარია ჭიჭინაძე

ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (ფსევდონიმი „მოაწმინდელი“) დაიბადა 1853 წელს თბილისში. იგი ოჯახის მეთხოველურ შვილი იყო. განათლება მიიღო თბილისში, მოაწმინდის სკოლაში, შემდეგ კი — ირაკლის სახელობის სასწავლებელში.

13 წლიდან მუშაობს თამბაქოს ფაბრიკაში, სასტუმროში, საცენზურო კომიტეტში მონაწილე. თავიდანვე გატაცებით კითხულობს ისტორიულ და გეოგრაფიულ ლიტერატურას, აგროვებს ძველ ხელნაწერებს.

1869 წელს დაუახლოვდა ცნობილ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხს, რომელმაც ის მიიწვია გაზეთ „**დროების**“ თანამშრომლად. 1872 წლიდან ამ გაზეთის ფურცლებზე მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა „მოაწმინდელის“ ფსევდონიმით. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „**ცნობის ფურცელში**“.

ზაქარია წიგნებს წერდა, საკუთარ სტამბაში აწყობდა, ბეჭდავდა, კინძავდა და თვითონვე გაჰქონდა ბაზარზე გასაყიდად. 1875-1878 წლებში შეკრიბა 500-ზე მეტი ძველი ხელნაწერი, პერგამენტი და კომენტარებით გამოსცა. მის მიერაა შედგენილი და გამოცემული მრავალი ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა ხასიათის წიგნი. მან შექმნა ქართველ მოღვაწეთა ცნობებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიული შრომები. გამოაქვეყნა საქართველოში ბატონყმობის ფაქტობრივი მდგომარეობის მასალები (დოკუმენტები). გამოცემები არ იყო კრიტიკული, მაგრამ აკმაყოფილებდა ისტორიულ-დოკუმენ-



**ზაქარია
მესხი**

ტური ძეგლების პოპულარიზაციის მოთხოვნებს. ამავე ინტერესებს ემსახურებოდა ჭიჭინაძის მრავალრიცხოვანი (120-ზე მეტი) ნარკვევი და წერილი საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ ეკონომიკურ და კულტურის ისტორიის საკითხებზე.

იყო თვითნასწავლი. იდური მიმართულებით — ხალხოსანი. გამოაქვეყნა ოუენის, ფურიეს, პრუდონის, ლასალისა და ბლანის ბიოგრაფიები. დაწერა ნეკროლოგი კ. მარქსზე. აგრცელებდა არალეგალურ სოციალისტურ ლიტერატურას, ხელმძღვანელობდა მუშა-ხელოსანთა წრეს.

უანდარმერიის მიერ შეესებული ბარათების მხედვით ზაქარია დაკავებული იყო 1911 წლის 2-21 დეკემბერს. გიროთი (57 რუბლით) გაათავისუფლეს. (<https://archive.gov.ge/ge/2019-1/zhandarmeria-kavkasiashi-2>)

1922 წლის თებერვალში მსცოვან მწოგნობარს მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუნადეს, რომელიც მიწნეულ იქნა ქართული წოგნის იუბილედაც, რადგან ქართული წოგნის შედგენა-გამოცემასთან იყო დაკავშირებული ზაქარია ჭიჭინაძის მთელი სიცოცხლე. იგი ამ საქმის პიონერი გახლდათ. გაზეთი „კომუნისტი“ 1922 წლის 19 თებერვალს წერდა: „ის ცოცხალი მატიანეა ჩვენი მწერლობის და, ვისაც სურს გაიგოს ჩვენი აზრის განვითარების ისტორია, ის ზაქარიას ვერ ასცდება.“


დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ ხელნაწერთა შეგროვებასა და წოგნების გავრცელებაში, განსაკუთრებით აჭარასა და სამხრეთ საქართველოში.

საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი ზაქარია ჭიჭინაძე გარდაიცვალა 1931 წლის 27 დეკემბერს. დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.



„მ. შარაძე და ნახ. სტამბა“

„მ. შარაძე და ამხ. სტამბა“



**მამსიძე
შარაძე**

მაქსიმე შარაძემ თანამოაზრეებთან, ევსტათე კერესელიძესთან (შემდგომში წმინდა ექვთიმე აღმსარებელი), ვასილ გრძელიძესა და ივანე ზაქარაიშვილთან ერთად, 1890 წელს გახსნა სტამბა, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ნიკოლოზის ქუჩის 21-ში (ი. ჯავახიშვილის №7, დღევანდელი ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემორიალი მუზეუმის სარდაფში).

1891-1900 წლებში მაქსიმე შარაძის სტამბაში იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“, ვალერიან გუნიას გამოცემები „ცნობის ფურცელი“ და „საქართველოს კალენდარი“ სურათებიანად. სხვა პერიოდული გამოცემები, მხატვრული და სასულიერო ლიტერატურა, სამეცნიერო შრომები, სახელმძღვანელოები — იაკობ გოგებაშვილის ყოველგვარი სასკოლო, სამოსწავლო წიგნები: „დედაენა“, „ბუნების კარი“ და სხვ. აგრეთვე იბეჭდებოდა რუსული „Сельск. хозяйство. журнал“ და რუსული „Кавказски календар“-ი. სხვა სომხური ჟურნალები, აგრეთვე რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე გამოცემული წიგნები და ყოველგვარ საქმიეში. ამავე დროს, ვბეჭდავდით ჩვენ გამოცემულ წიგნაკებს და ვეცხანებოდით ქართულ გალობის გავრცელებას მსურველთა შორის.



**პაპითია
კარანჯალაძე**

1891 წლის 10 დეკემბერს შარაძემ მოსკოვიდან ჩამოიტანა ნოტების ასაწყობი შრიფტი, რაშიც ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე ხანანაშვილი დაეხმარნენ. ეს იყო ნოტების ასობის პირველი შემოსვლა საქართველოში. 1892 წლიდან დაიწყო ამ სტამბაში ნოტების აწყობა. ნოტების აწყობაზე მუშაობდნენ ეს-

ტატე კერესელიძე, კონსტანტინე სალუქვაძე, ძმები ნიკოლოზ და დავით დალაქიშვილები. ფილიმონ ქორიძე კორექტურას ასწორებდა და დედანს ადარებდა. იბეჭდებოდა 1500 ეგზემპლარი. პირველად სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა ნოტებზე გადაღებული ქართული საგალობლები. აქვე დაიბეჭდა 1895 წელს ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლები.

მაქსიმე შარაძისა და მისი მეგობრების სტამბაში ცხოვრება დუღდა. რაც შეეხება პარტნიორებს, 1893 წელს ზაქარაშვილს უთქვამს: „მე ცოლ-შვილიანი კაცი ვარ, უჯამაგიროთ სტამბაში ყოფნა ხელს არ მამძღვსო. მითინოვა თავისი შემოტანილი საამხანაგო ფული, მიიღო და გავიდა. მის მაგივრად მოვიდა მეოთხე ამხანაგად ბაგრატ არშაკუნი, ტომით სომეხი, იმასაც 1894 წელს უთქვამს: „მე ექმბინში უნდა წავიდე. გამოითხოვა თავისი შემოტანილი საამხანაგო ფული, მიიღო და წავიდა.“

1898 წ. მესამე ამხანაგი, ვასილ გძელიძე, ძალიან დიდი მშრომელი და მშვიდობიანი კაცი, სამწუხაროდ, დასნეულდა და 1899 წ. გარდაიცვალა. მისი წილი სტამბის ქონება (როგორც პირობა იყო) დანარჩენ სამ ამხანაგს დარჩა. იმისა დის-წულები სტამბაში მუშაობდნენ, და დამწუხრებულნი უნაწილოდ დარჩნენ. მაქსიმე შარაძისა და მისი მეგობრების მიერ სტამბის დაფუძნებას წმინდა ექვთიმე აღმსარებელი ასე იგონებს: „1890 წელს მოვისურვეთ საბეჭდავი სტამბის შექმნა. ამაზედაც იტყოდა ხოლმე მაქსიმე: იმისთვის კი არ გვინდა სტამბის შექმნა, რომ ბევრი ფული მოვიგოთ და მდიდრულად გიცხოვროთ, არა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი სტამბით



**ილია
ჭაჭავაძე**



**ალქსანდრა
ხანაშვილი**

ბევრ კეთილ საქმეს აღვასრულებთო. სწორედ ამავე 1890 წელს გამოეწერა თავის თვითონი ჟურნალის საბეჭდავად და გამოსაცემად სომხის მღვდელს ნიკოლოზს, რომლის გვარი არ მანსოვს, გერმანიის უბირველეს საბეჭდავ მანქანათა ფაბრიკიდგან, რომელიც უკვე მიღებული ჰქონდა დიდი და მშვენიერი ახალი მსწრაფლმბეჭდავი მაშინა, სამი ათას მანეთად ღირებული, და, რადგან იმას რუსის მთავრობამ ნება არ მისცა სტამბის გახსნისა, ამის გულისთვის თავის ახლად გამოწერილ სტამბის გაყიდვა დააპირა და სწორედ ჩვენ შეგვდით და შეგვისყიდეთ ეს ხსენებული საბეჭდავი მანქანა, აგრეთვე საკაზმაგი, საჭრელი და საპრესო მანქანები იმავე ფასებში, როგორც თვითონ ყყიდა მისი ანგარიშის ჩვენებით და ჩვენგან იმ პირობით, რასაც ის ჩვენთან დაბეჭდავდა, ჟურნალს თუ ანუ სხვას, ნახევარ ფასში, ასოები კი მისი იყო, ამავე დროს, გუბერნატორისგან სტამბის გახსნის ნებართვა მივიღეთ ამ ფორმით: „მ. შარაძე და ამხ. სტამბა“.

ეს ჩვენი ახალი შექმნილი სტამბა გავხსენით ნიკოლოზის ქუჩაზე №21, იმ სახლში, სადაც თვით ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა და თავისი გაზეთ „ივერიის“ რედაქცია იქვე მოთავსებული ჰქონდა. ხოლო ქართული, რუსული და ფრანგული ასოები ასოთჩამომხმელ მადერისაგან შევიძინეთ, მეტი ნაწილი — ნდობით.

ჩვენ სტამბის ამხანაგები ვიყავით ოთხი კაცი: მაქსიმე შარაძე, ექვთიმე კერესელიძე, ვასილ გრძელიძე და ივანე ზაქარაშვილი და ჩვენ ერთმანეთ შორის იყო ამნაირი პირობა დაწერილი: ჩვენ ოთხი ამხანაგები, ესა და ეს პირნი, ვსდებთ ერთმანეთს შორის ასეთ პირობას: სტამბაში ყველა ამხანაგებმა უნდა

ვიმუშაოთ და, სტამბისგან რაც სარგებლობა შემოვა, უნდა მოვანმართო საზოგადო საკეთილ-მოქმედო საბეჭდავ საქმეებს: ქართული ზნეობრივი წიგნებისა და წიგნაკების ბეჭდვა, გალობის გავრცელება, ნოტებზე გადაღება და დაბეჭდვა და სხვა... ჩვენ ვიმუშაოთ უჯამაგინოდ და ხარჯი კი საქართო თანხიდან, ისიც უბრალო და მცირე ოდენი. და, თუ ჩვენ ამხანაგთაგან ვინმე გარდაიცვლებოდა, მისი კუთვნილი სტამბა და შექმნილი ქონება რჩება მის დანარჩენ ამხანაგებს, ამავე დადგენილ საკეთილო მიზნის გაგრძელებისა და აღსრულებისათვის. ასე რომ, მემკვიდრეობაზე და ნათესაობაზე მიცვალებულის კუთვნილი ქონება არ გადადიოდა და ეს ჩვენი პირობა ნათესავებმაც იცოდნენ და ჩვენც უნდა გვეცხოვრა პატიოსნებით.“

წიგნში „ქართული სტამბები 1627-1916 წწ“ (გვ.: 139) ვიგებთ, რომ 1895-1908 წლებში ძმობამ საკუთარი სახსრებით ხუთი საგალობო კრებულის გამოცემა შეძლო. 1901 წელს პროკლამაციების ბეჭდვის ბრალდებით ერთი წლით დახურეს. 1908 წელს მაქსიმე შარაძე ქლექით გარდაიცვალა. მაქსიმეს გარდაცვალების შემდეგ სტამბის მეწილეებში დაგა ატყდა და ექვთიმე კერესელიძე იძულებული გახდა მღვდელ სვიმონ მჭედლიძის წინადადებას დასთანხმებოდა და სტამბის მისთვის კუთვნილი ნაწილი ქუთაისში გადაიტანა.

ქუთაისში სტამბის საქმე თავიდანვე ურიგოდ აეწყო. მართალია, აქ იბეჭდებოდა ცნობილი ჟურნალი „შინაშრი საქმეებო“, მაგრამ თავდაპირველად შეთავაზებული წინადადებები რეალური არ აღმოჩნდა. ვერ მოინახა სათაფსო საგალობელთა კრებულების შესანახად. დაუცველობის გამო მისი ნაწილი

განადგურდა და მას ექვთიმემ შემოხვევით ბაზარში, სორცის გამყიდველებთან მიაგნო. ისინი კრებულის ფურცლებს სორცის გასახვევად იყენებდნენ⁽⁵⁾.

ძმობის სტამბა. საოცნებო ძმობის კაცია ს. ლოსაბერიძე, ესტ. კერესელიძე და მასთან კიდევ სხვანაც, ვინც მათ თანაუგრძნობს, ამ ძმობის და დაფარულ ქრისტიანთა თავის მომყრელი და დამაარსებელი გახლდათ მაქსიმ შარაძე, რომელიც 1907 წ. გარდაიცვალა. იმ დღიდან ეს სტამბაც სხვების საკუთრებათ გარდაიქცა. დღეს იგი ეკუთვნის ს. ლოსაბერიძეს და ე. კერესელიძეს. ამ პირთა ძმობანი და საქმენი სწორედ საოცნებო ხრიკებს წარმოადგენს, ადრე მათ ჰყვანდათ ერთი ამხანაგი ვასილ გძელიძე, რომელიც კარგა ხანია გარდაიცვალა და მისი 1000 მ. ამ პირებს დარჩათ, ენლახან შარაძე მოკვდა და მისი წილიც მათ მიისაკუთრეს. არ ვიცით, თუ ეს პირნი რა უფლებით სარგებლობენ, რა ძალით და რა ძმობის და ქრისტიანობის მაღალის პატივისცემით, რომ ქრისტეს მცნების დროშის ქვეშ შესულნი ასეთ მანქანებას სჩადიან და სხვა-და-სხვა პირთა ქონებას და ძალას ისაკუთრებენ; სტამბა დღეს მოქმედებს ბნელად, ბუჭდავენ ყოვლად უსარგებლო წიგნებს და ერთი ათად ხიბლავენ და გონებას უბნელებენ ისეც დაბნელებულ მდაბითთ. სტამბა არის ფართო, აქვსთ საკუთარი სახლ-კარი, არიან მღვთის მოსაგნი, არ სჭამენ, არ სძენ, ხოლო თქრო-ვერცხლოს კი აგროვებენ და ბოჭამენ. საქროთა, რომ ამ დაფარულ და ვითომც და საქრისტიანო ძმობის სტამბას ყურადღება მიექცეს ვისგანმე და გაცნობილ იქმნეს მათი მოქმედება ნიღაბ ქვეშ. ესენიც სწორედ მეორე ამხანაგობის მსგავსი მეჯადოები არიან.“⁽³⁾

ესტატუსა და მაქსიმეს ახლო ურთიერთობა ქონდათ ბეთანიის, ზედაზნის, თბილისის ფერისცვალებისა და შიომღვიმის მონასტრების ბერებთან. სწორედ ბეთანიის მონასტერში დაუფლნენ საღმრთო წერილის კითხვასა და ტიპიკონს. მაქსიმეს და ესტატეს მიმოწერა ჰქონდათ ათონის წმიდა მთაზე ქართველთა საფანის ბერებთან და მათგან ივერთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გადმოწერილ წმინდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს ღებულობდნენ, რომელთაც მდაბიო ენაზე გადმოტანის შემდგომ მრავლად ბეჭდავდნენ და უფასოდ აგრცელებდნენ ქართულ სიტყვას მონატრებულ ხალხში. მათ თავიანთი სტამბის საშუალებით 25 წლის განმავლობაში დასტამბეს ოთხი ათასამდე სასულიერო შინაარსის სხვადასხვა გამოცემა — საღვთისმსახურო წიგნები, ქადაგებანი, წმინდანთა ცხოვრება, ფსალმუნნი, საღმრთო სჯული და სხვა სხვადასხვა დასახელების. მათ შორის 500-მდე წიგნი პირადი ხარჯით გამოსცეს. ხალხი სამართლიანად უწოდებდა მათ სტამბას „ბერების სტამბას“, რადგან იქ მომუშავე ადამიანები გამოირჩეოდნენ კეთილმსახურებითა და წმინდა ცხოვრებით.

(წყარო: 1) გაზეთი „24 საათი“, 20.03.10,

2) http://www.saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1166%3A2012-01-22-17-31-42&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&lang=ru,

3) <https://www.qwelly.com/group/galoba/forum/topics/gadarchena?overrideMobileRedirect=1>,

4) <http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/6455/1/Nikoloz%20Gogoberidze%20-Kartuli%20stamba.pdf>,

5) „ვის ჰქონდა საქართველოში პირველი ხანოტო სტამბა და როგორ შემოგვინახა ესტატე კერესელიემ 5 532 საეკლესიო საგალობელი“ — ეკა სალაღია; <http://old.tbilisebi.ge/index.php?newsid=6248>




მაქსიმი შარაქისა და ამხანაგობის სტამბა“
პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი: ერასტი ტოროტაძე.
მეორე რიგში მარცხნიდან პირველი:
ესტატი კერესელიძე (გვ. ექვთიმე აღმსარებელი),
არისტოვლე ქუთათელაძე საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი,
ასოთაფეყოზი, მაქსიმი შარაქე მესტამბე,
სპირიდონ ლოსაბერიძე ასოთაფეყოზი.
მესამე რიგში ღვას გურგენიძე

მაქსიმე შარაძე

მაქსიმე როსტომის ძე შარაძე დაიბადა 1859 წელს სოფელ კვერში, თზურგეთის მაზრაში. მაქსიმე ნიჭიერი, დაუნარელი, მშვიდი და ჭკვიანი ბავშვი ყოფილა. 9 წლისა სოფელ კახურის სასწავლებელში შეიყვანეს. იგი უნიჭიერესი მოსწავლე გამოდგა. მაქსიმე მასწავლებელს უჩიოდა, იმდენს არ გვასწავლი, რამდენის სწავლაც შემიძლიათ. ნაწყენმა მასწავლებელმა კი სცემა, მერე კი ცალკე დამატებით დაუწყო სწავლება. ბიჭმა სასწავლებელი დაამთავრა და დედაც გარდაეცვალა. ცოტა ხნის შემდეგ მამამ თზურგეთის სამკლასიან სასწავლებელში შეიყვანა, მაგრამ ადრეულ ასაკში დაობლებულ დედისერთას ხელმოკლეობამ საფუძვლიანი სწავლა-განათლების მიღებაში დიდად შეუშალა ხელი. მშობელმა მას სასწავლებელი ვერ დაასრულებინა და ბავშვი მეზობელ გაჭარს გააყოლა ბათუმის მახლობლად, სოფელ შეკვეთილში.

აღალმართლობითა და ერთგულებით მაქსიმემ გაჭრის დიდი ნდობა დაიმსახურა. მერე 6 წელი ხაშურში დაჰყო. ბიბლიისა და გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებების“ კითხვამ უფრო შეაყვარა მარხვა და ლოცვა, შესძინა ცოდნა. იქაურ მეგობრებს უკითხავდა „ქადაგებებს“ თუ საღმრთო წერილს. ყმაწვილს ებრაელი ახალგაზრდებიც ყურადღებით უსმენდნენ.

ხაშურიდან თბილისში წავიდა და მეფისნაცვლის სასახლეში მოსამსახურედ დადგა, სადაც ყველას შეუყვარდა. საჭმელ-სასმელი თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ მარხვასა და ყველა საღმრთო მცნებას მტკიცედ იცავდა.



**მაქსიმე
შარაძე**

რამდენიმე წლის შემდეგ ავად გახდა. დაღონებული სოფელში წავიდა. წმინდა გიორგის ეკლესია მოილოცა, დროშა შესწირა ტაძარს, მღვდელს შესამოსელი უძღვნა. ახლობლებმა ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ მის სნეულებასთან, ბოლოს მღვდელმა უთხრა: „ტყუილად წუხნართ მაგისთვის. მაქსიმეს არაფერი სტკივა, ეგ მეტისმეტად მორწმუნე კაცია, უეჭველი რწმენით სწამს ღმერთი და მისგანაა დადებული საუკუნო ნეტარება და საუკუნო სასჯელი. ამ სარწმუნოების მიზეზით წუხს. კაცობრივი ბუნება ვერ იტყვს ამისთანა მგზნებარე სარწმუნოებას და ავად ხდება, საუკუნო ნეტარება არ დაგკარგო და საუკუნო სასჯელში არ ჩაგვარდეთ... მაგას ხორციელი მკურნალი არ უნდა, სულიერი ნუგეში ეჭირვება, რადგან სულ მცირე, უმნიშვნელო შეცდომა ისე დიდად წარმოუდგენია, როგორც მომაკვდინებელი ცოდვა“. მღვდელმა უწირა, ულოცა, ზეთი უკურთხა, შემდეგ დაარიგა და გაამხსნევა. მაქსიმემ დიდი ნუგეში და სიხარული იგრძნო.

გავიდა ხანი. მაქსიმემ სოფლის დატოვება განიზრანა, ეკლესიები მოილოცა, შუაღამისას ადგა და ქუთაისის გზას ფეხით გაუდგა. მეორე დღეს ნათესავებმა მისი წერილი მიიღეს: „მე დღეის შემდეგ ამ ქვეყანაზე აღარა ვარ, ყველამ მკვდრად ჩამთვალეთ, რადგან ღვთის შეწევნით საუკუნო ცხოვრების გზას დაგადექი“. მაქსიმეს სამტრედიის ახლოს ერთი საწყალი კაცი შემოხვდა. თავისი ტანსაცმელი ძველ სამოსში გაუცვალა და გზა განაგრძო. გელათი და მოწამეთა მოილოცა. იქაურ ბერებს შესჩივლა, — მინდა ადვასრულო ღვთის მცნებანი, ვიცხოვრო ისე, როგორც მისთვის არის სასიამოვნო, მაგრამ ბევრი რამ მაბრკოლებ-

სო. ბერებმა გაამხივეს: ღვთისმოყვარეობას მტკიცედ დაადექი და ნურაფრისა გეშინია. როცა სულითა და გულით დმერთს მიენდობი, შენი მზრუნველი და მფარველი ის იქნებაო. სულით გამხსნეებული ქუთაისისკენ გაემგზავრა. რამდენიმე დღე მშვიდი დადიოდა. ფული არა ჰქონდა და ისე არავინ შეიწყალა. თავის თავს შეუძახა: გამხსნედი, არ გაახარო ბოროტი სული, მას უნდა, გაჭირვებით ცოდვაში ჩამაგდოსო. გაჭირვებას ლოცვით იქარვებდა.

ბოლოს ერთ პატროსან მოქალაქესთან იაფი სამუშაო იშოვა. მან შეამჩნია, რომ მაქსიმე შუაღამისას ფანჯრიდან გადაიპარებოდა და სადღაც მიდიოდა. ერთხელ ჩუმად გაჰყვა. მაქსიმე მივიდა მთავარანგელოზის ეკლესიაში, ცისკრის ლოცვაზე გულწლადაკრეფილი და მუნღმოდრეკილი ლოცულობდა. კაცმა არ დაიჯერა, შეთრედაც გაჰყვა და, ისევ ტაძარში რომ მივიდა, მაშინ გააფრთხილა სახლეულნი, ეგ ღვთის კაცია და პატივისცემით მოექცეთო. მაქსიმე მხვდა, შეიტყვეს ჩემი ამბავი და ასეთი პატივით იმიტომ მიქცევინათ. მიატოვა ქუთაისი და თბილისისკენ ფენით წამოვიდა. ჯამაგირი გლახაკებს დაურთავა, თვითონ კი გზადაგზა დღიურად მუშაობდა. თბილისში ადგილი იშოვა „ერთ დიდ, შეძლებულ კაცთან“ (ილია ჭავჭავაძესთან). იქ ცალკე ოთახი მისცეს. რადგან წნეკეთილობა შეამჩნიეს, არაფერს უშლიდნენ და მაქსიმეც ღვთის სიტყვის ქადაგება განაგრძო. მისი პატარა ოთახი ყოველ საღამოს ხალხით იყო სავსე, გელარც ეტეოდნენ საღმრთო წერილის სწავლისა და სახარების სიტყვის მოსმენის მსურველნი. თუ სადმე ქალაქში წმინდანთა ცხოვრების ამსახველი წიგნები იყიდებოდა, ყველა შეიძინეს. მაქსიმე ისე ლმობიურად ქა-

დაგებდა, რომ მსმენელთ გულში ღვთის შიში და სიყვარული ენერგებოდათ. იმის დასტურად, თუ რამხელა ძალა ჰქონდა მის ნათქვამ სიტყვას, ერთ ამბავს გავიხსენებთ. ერთხელ მაქსიმე ბილიარდის მოთამაშეებთან შევიდა და უთხრა: აბა, ძმებო, გთხოვთ, ყური დამიგდოთ, კაი ამბავი უნდა წაგიკითხოთ. მათ ბილიარდის თამაში შეწყვიტეს. მაქსიმემ დაიწყო წმინდა გიორგის ცხოვრების კითხვა. მოთამაშეებმა ტირილი დაიწყეს, ჯოხები დაყარეს და მას მერე მაქსიმეს აღარ მოშორებია.

როცა ღვთისმოყვარეთა გუნდი ძალიან გამრავლდა (1882 წ.), მაქსიმემ თქვა: „ამდენ ხალხს ეს თიხანი ვეღარ გვიტევს. კარგი იქნება, ერთი „უფასო საღმრთო წიგნოსაკითხავი“ და საგალობელი კაბინეტი დაგაარსოთ. მე თვეში 25 მანეთი მაქვს ჯამაგირი და მას მოლოიანად ამ საქმეს შეეწირავ, ოღონდ თქვენც დამეხმარეთ“. შეიძინეს სასულიერო წიგნები, გაზეთები... „საღვთო წიგნთ საკითხავი კაბინეტის“ მიზანი იყო საღვთისმეტყველო განათლებების გაფრცელება და საეკლესიო გალობის შესწავლა. შემდგომში კაბინეტი საგალობლების ვადარჩენის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ამის გამო ეგზარქოსმა პავლეშვილს სპი დღით დაატუსადებინა სახალხო მღვდვარების ან სექტანტობის შესაძლო ქადაგებისათვის. როცა მაქსიმე ეგზარქოსს წარუდგინეს, მან ნანა, ეკლესიის საწინააღმდეგოს არაფერს სჩადიოდნენ, 1886 წელს ნება დართო კაბინეტის გახსნის. მეთვალყურედ ორი დეკანოზი დაუდგინა. ერთი — პეტრე კონქოშვილი ხშირად მიდიოდა მათ „კაბინეტში“ და მრავალ სასარგებლო რამეს ასწავლიდა ახალგაზრდებს. შემდგომში იგი მაქსიმეს მოძღვარი და ანლო მეგობარი გახდა.



**ეგზარქოსი
პავლე
(პეტრე
ლუბაძევი)**

1885 წლის გიორგობა დღეს ქაშვეთის ტაძარში შარაძემ მოისმინა ძველი ქართული გალობა. მსახურების შემდეგ იგი შეხვდა გუნდის ლოტბარ მელქისედეკ ნაკაშიძეს. ამ შეხვედრამ განაპირობა შარაძის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო საგალობლების გადარჩენის საქმეში. 1893 წელს დააფინანსა ფილიმონ ქორძის მივლინება თხურგეთში ანტონ დუმბაძისგან საგალობელთა ჩასაწერად.

იგი იყო ილია ჭავჭავაძის უფროსი მოურავი. დიდი ნდობა ჰქონდათ ილიასა და მის სანლობას მაქსიმეს, ყველანი შვილსა და ძმასავით უყურებდნენ. ილია რომ სხვაგან წავიდოდა, მთელ ქონებას მაქსიმეს ჩააბარებდა. თჯანის საქმეებსაც ყურს უგდებდა. ეს ნდობა ილიას ერთმა შემთხვევამაც გაუძეარა. ორი წლის სამსახურის შემდეგ მაქსიმეს მისთვის უთქვამს: „თქვენთვის თქვენის მონდობილობით სანოვაგეს, სურსათს და ათას რამეს რომ გყიდულობდი, ფულს გადაგარჩენდი ხოლმე და თუც თუმანზე მეტი შეგკრიბე. ახლა ვგრძნობ, რომ ასეთი საქციელი დიდი ცოდვია და ამიტომ გიბრუნებთ ამ ფულს“. ილიამ ფული ჯიბეში ჩაიდო და უთხრა: „კარგად მოქცეულხარ, ასე სჯობს“. „ივერიის“ თანამშრომლები აღაპარაკდნენ: „რა ძუნწია ილია, ამ ფულიდან მაქსიმესთვის რამე კრუქებინაო“. ეს ილიასაც გაუგია და უთქვამს: „როგორ, მოპარული რომ უკან დამებრუნებინა, თუნდაც ნაწილი, განა ამით შეურაცხყოფას არ მივაყენებდი? ის კაცი მართალ გზას დასდგომია და ჩემის ასეთის უმართებულო საქციელით ამ მართალ გზას რომ არ გადავაცდენდიო“. ამ ამბის შემდეგ ასე მომჭირნე ილია ჭავჭავაძე მაქსიმეს თვალდახუჭული ენდობოდა.

იგი იყო ილიას ყოველდღიური ტიტანუ-



**დაქანოზი
პატრი
კონსოვნილი**



**მელიქისედეკ
ნაკაშიძე**



**ანაონ
ღუმბაძე**

რი შრომის თვითმხილველი. „კაცო, რაზე ჩამკალ, ვერ მეტყვოდი, კმარათ?“ — უსაყვედურა ერთხელ შემთენებულმა ილიამ.

გარკვეულ დროს გაზეთ „ივერიაში“ ერთდროულდა სწავდასწავა სამუშაოს, ოთხი კაცის საქმეს ასრულებდა: — „ივერიის“ ხაზინადარიც იყო და კორექტორიც, ასოთამწყობიც და ექსპედიტორიც. სწორედ მაშინ იყო ყველაზე მოწესრიგებული „ივერიის“ გავრცელების საქმე. „სწორედ რომ წარმოუდგენელია, საიდან ჰქონდა ესოდენი ძალა და დონეო, — ჰკვირობს მისი ერთი თანამედროვე, — „იმისი სახელი ყოველი მხრით მოისმოდა: რედაქციიდან, ილიას სახლიდან, სტამბიდან და ყველა მომავალ-წამაგლისაგან“.

თავიდან ილიასთან დაახლოებული პირები ისე უყურებდნენ, როგორც ერთ ჩვეულებრივ მსახურს. ეს არტემ ახნაზაროვის მოგონებებიდანაც ჩანს: „ივერიის“ რედაქციის მოღარედ და სამეურნეო ნაწილის გამგედ იყო ვინმე მაქსიმე შარაძე, ილიას სახლის ყოფილი მისამსახურე და შემდეგ სტამბის პატრონი, რომელშიც გაზეთი „ივერია“ იბეჭდებოდა. ეს მაქსიმე შარაძე გაუნათლებელი კაცი იყო, მაგრამ სოფლის სკოლა ჰქონდა დამთავრებული და წიგნის კითხვას ეტანებოდა. ერთ დროს ისე გაიტაცა საღმრთო წერილისა და სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვამ, რომ სწვა თავის ამხანაგებთან ერთად სექტასავით რაღაც ამხანაგობა დააარსა, რომელსაც „უდაბურ წყალწმინდის ძმობა“ ეწოდებოდა. ამ ძმობას ეს მაქსიმე შარაძე მეთაურობდა, ბოლოს მან სტამბაც დააარსა. წმ. მამათა ცნოვრებიდან სასულიერო შინაარსის პაწია წიგნებსა ჰბეჭდავდა და საწოგადოდ ასკეტურს ცნოვრებს ეწეოდა. თვით სტამბა მთავსებული იყო

„ივერიის“ რედაქციის ქვედა სართულში, კალინინის ქუჩაზე, ილიას დის ელისაბედ საგიანიშვილის სახლში“.

არტურ ლაისტი კი თავის მოგონებებში ასე ახასიათებს მას: „„ივერიის“ რედაქციაში რამდენიმე წელს მუშაობდა ერთი საუკეთესო პიროვნება, — ეს იყო მაქსიმე შარაძე. ის 1887 წელს ილიას ლაქიად ჰყავდა. ამ ადამიანმა თავისი რიგიანობითა და შრომისმოყვარეობით ძალიან სრული ნდობა დამისახურა. ილია მას სხვადასხვა საქმეს ანდობდა ხოლმე. შარაძე ვეგეტარიანელი და დიდი ღვთისმოსიში კაცი იყო. მან პატარა წიგნაკიც დაწერა, სადაც აღწერილი აქვს თავისი ზნეობრივი ცვლილება, რომელსაც მიაწერდა მცენარეულ საჭმელზე გადასვლას. რამდენიმე ხანს შარაძე, როგორც მახსოვს, „ივერიის“ სტამბაში ასოთამაშობად და გაზეთის კორექტორადაც მუშაობდა.“

ილია მაქსიმეს სტამბისთვის მსწრაფლმბეჭდავი მანქანის შესაძენი 3000 მანეთის თავდებად დაუდგა და 1890 წელს დაარსდა სტამბა სახელად „მ. შარაძე და აშხ. სტამბა“, რომელიც თბილისში, ნიკოლოზის №21-ში (დღევანდელი ჯაფარიშვილის №7, ქ. თბილისის ილია ქაფქაფაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის სარდაფი) იყო განთავსებული, იმავე სახლში, სადაც ილია ქაფქაფაძის ბინა და „ივერიის“ რედაქცია იყო განთავსებული. მაქსიმემ, ვალი დათქმულ დროში კეთილსინდისიერად გაისტუმრა.

მაქსიმე შარაძე კარგ მგალობლადაც იყო შერაცხული. დეკანოზი ნიკოლოზ თალაკვაძე იგონებს: „მაქსიმე შარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული გალობის საქმეს; მოკლე ხანში იმდენად შეისწავლა



**არტურ
ლაისტი**




**არტურ
ლაინსტი**

ქართული გალობა, რომ ის თბილისის სემინარიაში გალობის მასწავლებლად მიიწვიეს... იგი აღვიძებდა ჩვენში მშობლიურ ეკლესიურ ჰანგებისადმი სიყვარულს.“ იმხანად თბილისში დაბრუნებული ფილიმონ ქორიყე მეღქმისედა ნაკაშიძის მეშვეობით დაუკავშირდა მაქსიმე შარაძესა და ესტატე კერესელიძეს. სწორედ ამ დღიდან დაიწყო ფიქრი ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანასა და დაბეჭდვაზე. თავდაპირველად უნდა შეეძინათ საგანგებო შრიფტი. „1891 წელს ვკითხეთ ფილიმონს, თუ სადმე არის რუსეთის ქალაქებში ნოტების შრიფტი (ასოები), ჩვენ გვიანდა გამოვიწყნოთ და შევიძინოთ-მეთქი. გვითხრა: მოსკოვში უნდა იყოსო, იმიტომ ვიცი, რომ მე შევხვედრივარ იქაურ სტამბაში ნოტებით დაბეჭდილ სიმღერა-გალობის წიგნებსაო, იქ მივითხრა და გამოძებნა უნდაო. ამის შესახებ იფიქრა მაქსიმე შარაძემ და მივიდა ილია ჭავჭავაძესთან საკითხავად და უთხრა: გვსურს ნოტების ასოები შევიძინოთ, აქ თბილისში არ არის მისი შრიფტი, გვითხრეს მოსკოვში არისო, რომ არავინ ვცაგს იქ ნაცნობთაგანი კაცი, რომ მივსწეროთ და გვაშოვნინოს ნოტების შრიფტი. მან უთხრა: როგორ არა, მცაგს იქ ერთი კარგი მეგობარი ქართველი კაცი, პროფესორი ალექსანდრე ხანანაშვილი, ის მოგვინერებს მაგ საქმესო. თვითონაც წერილი მისწერა და მაქსიმესაც მისამართი გადასცა: ამ მისამართით მისწერეთო. ჩვენ მივწერეთ და მან მოგვწერა: არის მხოლოდ ამნაირიო, ნიშუში გამოეგზავნა, რომელიც იყო სულ ძველებური მოდა, ოთხ-ოთხ კუთხიანები. ნოტების ეს ნიშუში ვუჩვენეთ ფილიმონს და სთქვა: ეს არ ივარგებსო, ეს კი არა, ახალი სისტემა უნდა, რომელსაც ახლა ხმარობენ

სიმღერა-გალობაზე. ჩვენც ასე მივსწერეთ... ერთი თვის შემდეგ ნოტების ასოები მივიღეთ, სამი ათას მანეთად ღირებული. ჩვენ ძალიან გაგვეწარდა ნოტების ასოების მიღება 1891 წლის 10 დეკემბერს. ეს იყო მთელ საქართველოში პირველი შემთხვევა ნოტების ასოებისა.“ ასე გადარჩა, ასე მოვიდა დღემდე უამრავი საგალობელი. ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა წიგნები თუ კრებულები. მაქსიმე შარადისა და მისი მეგობრების სტამბაში ცხოვრება დუღდა.

რაც შეეხება პარტნიორებს, ი. ზაქარაიშვილი ძალიან გამოსულა ამხანაგობიდან, ვასილ გრძელიძე კი ადრე გარდაცვლილა.

1901 წელს შარადის სტამბა დახურეს პროკლამაციების ბეჭდვის ბრალდებით. დამამტკიცებელი საბუთები ვერ ნახეს და 1902 წელს თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის არისტო ქუთათელაძის თავდებობით მწიგნობრებისთვის ძალიან მოუციათ მუშაობის საშუალება. სტამბა აღადგინეს, მაგრამ ამ ფაქტმა შარადის ჯანმრთელობაზე ისე იმოქმედა, რომ ლოგინად ჩააგდო. გამოკეთდა, მაგრამ ვერ გამოჯანმრთელდა. ჭლექი თანდათან მიეწია. სხვა ამ დროს სამკურნალოდ მიიწვიდა, მაგრამ მაქსიმე ასე არ მოქცეულა, სანთელივით ბოლომდე იწვიდა. ყოველთვის შრომობდა და თავს ნებას არ აძლევდა, თავისუფალ დროს გასართობად, სეირის საცქერლად წასულიყო. მაქსიმესთან შეუძლებელი იყო დაუბრება. თუ ვინმეს შეამჩნევდა, ჩემზე გაჯაგრებული წავიდათ, უეჭველად წერილსა მისწერდა, ტკბილსა და საგულისხმოს. ხმა არასოდეს აუშავლებია, განსაკუთრებით მშვიდობიანი, წყნარი, მართალი. სიცრუე მის ბაგეთაგან არასოდეს ამოსულა. ერთხელ წიგნის



**ფილომონ
ქორიძე**



**ანსტათი
ქარანალიძე
(ხაფიზოვი)
ქავთიძე
ალმასრაძე**



**ალექსანდრა
ხახანაშვილი**

გამომცემელმა სთხოვა, მეტად შემიფასე და უფრო მეტ ფულს გადამისდიანო, მაგრამ მაქსიმუმ თავის ასაღებ ფულზე უარი თქვა და ტყუილი არ იკადრა. არ უყვარდა ფარი-სეველობა, არაფინ დაუჩაგრავს, თავისი თავის მეტი. ბავშვისთვისაც კი არ უთქვამს „ბიჭი“, არც სხვა ზედმეტი სახელი, არც არაფინ განუკითხავს — არც საერთო და არც სასულიერო პირნი. ამბობდა: „როცა ამა თუ იმ კაცზე რისამე თქმა გინდოდეს, პირველად იფიქრე, ვითომ ის კაცი შენ წინა დგას. თუ პირში ძვირს არ ეტყვი, ნურც უმისოდ იტყვიო“.

1901 წლიდან მოყოლებული შვიდი წელი ქლექით იტანჯებოდა. შვიდი წლის განმავლობაში ებრძოდა მძიმე ავადმყოფობას და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ღვთის მადლობისა და კურთხევის გარდა, სიტყვა არ დასცდენია, ყოველთვის ღმერთსა ჰმადლობდა. ხილვა ჰქონია: „ჩვენებით განგლიდა სული ჩემი ქვასა, რკინასა, ზღვას, უფსკრულსა, ცეცხლსა, მთასა ყინვიანსა და ზეცისა ჰაერთა შინა საშინელებათა დიდთაო“.

ილიას მკვლელობის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა, რამდენიმე თვეში, 1908 წლის 26 თებერვალს (ახ. სტ. 11 მარტს), 49 წლის ასაკში დასრულდა მისი ამქვეყნიური ცხოვრება.

ჩვენ ვალში ვართ მის წინაშე: რომ არა მაქსიმე შარაძე, არ გვეყოლებოდა არც ესტატე კერესელიძე (წმინდა ექვთიმე აღმსარებელი) და არც ქართული საგალობლები შემოგვეჩანებოდა. როგორც ბრძანებს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე: „მაქსიმე არ იყო არც ბერი, არც მღვდელი, მაგრამ თავისი ჭეშმარიტ-ქრისტიანული როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება-მოდგაწეობით ბევრად მაღლა იდგა



**ნიკიტა
თალაკვაძე**

ანლანდელ ბერობასა და მღვდლობაზე“.

„ერის გული ზღვავა. მის ღურჯხა და კამ-
კამა წყალს ვერ აამღვრევთ. და აი, ამ ზღ-
ვიდან ამოვიდა მაქსიმე, ამოვიდა წმინდა და
მოკვდა წმინდა. რაც სათნოება, უმადლესი
ზნეობა, დიდი გრძნობა სიყვარულისა ერსა
ჰქონდა ძველად შეთვისებული მემკვიდრეობის
კანონით, თითქო მასში გამოინატა, მას ჰქონ-
და შექმნილი.“ — ამ სიტყვებით გამოეთხოვა
გრიგოლ (გიგა) ყიფშიძე თავის მეგობარს, თა-
ნამშრომელს, თანამთაზრეს... კაცს, რომელიც
ქართული წიგნითა და გალობით საზრდობ-
და და უნდოდა ეს საზრდო სწავლისთვისაც
უანგაროდ ეწილადებინა.

მაქსიმე შარაძეს კუკიის სასაფლაოზე მი-
უჩინეს განსასვენებელი: მისი საფლავი, სამ-
წუნაროდ, უყურადღებობის გამო დაიკარგა...



**გიგოლ (გიგა)
ყიფშიძე**

(წყარო: <https://ka.wikipedia.org/wiki>

„მონა ღვთისა მაქსიმე როსტომის ძე შარაძე (1859-
1908)“ — თბილისი, 1909.

ილია თავბურძი, „XIX საუკუნის ქართველი მოღ-
ვაწეები და საეკლესიო გალობა“, გვ.: 49-52 — საქა-
რთველოს საბატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი,
2010 ISBN 978-9941-9120-7-8.

„მაქსიმე შარაძის ღვაწლი ქართული საგალობლების
გადარჩენის საქმეში“.

„ლაქიობიდან სტამბის ხელმძღვანელობამდე“ — ეკა
მანარაშვილი <http://www.saunje.ge/index.php?id=1166>).

„როცა ამა თუ იმ კაცზე რისამე თქმა გინდოდეს,
პირველად იფიქრე, ვითომ ის კაცი შენ წინა დგას“ —
კანაბერ კენკიშვილი, ჟურნალი „კარბჭე“, № 5, 2007
w., https://www.orthodoxy.ge/biografiebi/maqsime_sharadze.htm.)



ექვთიმე კერესელიძე



**ექვთიმე
კერესელიძე
ბერად
აკვეყნებდა**

ღირსი ექვთიმე აღმსარებელი (ერისკაცობაში ევსტათე კერესელიძე), დაიბადა 1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში.

სასწავლებლის დასრულების შემდგომ რაჭაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო თხუთმეტი წლის ევსტათე ჯერ ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ თბილისში ერთ-ერთი სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა, სადაც გაიცნო ილია ჭავჭავაძე. შემდგომში მაქსიმე შარაძის მოურავი გახლდათ. სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან ერთად თბილისში დააარსა უფასო „სადმერთო წიგნთ-საკითხავი“, რომლის მიზანი მისახლეობაში მართლმადიდებელური სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა-გაგრძელება იყო. ძველ ქართულ საეკლესიო გალობას სწავლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან, რომელიც ათონის მთის ქართველთა საგანეში იყო განსწავლული. 1890 წლიდან მაქსიმე შარაძემ და ევსტათე კერესელიძემ ილია ჭავჭავაძის დახმარებით შეიძინეს სტამბა. ათონის მთაზე ქართველთა საგანის ბერ-მონაზვნების დახმარებით მონასტრის წიგნთსაცავიდან გამოწერილ წმინდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს იღებდნენ, ინტენსიურად ბეჭდავდნენ და უფასოდ ავრცელებდნენ. 1891 წელს მაქსიმესა და ევსტათეს ცნობილმა მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ევსტათეს განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა და ამიტომ ფილიმონ ქორიძემ მას დაავალა

საგალობლოთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრება. რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმებას საგალობლო შედეგები მოჰყვა — გაიძარცვა და განადგურდა საქართველოს უძველესი ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯის უდიდესი ნაწილი. ძველი საგალობლო დამწერლობის მცოდნენი დღითი დღე მცირდებოდნენ. მეუფე გაბრიელის (ქიქოძე) თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებული ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის თაოსნობით ფილიმონ ქიქოძემ ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე, რომელიც საკუთარი ხარჯებით დაბეჭდეს ევსტათე კერესელიძემ და მაქსიმე შარაძემ. 1907 წელს, წმინდა ილია მართლის მოწამებრივი აღსასრულიდან ექვსი თვის თავზე, 1908 წლის 26 თებერვალს, მაქსიმე შარაძეც გარდაიცვალა. ეს უდიდესი დანაკარგი ევსტათე კერესელიძისათვის აუნაზღაურებელი დარჩა. დაღონებულ ევსტათეს განსაცდელი უერთგულესი მეგობრის დაკარგვისთანავე ეწვია. მთელი ოცდაათი წლის ნაშრომი, ათეულობით ხელნაწერი, ევსტათეს ანაბარა დარჩა. მას უძვირფასესი ხელნაწერების ნაწილი ჩამოართვეს. სანოტო კრებულები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

1910-იანი წლებში, მოვიდა ჟურნალ „ზობაშრი საჰმეხის“ რედაქტორ-გამომცემელი მღვდელმთვამე სვიმონ მჭედლიძე და მასთან „წმიდა გიორგის ძმობაში“ გაერთიანება შესთავაზა, და თან დასძინა რომ „წმიდა გიორგის ძმობას“ შეუვიდა და შეუგროვდა: მილიონ-ნახევარი სათასნო ფული, დასაარსებლათ



**ექვთიმე
ქარენელიძე**



**ექვთიმე
თაყაიშვილი**




**სვიმონ
მქაღლიძე**

და სავარმოებლად. აქედან ნახევარი მილიონით უნდა შეიძინოს ძმობამ კარგი სისტემის მსრაფლმბეჭდავი მანქანები და ყოველივე სასტამბო და საკაზმაზი იარაღები, და მასთან ყოველ გვარი ასოები: რუსულ-ქართული და სუცური“. რაზეც ევსტათე დასთანხმდა შექმდეგი პირობით: „ჩემ კუთვნილ სტამბას, თქვენს ხარჯით, ამხანაგისაგან გამოყოფთ და გადაზიდავთ ქუთაისში, ხოლო მე იქ თვითონ დავესდგამ და მოგაწყოფ ყველაფერად და ჩაგაბარებთ. სტამბის უფლება, ჩემი იქნება ჩემს სოცოცხლეში. მე მხოლოდ ვსწირავ თქვენს ახალ საქველმოქმედო დაწესებულებას, სტამბის მოგებას; ესე იგი, არა სტამბას, არამედ მის შემოსავალ-გასავალს. თქვენ ხომ ამბობთ: ბევრი საქმეები გვაქვსო, რასაკვირველია, ბევრ საქმეებს, ბევრი შემოსავალიც ექნება: ეს სულ თქვენი იქნება და მეც თქვენგან დანიშნულ ჯამაგარშიდ ვიშრომებ. თუ სტამბა ვერ აწარმოეთ კარგათ და მოგების მაგიერ ვალები დაგედვით, მაშინ ჩემ სტამბას, როგორც უგალოთ მოგიტანეთ, ისე უგალოთვე უკან წავიღებ თბილისში, როგორც ჩემ საკუთრებას. ასე თუ დათანხმდებით, მაშინ თქვენი ამხანაგებისაგან ხელ-მოწერილი ნატაროუსის პირობა ჩამომიტანე და მაშინვე სრულ უფლებას მოგცემთ, ჩემი წილი სტამბის გამოყოფისას და გადატანისა“. ევსტათემ მათი დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. იქ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწერებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის შესახვევ ქაღალდებში.

1911 წელს კერესელიძემ საგალობლები მდ-

ვდელ რაჟდენ ხუნდაძეს მიაბარა შესანახავად. უკან დაბრუნებისას ხუნდაძემ არასაკმარისად მიიჩნია კერესელიძის მიერ გადახდილი თანხა და საგალობლების დაბრუნებისას ამოჭრა ის ფურცლები, რომლებზეც მის მიერ ნაგალობები იყო ჩაწერილი. კერესელიძეს ისღა დარჩენოდა, ნაწილ-ნაწილ გამოეთხოვა რაჟდენ ხუნდაძისგან საგალობლები და ხელახლა გადაეწერა ისინი. ამ საქმისადმი მამა ექვთიმეს თავგანწირულმა სიყვარულმა და შეპართეზამ შთამომავლებს 5 532 საეკლესიო საგალობელი შეუნარჩუნა. ხელნაწერთა ერთგულ ცენტრში დაცულია ერთი მომცრო რეკულის 120 გვერდიანი ხელნაწერი №840, რომელიც ექვთიმე (ესტატე) კერესელიძის მიერ ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადატანის საგანგებოდ აღწერილი ისტორიაა. საგალობელთა კრებულისგან ერთ-ერთის მინაწერში წმინდა ექვთიმე აღნიშნავს: „1882 წელს სწავებთან ერთად დავიწყე მე ქართულ-იმერულ კილოზე ზეპირი გალობის სწავლა მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძისაგან და რომ აღვიღად გვესწავლა და არც ნასწავლი დავვიწყნოდა, სწავლის დროს გალობის ყველა მუნღს და სიტყვას (სანამ ნოტები არ ვიცოდით) სწავდასსვა ნიშნებს ვუკეთებდით და ეს ნიშნები სწავლაში ძალიან გვეხმარებოდა... ეს ნიშნებთან წიგნი შევინახე ნიშნად იმისა, რომ, სანამ საქართველოში ჯერ ნოტების სწავლა არ იყო შემოღებული იმ ძველ დროებში, თუ რანაირის ნიშნების დასმით სწავლობდა ხალხი ზეპირ გალობას, ამ წიგნში ნახეთ.“ ექვთიმე კერესელიძემ არა მარტო სანოტო ნიშნები შეისწავლა კარგად, არამედ ნოტების სასტამბო ანაწყობებსაც ის აკეთებდა. ნოტების წერაში ისე დაოსტატ-



**რაჟდენ
ხუნდაძე**



**ილია
თავბარიძე**

და, რომ ცოტა ხნის შემდეგ ფილიონი თავის მიერ ჩაწერილი საგალობლებისა და სიმღერების გადაწერასაც ანდობდა და ავალებდა. ეს ხელნაწერი იღია თავბერიძემ გამოაქვეყნა 2005 წელს მონოგრაფიაში „მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“.

„ახლად დაწესებულ ძმობის წევრებად თურმე ყოფილიყო მარტო სამი კაცი! (სამი-გეც აფერისტები) მღვდელი სვიმონ მჭედლიძე, მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე და მისი სიმაძრი, დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილი“. რომლისგანაც თავის დაღწევა ისევე ძვირად დაუჯდა. „მე უკვე გაგოგე, თუ რა კაცები ყოფილან ეს სამი პირი და აღარ ვენდე. მათ შური აიღეს ჩემზე, ბევრი მაწამეს, სიცოცხლე გამიმწარეს, ვალებს უფრო მოუმატეს, ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ თავიანთი ვალები მე გადამახდევინეს! რა მექნა: სტამბა ამიწერეს მათ ვალში და ხომ არ დაგეარგავდი! გაგიღე ფული და გამოვშორდი მათ. უკეთუ ვისმე სიტყვა გაგრძელებულად მიაჩნდეს, მე ამ სინამდვილეს მოვანსენებ: რაც მე ჩემმა მატყუარა ამხანაგებმა დალატი, ტანჯვა, ზარალი, ჭირი და შავი დღე დამაყენეს, იმის მცირე-მცირე მოვიხსენე და ათი იმდენი მოუხსენებლად გამოვტოვე.“



**ვაისკოვონი
გიორგი (ლავით
ალადაშვილი)**

სტამბა კვალად თბილისშივე გადმოვიტანე, დასდგი, ვაგმართე ელექტრონის მოწყობილობით და საქმეებითაც გაივსო. ამ დროს მე გულდაიმედებულმა ეს სტამბა გადავეცი ჩემს ძმისწულებს: კარგ პირობებში.

ამის შემდეგ მე თავი ვავითავისუფლე, ვიშოვნე დრო და გადავედი საშრომლად დიდად ცნობილ გელათის მონასტერში.“

1912 წლიდან იმერეთის ეპისკოპოს გიორგის

კურთხევით ევსტათე კერესელიძე მონაწილეობდა განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს მონაწილეობდა აღიგებება და დარსი ექვთიმე მთაწმინდელის პატივსაცემად უწოდეს ექვთიმე. 1913 წლის მაისში დაიკვანდა დაასხეს წელი. ამ დროიდან დაიწყო მამა ექვთიმეს ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა. მან გადაწყვიტა, ზედმიწევნით მოეწესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მხედვეთი გაეწყო. ამ მიზნით უზგად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას. ქუთაისში, ი. კილაძის სტამბაში, ექვთიმემ მუსიკოს ნიკო შარაბიძის თხოვნით ააწყო და გამოსაცემად მოამზადა „ქართულ ეროვნულ სამხმან სიმღერათა კრებული, ნოტების მოკლე განმარტებით“. 1918 წელს კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით დაბეჭდა ჰიმნი „დიდება“, რომელიც 1918-1921 და 1991-2004 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნად ჟღერდა.

1917 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ ხელდასმულ იქნა მღვდელ-მონაწილეობა.

1921 წელს, კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე, მამა ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება, თუმცა დანაშაულის არქონის გამო რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს. გელათის ბერ-მონაწილეები ყოველდღე ელოდნენ დარბეჯას. ექვთიმე ამ წლებშიც აგრძელებდა საგალობელთა კრებულებზე მუშაობას. — „მე ამაში ვბოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს თქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც თქროსმჭედელი და თვალ-მარგალი-



**კათალიკოს-
პატრიარქი
ამბროსი ხელაია**



**კათოლიკოს-
პატრიარქი
კალისტრატე
სინსაქა**

ტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უდიდისი, ამაში ხელს ურეგ!“ — წერდა ექვთიმე.

1923 წელს მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს რამდენიმე დღის ვადა მისცეს, რათა ბერ-მონაზვნებს დაეტოვებინათ მონასტერი. მამა ექვთიმემ საგალობელთა ორმოცამდე კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადაამალა. 1924 წელს კომკავშირელებმა დაანგრიეს წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საკათედრო ტაძარი.

1924 წლის 28 აგვისტოს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი „განსაკუთრებული სამეულის“ გადაწყვეტილებით საფინხის ტყეში გაიყვანეს და ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად დახვრიტეს. 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ზედაზნის მონასტრის იღუმენი ექვთიმე 1930-იან წლებში იძულებული გახდა ხელნაწერები თბილისში, შედარებით უსაფრთხო ადგილას, გადაეტანა. იმ პერიოდიდან მღვდელმონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადაამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები. 1925 წელს, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა ამბროსი მეტეხის ციხეში იყო დატყვევებული, ხოლო საქართველოს ეკლესიის უკლებლივ ყველა მსახური საშინელ დევნას განიცდიდა, მამა ექვთიმე კვლავაც აგრძელებდა საეკლესიო გალობის იშვიათი ნიმუშების

გადარჩენას. სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთ-საცავში მან მიაგვლია ძილისპირთა უძველეს ნეკროპოლურ კრებულს და ეს საგალობლებიც ხუთნაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა. 1929 წლიდან მამა ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. თან წაიღო ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მიწაში დაფლა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ოცდაათონეტი სანოტო კრებული, რომლებიც 5081 საგალობლისა და სასულიერო შინაარსის რამდენიმე ხელნაწერისგან შედგებოდა. ექვთიმეს სახელმწიფო ბუნსია დაუნიშნა, რომელიც 1939 წლამდე დაუბრკელებლივ ეძლეოდა. 1939 წელს ექვთიმეს ბუნსიის მიღება შეუწყდა. ამ საკითხთან დაკავშირებით კოტე ფოცხვერაშვილის შუამდგომლობით სახელმწიფოსთან შეიქმნა კომისია, რომელმაც მამა ექვთიმეს საქმე ხელახლა შეისწავლა და დაუნიშნა ბუნსია სიცოცხლის ბოლომდე 300 მანეთის ოდენობით.

1941 წლის 22 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე ექვთიმე კერესელიძემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადასცა მის მიერ შეგროვილი საქართველოს ყველა კუთხის ძველი ქართული საეკლესიო საგალობელი, ნოტებზე გადაღებული; ისინი მთავრებულია 37 წიგნში და შედგება 5532 ნომრისგან. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1941 წელს დაწერა „ისტორია ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა.“ მასში ქრონოლოგიურად გადმოცემულია ესტატე კერესელიძის თავზე გადამხდარი ამბები 1882 წლიდან 1941 წლამდე.



**ლიჩხი ექვთიმე
აღმსარებელი**

1941 წელს ექვთიმე თავისთან მიიწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ და დიდი მადლობა გადაუხადა უნიკალური შრომისა და ღვაწლისათვის. პატრიარქისვე თხოვნით ექვთიმემ ნოტებზე გადაიტანა საღვთო მსახურების დროს სათქმელი დიდი და მცირე კვერეუქსები.

1944 წლის ზამთარს ზედაზნის მონასტერში მარტო მცხოვრები მამა ექვთიმეს სანახაგად ასულ სამთავროს მონასტრის დედებს წმინდანი სასიკვდილოდ დასწეულებული დახვდათ. ექვთიმე იმავე წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა სამთავროს მონასტერში გადაიტანეს, არქივი კი დაუდევრობის გამო განადგურდა.

2003 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ექვთიმე კერესელიძე წმინდანად შერაცხა.

(წყარო: „ვის პქონდა საქართველოში პირველი სანოტო სტამბა და როგორ შემოგვინახა ესტატე კერესელიძემ 5 532 საეკლესიო საგალობელი“ (ეკა ხალადაია, <http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=6248>)

ექვთიმე კერესელიძე, „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“).

სპირიტონ ლოსაბერიძე

ექვთიმე კერესელიძე თავის დღიურში „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“ სპირიტონ ლოსაბერიძეზე საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის.

ნაწყვეტები წიგნიდან:

„1907 წელს, ჩვენი (ნოტის გალობის დიდად მზრუნველი) ძმა და ამხანაგი მაქსიმე როსტომის ძე შარაძე ძლიერ დასნეულდა და გარდაიცვალა 1908 წელს დეკემბრის თვეში. მაშინ ჩვენგან შეძენილი, მოსკოვის ქუჩაზე N5 სამსართულიანი სახლები, ეწო-მიდამოთი, და მასში მოწყობილი ელექტრო საბეჭდავი სტამბა, ჩვენი საამხანაგო პირობითა და ნოტარიუსის ძალით, გადმოვიდა სამფლობელოდ ჩვენ დანარჩენ ორ ამხანაგზედ. ამ დროისგან სპირიტონ ლოსაბერიძე სულ სხვა გზას დაადგა! უარ-ჰყო ჩვენი სტამბის საამხანაგო საკეთილო პირობები, და თურმე ფიქრობს: მეც ესტატე კერესელიძე როგორმე მალე მოგვადე, რომ სტამბა და სახლები მას საკუთრად დარჩენოდა! დღე და ღამე ამის ფიქრსა და ღონისძიებას შესდგომია და მე არ ვიცოდი! მის პირობისაგან ვაღამდგარობას ამით დაგრწმუნდი, რომ: მაქსიმეს ბოლოს დროს გბეჭდავდით შეიდნაირ წიგნს, ჩვენი სტამბის გამოცემით, და აგრეთვე გბეჭდავდით: სადღესასწაულო ნოტების საგალობელს, რომელიც უკვე 18 ფორმა დაბეჭდილი გვქონდა, და 4 ფორმა კიდევ აწყობილი და დასაბეჭდი იყო, და იმათი დაბეჭდვით წიგნებიც დასრულდებოდა! ხოლო ის ცოფიანივით მივარდა! და ყველა ამ წიგნების აწყობილი ფორმები, და ნოტების აწყობილი ფორმები, სულ დაშალა,



დააბნია და ამბობდა: ამით ბექდვა-გამოცემა-ში ფულს არ დაფნარჯავო. ამით შესწყვიტა ჩვენს სტამბაში ნოტებისა და წიგნების ბექდვა-გამოცემა და არავითარი ჩემი სიტყვა არ გაიკარა და არ დაიჯერა!

როგორც უკვე აღვნიშნე: სპირიდონ ლოს-აბერიძე ჩვენი მეოთხე ამხანაგი იყო, მაგრამ ცუდლუტი და უმუშაო. ჯანმრთელი კაცი, სხვადასხვა ავათმყოფობას იფონებდა! განგებ ხველებას ასტენდა, მოგონებულ ხველებას, ყველა ატყობდა, რომ განგებ ახველებსო. წამლების ფული გაჰქონდა ჩვენგან თითქმის ყოველ დღე, წამლებს არ ყიდულობდა, ფულს ინახავდა!

გარდა ამისა, სხვა ბევრს მპარაობას სჩადი-ოდა თურმე და ჩვენ გვიანამდი ვერ გაფუგუო. იმას თვეში (ნარჯ-გარდა) სამი თუმანი ჯამაგირი გაჰქონდა ჩვენგან და ჩვენ, მე და მაქსიმე კი, სტამბიდან მარტო მცირე ნარჯის ფულს უნარჯავდით, დანარჩენი სტამბის შემოსავლით: ნოტების გალობას ვბექდავდით, გალობას ნოტებზე ვაწერინებდით, აგრეთვე სხვადასხვა მოწონებულ წიგნებსა და წიგნაკებს ვბექდავდით. არც ერთ ამბებში სპირიდონა მონაწილეობას არ იღებდა და არც გვემპარებოდა. ჩვენ რომ რაიმე კეთილ საქმეებში დაგებრკოლებულიყავით, იმისი მეცადინე იყო.

სანამ მაქსიმე შარაძე ცოცხალი იყო, თავისი სიბოროტე სრულად არ გამოაჩინა და, როცა მ. შარაძე გარდაიცვალა, მან ნაცვლად გლოვისა, დიდი სინარულის ღზინი სადღაც პადგალში გამართა! და რომ ჩაიგდო ხელში მთელი ქონების მონახევრეობის საბუთი, მაშინ საკეთილო საქმის გაკეთებას ვერ გააგონებდა ადამიანი. აღარც მე გამიშვა, რომ მოსათაკებელი წიგნები და ნოტის საგალობელი,

რომელიც იმან დააბნია და გადაარჩევია, რომ საკუთარი ჩემის ხარჯით მომეთავებინა.

დღე და ღამე თურმე სულ იმას ფიქრობს და მეცადინეობს: (ოუდა გამცემლის მსგავსად) თუ როგორ მიღლატოს და მომპოს სიცოცხლისაგან: ფულის და ქონების შექმნისათვის! მე ყველაფრის შემქნი, დამფუძნებელი და მწარმოებელი ამხანაგი! რომ საკუთრად დარჩენოდა მთელი ქონება! იმ ჩვენ საამხანაგო პირობას ჩუმიად დაატარებდა სპირიდონა, სხვადასხვა ვეჭილეებთან და სხვა სულებთან, და მათგან სწავლობს სხვადასხვა საღალატო ხერხებს! როგორც შემდეგ გავიგეთ!: თურმე დაურიგებიათ, რომ შენს ხელში იყოსო: სტამბის პატენტი, — სტამბის ნებართვა — საამხანაგო პირობა, — შემოსავალ-გასავლის წიგნი. — სასტამბო ქონების წიგნი. — ყოველგვარი ფულის შემოსავლის ანგარიშის წიგნი ვადა-მაღე. ამ რიგად კერესელიძეს თავის ზეადრს შემოსავალ ფულს ნურაფერს ნუ მისცემ, და მთლად უსაშველო და უფულო იყოს; სახლების ქირაც შენ აიღე, მას ნუ მისცემ. სახლების ნაყიდობის ქაღალდს მას ხელში ნუ ჩაუგდებო და სხვა. ეს მისი ჩამოწერილობა ერთი წლის შემდეგ გადმომცა ჩვენმა ყოფილმა ასოთამწეობმა: იოსებ ფურცელაძემ, რომელსაც მიეღო სპირიდონასაგან საკორექტურო ქაღალდები, და სწორედ იმ ქაღალდებში გარეულიყო საიდანდაც ერთი ნახევარი ქაღალდი, რომელშიდაც ეწერა ყველა ეს მისგან ჩასადენი საბოროტო საქმეები.

ასედაც იქცეოდა, ყველაფერი ძალმოძრეობით ხელთ იგდო; არაფერში არ მზოგავდა, მოკვლასაც კი მემუქრებოდა! მეტის გაჭირვებისა გამო და უფულობისა გამო ვერაფერი ვერ ვიყიდე საზამთრო ჩასაცემელი, ამის გამო

გავცივდი და მძიმე ავით გავხდი! ამიტომ დავიბარე ქორუნი ექიმი მის. საავადმყოფოდან გვარად კილოსანიძე, მოვიდა და გამშინჯა, მითხრა: მარცხენა გვერდში წყალი გაქვს ჩამდგარიო, მალე უნდა ამას თბერაცია, თორემ ჩირქად გადაიქცევა და მოკვდებიო. ჩემდა საუბედუროდ: სპირიდონამ წამლები არ მიყიდა! ამასობაში გავიდა ოთხი დღე, უწამლოთ გვერდი გამისივდა, საშინელ ანთებაში ჩამავდიო! ჩემ იღბლად მოვიდა ჩემთან სანახავად ამხანაგი ივანე ოსი, გვარად ფარნა: რომ გაივთ სპირიდონას უწყალო ქცევა, შეუვარდა გაჯავრებული, წაავლო ყელში ხელი და უთხრა: მომეცი ესტატეს ფული, თორემ ახლავე დაგახრჩობო, ასწია და დაახალა პოლზე და შესდგა ფეხებით, მოგეკლა ახლავე, თუ ფული არ მომეცი მისთვისო. ამოადებინა მას 25 მანეთი და მომიტანა. მე, აი, ამ ფულით გამოწერილი წამლები მოვატანინე და მერე ნელ-ნელა ფეხზე წამოვდექი.

შემდეგ ამისა, სხვა ღონისძიებას ცდილობდა სპირიდონა ჩემ მოსასპობად: ვცდილობ მის ამხანაგობაზე ხელი ავიღო და გამოვშორდე, ჩემი წილი გამოვეყო, მაგრამ ის არც ამას სჩადის, ანგარიშს არ ასწორებს, არც შემოსავალს ფულს იძლევა და არც შინაურულად მორიგებას ყაბუღდება! ამბობს: მე არ გიყოფ ქონებას, წადი და სუდში იწივლეო. დაფრჩი უსაშველოდ და ვფიქრობ, როგორ უშველო თავს.

ერთი კვირაში ქუთაისიდან მოვიდა კვირეულ ჟურნალ „შინაბან საჭმეპის“ რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი სვიმონ მჭედლიძე, რომელმაც „წმიდა გიორგის ძმობაში“ გაერთიანება შემომთავაზა.

სპირიდონას უთხრეს, რომ სტამბა უნდა

გაიყოს. სპირიტუალური უარი ვედარ მოახერხა. მხოლოდ იმ დამეს, რაც საუკეთესო სასტამბო სამუშაო იარაღები და ასოები იყო, მოეპარა და გადაეკლდა, ვედარ ვიზუალურ! ჯერ საგალობლები გაიყოს, შემდეგ სახლის ქონება და მერე სტამბის ქონება.

არტემ ახნაზაროვი დამეხმარა. მან სპირიტუალურ მეტოქეობა გაუწია: სპირიტუალური სახლი ვერ დაიხსნა და სახლი ისევ საზიარო შეიქმნა. ჩემი წილი სახლი ჩემ დამცველ ვექილ არტემ ახნაზაროვის მივცედი.

ამის შემდეგ მე თავი გავითავისუფლე, ვიშოვნე დრო და გადავედი საშრომად დიდად ცნობილ გელათის მონასტერში.



მედიანობითიოგრაფია
გაზეთები



№1/1
20 ოქტომბერი,

იმედი გვაქვს, საქართველოს ყველა მკვიდ- რნი სიამოვნებით მიიღებენ სასინარულო ამ- ბავს, რომ ჩვენს პატარა [ყრილობას].. კიდევ ერთი ყოველდღიური პაწია გამოცემა მიემა- ტა. თანაგრძნობა და სინარული, [რომელიც].. ჩვენ გვესმის ქართველ საზოგადოებისაგან, ნათლად გვიმ [გვიმტკიცებს -???]... რომ ჩვენი ერი და ქვეყანა [მოწადინებულია] იქონიოს კიდევ ორგანო.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მოწადი- ნეობასთან ერთად ქართველ საზოგადოებას დონეც შესწვდება და ასაზრდოვოს ჩვენი პა- ტარა „ცნობის ფურცელი“.

[ჩვენის].. მეცადინეობისა და მოქმედების შესახებ ჯერ-ჯერობით არას... [ვიტყვით] და მკითხველთ არას დაგვირდებით, მხოლოდ დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსტყვათ, რომ ყოველი სიტყვა და საქმე დაფუძნებული იქნე- ბა ჩვენის ქვეყნის და ერის მომავალზე და მათის დღევრძელობის სურვილზედ.

№1/1

20 ოქტომბერი

„ცნობის ფურცელი“

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც.

გაზეთის ფასი ამ წლის დამლევაამდე ერთი მანეთი.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 6 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხე გვერდზე 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელებათ, რედაქცია შედაგათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინოს და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, გიდრე 6 მანეთს შეასრულებს.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, №13 „ცნობის ფურცელი“

Тфились, Фрейлинская №13, Редакция, „Цнобис Пурцели“

№1/1

20 ოქტომბერი

რედაქცია

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 1 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6-7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

№1/4

20 ოქტომბერი.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. 21 რედაქტორ-გამომცემელი ვაჟ. ბუნიია

Дозволено цензурою Тфились, 19 го
Октябрѣ 1896 г.

პ.ს. ეს წარწერა ყოველ ნომერშია შესაბამ-
ისი თარიღით. (მ. დ.)

№4/1

23 ოქტომბერი

ახალი ამბავი

თფილისის გაზეთებმა, როგორც მოსალ-
ოდნელიც იყო, თანაგრძნობით მიიღეს თავი-
ანთი უმცროსი ძმა „ცნობის ფურცელი“. გაზ.
„კავკაზი“ გვისურვებს, რომ ჩვენი გაზეთიც,
როგორც ყველა ჩვენი საქმე, პარტიობამ არ
ჩაითრიოს და არ დაიდუბოს დაწყებისთანავე.
ხოლო გაზ. „მშაკი“ სურვილს აცხადებს, რომ
„ცნობის ფურცელი“-ს მოქმედება დამყარე-
ბულ იყოს პირუთვნელობასა და სამართალ-
ზედ, რომ გაზეთმა გაავრცელოს და გაა-
ძლიეროს აზრი ძმობისა და ერთობისა ჩვენის
ქვეყნის ტომთა შორის. „ცნობის ფურცელის“
პირველსავე ნომერში დაბეჭდილ შენიშვნაში
რედაქციამ მკითხველს აღუთქვა ყოველი თა-
ვისი მოქმედება მუდამ ქვეყნის სიყვარულზედ
დაამყაროს და ეს სიყვარული ხომ იმის თავმ-
დებია, რომ ჩვენს მოღვაწეობაში აღნიშნულს
აზრს უმთავრესი ადგილი ეჭირება. ჩვენი გუ-
ლის ნადებიც ის არის, რომ კეთილი მკერმისი
ჩვენის ქვეყნის, დამყარდება მხოლოდ ერთო-
ბილს, ძმურს, შეთანხმებულ მოღვაწეობაზედ
ჩვენსა და ჩვენ მეზობლებს შორის, ჩვენის სუ-
ლიერის და ეკონომიკურის წარმატებისათვის
სწორედ ესეთი მოქმედებაა საჭირო. რაიცა
შეეხება „კავკაზის“ რჩევას, რომ პარტიობა
ავიცილოთ თავიდან, — ვიტყვით, რომ ჩვენ
გუცდლებით მტკიცეთ დავიჭიროთ ხელში დრო-
შა სიმართლისა.

„ცნობის ფურცელის“ 1,2,3 და 4 №№-ები, დასტამბული 1200 ეგზემპლარად, უკვე დაურთოდა ხელის მომწერო. ახალი ხელის მომწერნი ბაზეთს მიიღებენ მხოლოდ მ-5 №-იდან.

გაზეთის დამტარებელთა გამოუცდელითი ქალაქის ხელის მომწერებს გაზეთი დროზე ვერ მისდით; რედაქცია ყოველ დონისძიებას ხმარობს, რომ ეს ნაკლი თავიდან მოიშოროს.



*** *** ***

მკითხველებს უკვე მოეხსენება ყველა ადგილობრივი გაზეთების აზრი ჩვენს ახალ „ცნობის ფურცელზე“, მხოლოდ „ეგალის“ აზრი არ იყო აქამდის გამოცხადებული და ანლა ამასაც ვეღირსეთ... აი როგორ შეგვეგება გაზ. „ეგალი“ და მისი ბაიარან ტარი:

„წარსულ კვირეში გამოვიდა ახალი ბაწია ქართული თრგანო, რომელსაც ეწოდება „ცნობის ფურცელი“. მას თანაგრძნობით მიეგება ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ახალ დაბადებულის ფურცელის ღირსება ის არის, რომ მისმა გამომცემელ-რედაქტორმა, ბ. გუნიამ, პირველ იანვრამდე ის ძალიან გააიაფა; ორი თვის გამოცემა ერთ მანათად განადა, ხოლო ცალკე ნომერი სამ კაპეკათ. ჩვენი მკითხველი საზოგადოება ისე დაესია ამ გამოცემას, როგორც ზაფხულში ქუჩაზე მყურებელთ ჩვევათ, როცა მათ დუქნებიდან დაშვალ ხილს გადუყრიან საქმელათ. ერთმა ქუთათურმა ინტელიგენტმა წამოიძახა, როცა პირველათ ხელში აიღო „ცნობის ფურცელი“: მე ეს გაზეთი მეგონა, თურმე „სპრაგონი“

ლისტოკი“ ყოფილა. მაგრამ თავის უარეს მაინც სჯობია. სწავა არა იყოს-რა, სათაური აქვს ღამაზი და სამ კაპუიკად ესეც ღირსო. ამ ახალწლამდის მოსახალისებლად ამასაც არა უშავსო.

ჩვენ არა ვართ ქუთათური ინტელიგენტის აზრისა. „ცნობის ფურცელს“, როგორც ახალშობილს, თუკი თავი ღამაზი აქვს, მერმის ტანიც შესაფერი გაეზრდება. ამის თავდუბი მისი გულ-უნფი და შეძლებული ნათლიები არიან. ერთი ამ ნათლიებთაგანი თურმე დაბადებისთანავე საკმაო საძიძო წყალობას უბირებს, ოღონდ ხელში ჩემი „სიმართლის“ დროშა დაიჭირეთ, მაგრამ, როცა სიმართლე კერძო საკუთრებათ ხდება, იმ სიმართლის მაღლი ეშმაკებს შეეწევა.

P.S. ყოველდღიური საცნობარო ფურცელი „**Справочный Листок**“ გაზეთ „**Еженедельный листок**“-ის დამატებაა. მასში იბეჭდებოდა განცხადებები და საგაქრო რეკლამები. გაზეთი გამოცემოდა ტფილისში 1872 წელს. ამ გამოცემის შესახებ ცნობები მოცემულია 1874 წლის კაგაკასიის კალენდარში. რამდენ ხანს გამოდიოდა და რატომ დაიხურა, უცნობია. რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ა. ივანოვი (წყარო: <http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/001730/>)

№13

1 ნოემბერი

რედაქციისგან

„ცნობის ფურცელის“ 1-დამ მე-12-მდე დასტამბული 1500 ეგზემპლარად, უკვე დაუროგდა ხელის მომწერით. ახალი ხელის მომწერნი ბაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე-13 №-იდან.

№31

19 ნოემბერი

რედაქციისგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ-ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო. ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდან გვინდა გაზეითო. რადგანაც სათითაოდ მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ გაცხადებთ, რომ 20 ნომრამდე გაზეით სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 20 ნომრიდან მიიღებს გაზეითს, ხოლო, ვისაც ამ ნომრის შემდეგ შიგა და შიგ თითო-ორილა ნომერი დაჰკლებია, ფოსტისა თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

№42/1

30 ნოემბერი

რედაქციისგან

ხელ-ახლად გაუწყებთ იმ ახალ ხელმომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითო-ორილა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი“, თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდან აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ სვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, დროისთვის შეატყობინონ რედაქციას გაზეითის დაკვეთის სურვილი, რათა რედაქციამ ხელის მომწერთა რაოდენობის მხედვით დაიჭიროს ანგარიში და დაჰბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეითისა.

№35/1.

23 ნოემბერი

რედაქციისგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ-ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო. ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდან გვინდა გაზეთით. რადგანაც სათითაოდ მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ ვაცხადებთ, რომ 25 ნომრამდე გაზეთი სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 25 ნომრიდან მიიღებს გაზეთს, ხოლო, ვისაც ამ ნომერს შემდეგ შიგა და შიგ თითო-ორთლად ნომერი დაჰკლებია, ფოსტისა თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაგვზავნებათ.



№52/1

10 დეკემბერი

რედაქციისგან

საქართველოს სსრ-და-სსრკ კუთხიდან, ჩვენ საკუთარ კორესპონდენტების გარდა, სწორად მოგვდის ხოლმე გაზეთში დასაბუქდი წერილები იმათგანაც, რომელთა გინაობა რედაქციას არ მოეხსენება.

ვთხოვთ ასეთის წერილების ავტორებს, შეგვატყობინონ ხოლმე დასაბუქდად გამოგზავნილ წერილთან ერთად თავისი სახელი, გვარი და ადრესი. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია ამგვარ წერილებს ვერ დაბუქდავს.



№15/4

3 ნოემბერი

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულისმოდესი მადლობა უძღვნათ ბ. დ. ღამბაშიძეს, რომელმაც კეთილინება და შემოსწირა ორმოცდა რვა წიგნი და სამი წლის რამდენიმე ნომერი „მწვენი“

სისა“ და სხვა თავის გამოცემანი ხევის სამ-
კითხველოს. აგრეთვე მ. მ. დ. ხანუტაშვილს,
რომელმაც შეიმოსწირა სამი მანათი ფული და
ცამეტი ქართული წიგნი.

გამგე მეჯრისხევის წიგნთ საცავისა კენინა
ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა
1896 წ., 30 ოქტომბერი.

№28/1;
16 ნოემბერი

მიიღება ხელის-მოწერა დამდეგის
1897 წლისათვის ახალ ქართულ
ყოველ-დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელი“

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:
ვინც დამდეგის წლისათვის გაზეთს ამ თა-
ვითვე წლიურად დაიკვეთს, იმას **ბაზმით**
უფასოდ ბაიბზავნება ამ წლის **ღამ-**
ღამად.

წლიური ხელის-მომწერთ გაზეთთან ერთად
დაეგზავნება **უსასქილლოდ** ამ წლის დეკემ-
ბრის თვიდან:

საქართველოს კალენდარი 1897 წ.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალ-
გვარ ნახატებით და ქართველ მწერალთა და
მოდგაწეთა სურათებით. კალენდარი შეიცავს
500-ზე მეტს გვერდს დიდის ზომისას.

„ცნობის ფურცელი“

გამოვა ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდ-
გომაც, უფრო დიდის ზომისა.

გაზეთის ფასი: წლიურად 6 მან, ნახევარი
წლით 4 მან, (სხვა ვადით ხელის მოწერა
არ მიიღება). **თითო ნომერი ღირს 3 კაპ.**

ბანცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზედ

— 5 კაპ. შედაგათი ხელის მომწერთათვის:

იმ ხელის მომწერთა რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებოთ, რედაქცია შედაგათის აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მან. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე წლიურს ფასს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, №13 „ცნობის ფურცელი“

Тифлисъ, Фрейлинская №13, Редакція, „Цнобис Пурцели“

რედაქტორ-გამომცემელი

ვალერიან ბუნია

№47/3

5 დეკემბერი

ტელეფონის მაგთულების გაბმა.

...სოლოლაკში აბამენ მაგთულებს და ჩვენს რედაქციაშიც ამ ორი საში დღის განმავლობაში გაგვიმართავენ ტელეფონს. მხოლოდ კუკიის სიდზედ გაათავებენ თუ არა კაბულის გაყვანას, მაშინვე შეუდგებიან კუკიელთ მსურველთათვის აპარატების გამართვას. როგორც აბონენტთა სიიდან სჩანს, თბილისში ეხლა უკვე ოთხასზედ მეტი ტელეფონი სდგას.

№47/1

5 დეკემბერი

მიიღება ხელის მოწერა დამდგეის 1897 წლისათვის

გინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა. წლიური ფასი ექვსი მანათი.

№55/3
13 დეკემბერი,

აზნ. ვლ. ერ. კობახიძეს შეუწირავს ხეთის სასოფლო სკოლისათვის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ პირველ იანვრამდე, რისთვისაც იქაური მასწავლებელი თეიმურაზ ჭიჭინაძე მადლობას უძღვნის.

№67/1
25 დეკემბერი

1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი ვალ. გუნიას-მიერ.

ბაზმის ფასი: ერთი წლით 6 მან, ნახევარი წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება. თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.


ბანცხაღების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე - 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებოთ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესირედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская № 13, Редакция, „Цнобис Пурцели“

№67/1
25 დეკემბერი

შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცელისა“ გამოვა, ქრისტეს შობის დღესასწაულის გამო, პარასკევს, 27 დეკემბერს. ტელეფონი რედაქციისა №363



გამოვა 1897 წელს

იმავე პრინციპით, როგორც წინააღ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან ყოველ-
დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ
მოსდევს კვირა-უქმეებს.

ფასი გაზეთისა:

11 თვით და 13 დღით — 9 მან, 60 კაპ. 11
თვით — 9 მან. 50 კაპ., 10 თვით — 8 მან. 75
კაპ., 9 თვით — 8 მან., 8 თვით — 7 მან. 25
კაპ., 7 თვით — 6 მან. 50 კაპ., 6 თვით — 6
მან., 5 თვით — 5 მან. 50 კაპ., 4 თვით — 4
მან. 75 კაპ., 3 თვით — 3 მან. 50 კაპ., 2 თვით
— 2 მან. 75 კაპ., 1 თვით — 1 მან. 50 კაპ.

საზღვარგარეშე დაბარებული 1898 წლის 1
იანვრიდან ედირება 17 მან. ტფილისს გარეო
მცნოფრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის
ადრესით: Тифлисъ, Редакция, „Иверია“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერი-
ის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. №21. „ქართ-
ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებე-
ლი საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის
ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი
ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე,
უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანა-
თი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდან სწვა
ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე
— თრი აბაზი. თუ თვის განმავლობაში დაი-
ბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას
გაუგზავნება გაზეთი პირველი იმ თვიდან,
რომელსაც დამბარებული აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მოწერათა

საქმრადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896

მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი — 3 მან და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს), ხოლო, ვისაც არა ჰსურს, იმას მოუვა გაზეთი ვადით შეიღის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ. ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება.

P.S. პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ყოველკვირულ გაზეთად, 1879-1885 წლებში — ჟურნალის სახით, 1886 წლიდან — ყოველდღიურ გაზეთად. „ივერია“ იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი თემატურად მრავალფეროვანი ორგანო; ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. თემატური მრავალფეროვნება განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ, რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს. მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე. დიდი ადგილი ეთმობოდა

სახალხო განათლების საკითხებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში.

გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორია **ილია ჭავჭავაძე**, თანარედაქტორი **სერგეი მესხი** (1881, „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას). გაზეთს სწავლასწავა დროს რედაქტორობდნენ: **ივანე მარაბელი** (1882-1884), **ალექსანდრე სარჯიშვილი** (1901 წლის 4 დეკემბრიდან); **ბრიგოლ ყიფშიძე** (1903-1905), შემდეგ გაზეთის დახურვამდე (1906 წლის 27 აგვისტო) **ვილიპე ბობიჩაიშვილი**.

თანამშრომლობდნენ უნიჭიერესი კორექტორ-დენტები და ჟურნალისტები; **ალექსანდრე ყიფშიძე**, **ალექსანდრე ნანეიშვილი**, **არტემ ახნაზაროვი**, **დ. მიქელაძე**, **ბიორგი ლასხიშვილი** (იხ. გვ.: 48) და სხვ. ასევე თანამშრომლობდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, საოგადო მოღვაწეები: **აბაკი ჟერეთელი**, **იაკობ ბობეჯაშვილი**, **ვაჟა-ფშაველა**, **ალექსანდრე ყაზბეგი**, **ნიკო ლომოური**, **ეკატერინე ბაბაშვილი**, **სოფრომ მბალოგლიშვილი**, **სტივანე ჭრელაშვილი** და სხვ.

1889 წლის 20 თებერვალს **ზურაბ ჭავჭავაძემ** გაზეთი „ივერია“ აღადგინა ილია ქავჭავაძის საზოგადოების გაზეთის სახით. იგი 1997 წლამდე გამოდიოდა. სარედაქციო კოლეგია: **ბახაბერ ბახაძე**, **რევაზ კვიციანი**, **ბელა ნიკოლაიშვილი**, **დავით ტაბიძე**, **ლადი ჯვალაძე**, **თამარ ჩხეიძე** (არასრული სია წყარო: [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90_\(%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98\)](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90_(%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98))).

**ილია
ჭავჭავაძე**



ილია ჭავჭავაძე (08.11.1837-12.09. 1907)

— საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი. ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. ილიას გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეადგინა „პირველი დასი“. ილიას დროს შექმნა რუსეთში ქართველ სტუდენტთა — „თერგ-დალეულთა“ — ტრადიციები. იგი იყო მისი და დიმიტრი ყიფიანის მიერ დაარსებული ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, 1879-1885 — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე, 1885-იდან სიცოცხლის დასასრულამდე საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე. საქართველოში პირველმა დააფუძნა ფინანსური დაწესებულება — სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელსაც 30 წელი ხელმძღვანელობდა. გადამწვევტი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნასა და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებაში. ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო არენაზე გამოიჩინა უკავშირდება „ცისკარში“ დაბეჭდილ სტატიას „ორიოდ სიტყვა თავად რ. ერისთავის მიერ კაზლოვის შეშლილის თარგმანზედა“, რომელიც, როგორც გრიგოლ ყიფშიძე აღნიშნავს, „ნამდვილი ყუმბარა იყო. მისმა ძალა-აფეთქებამ თავ-ზარი დასცა მთელ მაშინდელ მწერალთა კრებულს, ძირამდე შეარყია დაგუბებული, ნავსმოკიდებული სალიტერატურო ჭაობი და დიდი მითქმა-მოთქმა, დიდი ალიაქოთიც გამთიწვია“. ეს წერილი მან საქართველოში

პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის პერიოდში გამოგზავნა. წერილის გამოქვეყნებიდან მალევე სამშობლოში დაბრუნდა და პირველი საზოგადოებრივი საქმიანობაც წამოიწყო — ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსა. 1870-იან წლებში ბანკის შემდგომ საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროექტს — გაზეთ „ივერიას“. „ივერიამ“, რომელიც ილიას რედაქტორობით გამოდიოდა 1902 წლამდე, ილიას შემდგომ არსებობა გააგრძელა 1906 წლამდე და ასევე 1909 წელს. ილიას მიერ დაარსებულმა გაზეთებმა „საქართველოს მოამბე“ და „ივერიამ“ სრულიად ახალი სიტყვა თქვეს ქართულ ჟურნალისტიკაში.

1907 წლის 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძე წიწამურთან მოკლეს. ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე საკამათო საგანია.

ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძე შერაცხულია წმინდანად, სახელით წმიდა ილია მართალი ხსენების დღეა 2 აგვისტო (ძველი სტილით 20 ივლისი).

სერგეი სიმონის ძე მუსხი (24.10.1845-02.08.1883) — პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1868 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ „ღრობას“. იყო „ახალი ახალგაზრდობის“ ლიტერატურული ჯგუფის წევრი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის აქტიური მონაწილე. მისი წერილები ეხებოდა კრიტიკის თეორიასა და პრაქტიკას, ფოლკლორისტიკას, თეატრს, დრამატურგიას, სალიტერატურო ენის სიწმინდეს და სხვ. თარგმნა ვიქტორ ჰიუგოს,

სერგეი მუსხი



აღფონს დოდესა და სხვათა ნაწარმოებები. დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

**ივანე
მაჩაბელი**



ივანე ბიორბის ძე მაჩაბელი (08.02. 1854-08.07.1898) — ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. მის მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს 60-70-იანი წლების რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებმა. 1873 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძეს გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა ერთად ეთარგმნათ შექსპირის ნაწარმოებები. 1873 წლის „კრებულის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების თარგმანი. 1879 წელს დაბრუნდა საქართველოში და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიჰყენებდა. 1882-1884 წლებში გაზეთ „**ივერიის**“ რედაქტორია, 1883 წელს გაზეთ „**ღრმობის**“ რედაქტორი ხდება, მაგრამ 1885 წლის სექტემბერში გაზეთი დახურა მთავრობამ მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილების სისტემატურად ბეჭდვის გამო, გაზეთის რედაქტორი კი პასუხისმგებაში მისცეს და სამუდამოდ აუკრძალეს რაიმე გამოცემის რედაქტორობა. 1897 წლის მაისში ივანე მაჩაბელი ავად გახდა ჩირქოვანი პლევრიტით. 1898 წლის 26 ივნისს ქალაქში ხმა დაიწინა ივანე მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ.

**ალექსანდრე სარაჯიშვილი (სხე-
ვლონიძე: რიშ-ბაბა)** (1851-1914) — ქართველი კრიტიკოსი, მკვლევარი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებების წევრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი ხაზინადარი, მუხეუმ-წიგნოსაცავის გამგე. თანამშრომლობდა გამოცემებში „ღრუბა“ (ათავსებდა კრიტიკულ წერილებსა და რეცენზიებს) და „მომავალს“, სადაც 1895 წელს დაიწყო მისი ნაშრომის — „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების“ გამოქვეყნება. 1901–1902 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას“, ხოლო 1903–1905 წლებში იყო ამ გაზეთის გამომცემელი. იუმორისტული ხასიათის წერილებსა და ნათარგმნ თხზულებებს აქვეყნებდა გამოცემებში „ფასკუნჯი“, „ჯეჯილი“ და „ძლღე“. ალექსანდრე სარაჯიშვილი იკვლევდა ძველ ხელნაწერებსაც. 1884 წელს ილია ჭავჭავაძესა და პეტრე უმიკაშვილთან ერთად გამოსცა „ვისრამიანი“. ი. რომენსკისთან ერთად თარგმნა ინდური ეპოსი „რამაიანი“.

**ალექსანდრე
სარაჯიშვილი**



**ბრიგოლ (ბიბა) ყიფშიძე (სხე-
ვლონიძე: ბ. ბოლორია)** (10.01.1858-13.11.1921) — ჟურნალისტი, ბიბლიოგრაფი, პრეზიდიუმი, მთარგმნელი, პედაგოგი, ქართული დასის წევრი — მოკარნახე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმის მწარმოებელი, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი და მისი ბიოგრაფი. ლიტერატურულ-კრიტი-

**ბრიგოლ
ყიფშიძე**



კულ, თეატრალურ და პუბლიცისტურ წერ-
ილებს აქვეყნებდა „ივერიაში“, „ღრმობა-
ში“, „იმეღში“, „მონამბეში“. იყო გაზეთ
„ივერიის“ რედაქტორი. მისი თხზულებების
უმთავრეს თემას წარმოადგენს ქართლის
სოფელი, გლეხობის ყოფა, სოფლის მასწავ-
ლებლის მდგომარეობა, სახალხო განათლე-
ბა. გრიგოლ ყიფშიძემ კირიონთან ერთად
შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი „ქართუ-
ლი სიტყვიერების თეორია“ (1908), რომელიც
რამდენჯერმე დაიბეჭდა. მანვე შეადგინა და
რუსულ ენაზე გამოსცა კავკასიის პერიოდული
პრესის ბიბლიოგრაფია (1901).

გრიგოლ ყიფშიძეს ნათარგმნი აქვს ჰენრიკ
სენკევიჩის, პოლ ბურჟეს, ედმონდ დე ამიხის,
ფრანსუა კოპეს, მათილდა სერანოს, დე-
ვო-გუეს, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის
ნაწარმოებები.

ფილიპე გომიჩაიშვილი



ფილიპე ბაბრიელის ძე გომიჩაიშ-
ვილი (20.01.1872-29.03.1950) — ქართველი
ეკონომისტი, პუბლიცისტი. 1892 წლიდან ეწე-
ოდა სამეცნიერო-პუბლიცისტურ მოღვაწეო-
ბას. იყო „მესამე დასის“ წევრი, „ალიო-
ნელი“, ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამაგრელებელი საზოგადოების გამგეობის
წევრი. თანამშრომლობდა ჟურნალ „მრბ-
ზაშრსა“ და ჟურნალ „ერთიან“. 1905-1906
წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ივერი-
ას“. 1900 წლიდან მუშაობდა ექიმად. სს-
გადასხვა დროს იყო: პირველი სახელმწიფო
სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნი-
იდან, მხარს უჭერდა საქართველოს ავტონო-
მიას. თბილისის საქალაქო სათათბიროს ხე-
ლმძღვანელი, კავკასიის სოფლის მეურნეობის

საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს ხელმძღვანელი, სრულად რუსეთის საერთო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში, კანკის რეინგვის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში იყო რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში კითხულობდა პოლიტიკონომიის, ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის კურსებს. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. გოგინაიშვილის მეცნიერული ნაშრომები ძირითადად საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების საკითხებს ეხება.

შურნალისტები, კორესპონდენტები (აქასრული შემადგენლობით)

ალექსანდრე თევდორუს ძე ყიფშიძე (ყსავლონიძე ფონელი) (131.01.1862, -29.06.1916) — ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. სამწერლო საქმიანობა სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო, აქვეყნებდა კორესპონდენტებს გაზეთ „დროებაში“. 1884 წელს გამოაქვეყნა პირველი მთხრობა საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“. სისტემატურად თანამშრომლობდა გამოცემებთან „ცნობის უზრცელი“, „მეგობარი“, „საქართველო“, „მომავალი“, „მერი“. 1889 წლიდან გახდა „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. იყო ჟურნალ „პლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“

ალექსანდრე
ყიფშიძე



ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგის წევრი; ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. სწავლასგა დროს მუშაობდა სახაზინო პალატაში, საგუბერნიო საქმეთა სამმართველოში, საგლესკაცო საქმეთა საკრებულოში, ახალციხეში — მომრიგებელ მოსამართლედ, ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის მოადგილედ. სტაროსელსკიცა და ყიფშიძეც ფარულად თანაუგრძნობდნენ რევოლუციურ მოძრაობას. ამიტომ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მალე გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ მოხსნა და მეტეხის ციხეში დააპატიმრა, ხოლო სტაროსელსკი პეტერბურგში გაუშვა. 1907 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სათაფადაზნაურთა საკრებულოსთან არსებული საადგილმამულო კომისიის მდივნად. საჯარო სამსახურიდან უპენსიოდ და უმუნდროდ დაითხოვეს.

ალექსანდრე ნანეიშვილი



ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი (1857-25.08.1904) — პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. აქტიურად ჩაება პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1881 წელს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ბათუმის ახალგაზსნილ საქალაქო სასწავლებელში; აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ ხალხისანთა ჟურნალ „იმეღში“, აგრეთვე გაზეთებში „იმერია“, „ღროშა“, „Новое обозрѣние“; ჟურნალში „მრამბე“ და სხვ. აქტიურად ემზაურებოდა საჭირობით პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საკითხებს. 1884 წელს სწვა ქართველ ხალხისნებთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. 1887 წელს სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო პუბლიცისტურ-ლიტერატურული

მოდერნიზაცია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი სხვადასხვა საჭირობის რთულ საკითხზე. პედაგოგიური ხასიათის წერილებში ეხებოდა მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობას, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საჭიროებას, უმაღლესი განათლების მდგომარეობას, ქალთა სწავლა-განათლების საკითხებს და სხვ.

არტემ მიხეილის ძე ხუნდაძე
(13.10.1866-28.03.1942) — მთარგმნელი, მწერ-

ალი, ჟურნალისტი, ვეჟილი, საზოგადო მოღვაწე. პირველი მოთხრობა „კაკაბაძე“ გამოაქვეყნა 1885 წელს ჟურნალ „ნობათში“. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები, ლექსები, სცენები, ფელეტონები „ორანის“, „ჩიორას“, „მანოელიძის“, „აღფას“, „დეშვიკის“, „პატრიციუსის“, „დიოგენის“, „ეკნტოსანის“, „ნიორის“, „ეკნტის“, „ფარნაოზის“ და სხვა ფსევდონიმებით. 1896-1902 წლებში თანამშრომლობდა „ივერიანში“. თარგმნა ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ლეგ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, ჯერომ ჯერომის, კილი ზოლას, ვიდე მობასანისა და სხვათა ნაწარმოებები (წყარო: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001684/>)

**არტემ
ხუნდაძე**



დავით მიქელაძე (ფსევდონიმი „მეზელე“ 1843-25.11.1918) — ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოების განვითარების ისტორიაში. 1864 წელს ი. მელიქიშვილსა და ვ. თულაშვილთან ერთად

**დავით
მიქელაძე**



ბეტერბურგში დააარსა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. წერდა სტატიებსა და ლექსებს. 1867 წელს იგ. კერესელიძის „ცისპარში“ ბეჭდავს გონებამახვილურ სატირულ ლექსებს, მონაწილეობდა „მამებისა და შვილების“ ბრძოლაში, იცავდა ახალი თაობის შესწავლას. 1870-1873-იან წლებში პარიზიდან კორესპონდენტობას უგზავნიდა „ღრმებას“. უცხოეთში მყოფი მოწმე და ერთგვარი მონაწილეც გახდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებისა, რომელთა ცენტრში იყო პარიზის კომუნა და მისი გამოძახილი. 1886 წლიდან თანამშრომლობდა „ივერიასში“. 1899 წელს აკაკის „ბრძოლის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა მისი ოთხმოქმედებიანი დრამა „ხაფანგი“. 1900 წლიდან მუშაობდა შაგი ქვის მრეწველთა საბჭოში. 1908 წელს თარგმნა და წიგნად გამოსცა ლევ ტოლსტოის დრამა „მეუფება წყვილია“, რომელიც შემდეგ ქართულ სცენაზე დაიდგა. 1910-1916 წწ. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი იყო (წყარო: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005682/>)

**„ივერიასთან“
თანამშრომლობდნენ
(აზახურული სია)**

**იაკობ
გომეზაშვილი**

იაკობ სიმონის ძე გომეზაშვილი (21.10.1840-14.06.1912) — მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. მისმა პროგრესულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინთეზა და მეფის ხელისუფალთა უკმაყოფილება

გამოიწვია და 1874 წელს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მოხსნეს თანამდებობიდან — სასულიერო სასწავლებლის ინსპექტობიდან. ამის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა. დაუღალავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. თანამშრომლობდა პეროდულ გამოცემებთან. იაკობ გოგებაშვილის პირადი არქივი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



მკატერიცა რევაზის ასული თარხნიშვილი-ბაბაშვილი (16.06.1851-07.08.1938)

— პედაგოგი, მწერალი, ფემინისტი, საზოგადო მოღვაწე. მისი დიდი შეცდინებითა და გონის საზოგადოების თანადგომით ქალაქში ქალთა სამრევლო სკოლა დაარსდა. ეწეოდა თვითგანათლებას — სწავლობდა სოციოლოგიას, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. ამ დროს შედგა მისი ჟურნალისტური დებიუტიც. 1870 წელს გაზეთ „ღრმობაში“ დაბეჭდილ მის წერილს დადებითი შეფასება მისცა პეტრე უმიკაშვილმა. 1871 წელს დაქორწინდა ალექსანდრე გაბაშვილზე. აქტიურად თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისა“. ხშირად აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს ქალთა საკითხების, განსაკუთრებით კი — განათლების შესახებ, აქტიურ მონაწილეობას იღებ-

ეკატერინე ბაბაშვილი



და საყმაწვილო ჟურნალების — „ნობათის“, „ჯეჟილისა“ და „ნაბადულის“ დაარსებაში. პოპულარიზაციას უწევდა ქართულ თეატრს, იღვწოდა სახალხო ბიბლიოთეკების დასაარსებლად.

აკაკი ნაჩათელი



აკაკი წერეთელი (21.06.1840-08.02.1915) — პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. გამოსცემდა ყოველთვიურ ჟურნალს „აბაჰის თვიური კრეშული“ (1897-1900). რედაქტორობდა სატირულ-უმორისტულ ჟურნალს „ხუშარა“, რომლის ანტიცარისტული და ეროვნული მიმართულების გამო დაბატონებულიც კი იყო (1907). ილია ჭავჭავაძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

ალექსანდრე ყაზბეგი



ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი (ფსევდონიმები: „მოხუბარიძე“, „აკაკია მოხუბარიძე“, თეატრალური — „მონეკე“) (20.01.1848-22.12.1893) — ქართველი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი, მსახიობი, ქართული კრიტიკული რეალიზმის მიმდევარი და ქართველი „სამოციანელების“ ტრადიციით გამგრძელებელი. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. მწყემსობის შემდეგ თბილისში ხან სასტუმროში იყო, ხან რომელიმე ორგანიზაციაში სამადლოდ გამოყოფილ ოთახში ცხოვრობდა. იმ დროს თეატრის დასს აკაკი წერეთელი ხელმძღვანელობდა. მან გამოიტყუა სასტუმროს ნომერში გამოკეტილი

ყაზბეგი და თეატრის სცენაზე აიყვანა. ერთი პერიოდი განახლებული ქართული თეატრის მსახიობი და დრამატურგი იყო, შემდეგ აკაკიმ „**ღრომბაში**“ გადაიყვანა, ბინაც რედაქციის შენობაში მიუჩინეს. ამის შესახებ მწერალს ერთი პუბლიცისტური ბარათი აქვს, სადაც ჩივის: „საკვირველს ბედზედ ვარ გაჩენილი“. დიდ ფუფუნებაში გაზრდილს ხელში არაფერი შერჩა. ნაწერებსაც კი უწუნებდნენ; „ქართული დასისთვის“ წარდგენილი 21 პიესა გაუცამტკერეს მაშინ, როდესაც პარალელურად, რამდენიმე მათგანი ტრიუმფით იდგმებოდა სცენაზე. ბოლოს კი საკუთარი თხზულებების მოპარვაშიც კი დასდეს ბრალი. სიცოცხლის ბოლო წლებში მძიმედ ავადმყოფობდა. პროგრესული დამბლით დაავადებული 42 წლის ყაზბეგი თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს და იქვე გარდაიცვალა.

ნიკოლოზ (ნიკო) იოსების ძე ლომოური (19.02.1852-30.04.1915) — მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. ლომოურის შემოქმედება ქართველ „სამოციანელთა“, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძისა და რუს რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეურ-მხატვრული ნააზრევის ზეგავლენით განვითარდა. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ხასიათის მოთხრობები, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ლექსები და სხვ. თანამშრომლობდა სწავლასწავა ჟურნალ-გაზეთთან: მათ შორის ჟურნალებთან „**მნათობი**“ და „**ივერია**“. ლომოურის ფსევდონიმები იყო: „**ლეკან ცაგული**“, „**არბოელი**“, „**გორელი**“ და სხვ.

**ნიკო
ლომური**



ვაჟა-ფშაველა



ვაჟა-ფშაველა (ნამდვილი სახელი და გვარი ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი — 14.07.1861/2-27.06.1915) ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი და მწერალი. თანამშრომლობდა პეროდულ გამოცემებთან. გაუქმდა პირველი კორესპონდენცია 1879 წელს დაიბეჭდა „**ღრობაში**“, პირველი თარგმანი — 1880 წელს „**ივმრიაში**“, პირველი ლექსი — 1881 წელს „**იმედში**“, პირველი მითხრობა — 1881 წელს „**ღრობაში**“. მისი შემოქმედება XIX საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის უმაღლესი საფეხურია. პოეტის მხატვრული მსოფლგაგების ქვაკუთხედი ხალხურობა და რეალიზმი; ქართველ პოეტთა შორის ყველაზე დრამად ჩასწვდა ბუნების საიდუმლოებს. მის პოეზიაში სრულყოფილად განხორციელდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანდასახულება — ეროვნული ეპოპეის შექმნის ამოცანა.

ილია ბახტაძე



ილია ლუპას ძე ბახტაძე (ფსევდონიმი ხონელი) (26.05.1859-13.07.1900). — მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. მისი პირველი წერილი გამოქვეყნდა 1876 წელს. პეტერბურგში ყოფნისას თანამშრომლობდა რუსულ პრესაში „**Порядок**“, „**Страна**“. 1881 წელს „**ღრობაში**“ დაიბეჭდა ბახტაძის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილი „ვიცინთო თუ ვიტიროთ?“ ავტორი დასცინოდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის კურთხევაზე წარგზავნილ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დელეგაციას, რომელმაც მოითხოვა, მოკლეული იმპერატორის ალექსანდრე II-ის სამახსოვრო ვენჯელის ტარება. სხვადასხვა დროს თანამშ-

რომლოდღა ჟურნალ-გაზეთებში „Кавказ“ „დროება“ „ივერია“ „Новое обозрѣние“, „პეალი“, „მოამბე“, სატირულ-იუმორისტული ფელეტონების სერიაში „საპვირაო სხარტულა“, „სახელდახელო“, „კვირის საუბარი“, „კვირის სურათები“ ამხელდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს. თარგმნა მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. ბუვიეს, ე. ზოლას, ა. დოდესა და სხვების თხზულებანი.



სოფრომ ზაქარიას ძე მბალობლიშვილი (20.07.1851-30.11.1925) — ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა რუსული და ქართული ენების მასწავლებლად. გორში ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-რეგულაციურ მოღვაწეობას. გორის რაიონის დაბა-სოფლებში მართავდა წარმოდგენებს. აგრცელებდა აკრძალულ ლიტერატურას. ორჯერ დააპატიმრეს. ერთხანს ფოთში მუშაობდა საეპარქიო სამმართველოში. 1897-1910 წლებში თბილისში სინოდის კანტორაში მსახურობს. 1910 წლიდან მთლიანად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში. სისტემატურად აქვეყნებდა საინტერესო მოთხრობებსა და მწვავე პუბლიცისტურ წერილებს. თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, „დროებასა“ და „მნათობში“. ბეჭდავდა როგორც ორიგინალურ ნაწარმოებებს, ისე თარგმანებსაც.



სოფრომ მბალობლიშვილი



**სტაფანე
ჭრელაშვილი**



სტაფანე თევზლორძეს ძე ჭრელაშვილი (ფსევდონიმები: „სანო“ და „ტატალა“) (27.12.1857-3.01.1917) — პუბლიცისტი. აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციონერ-ხალხოსანი წრეების მუშაობაში. აღნიშნულის გამო მას 1878 წელს სამი თვით პატიმრობა და მუდმივი ზედამხედველობა მიუსაჯეს. ამავე მიზეზით ორჯერ იყო გაცმბირებულიც. 1887 წლიდან პუბლიცისტობას მიჰყო ხელი. საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა. თანამშრომლობდა „**იზმერიაში**“, „**Новое обозрѣніе**“-სა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოში აგენტად, მდიანად (1894-1907). 1902 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ქალაქის სათათბიროს ხმოსანი. წილად ხვდა, ყოფილიყო თბილისის ფუნიკულიორის პირველი დირექტორი.



„კვალი“



გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში
ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად
7 მანათით, ხოლო გაგზავნით 8 მანათ. ნახ-
ევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ.,
გაგზავნით 4 მანათ. სამის თვით გაუგზავნე-
ლად 2 მანათ., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო
ნომერი სამშაურად. ხელის მომწერლებს
წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად
გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში — არ-
წრუნისეულ ქარფასლაში: „ქართულ სახალხო
სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და
„ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д.
Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუ-
ძლიანთ მიმართონ ქუთაისში: ვარლამ ჭილა-
ძის, ვ. ბეჟანეიშვილის და ხეთურელის წიგნის
მადაზიებში და ბ-ნ ლადიქსთან ზელტერის
წყლის ქარხანაში. — ბათომში: მათე ნიკოლა-
ძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში. — გან-
ჯაში: ალ. მიქაბერიძეს. — ფოთში: მისიელ
თურქიას და ი. კონრეიძეს. — მინაილოვაში
(ნაშურში): იოსებ ფანცულაიას. — თიანეთში:
ივ. ჩიბაღიაშვილს. — გორში: არსენ კალანდ-
აძეს. — ყვრილაში: არაბიძის წიგნის მადაზ-
იას. — საჩხერეში: ყარაბაზ ჩხეიძეს.

რედაქციისგან

ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ახალ
წლისათვის, ხელის მოწერის წინათ, ჰპირ-

დებიან გამოცემის გაუმჯობესებას გარეგნივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი აღსრულება სწავლასწავ მიზნებისა გამო. ჩვენ ვაუწყებთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას, მართალია, წრეულს დაუგვიანდება პრემიის დარიგება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას იხმარს პირნათლად გამოვიდეს ხელის-მომწერლები წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პროგრამის გაფართოებაზე უკვე დართულია ნება და ამით გაზეთის უფლება და საშუალება მიეცა სრული, ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მსგავსად, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარგარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საქარ-ბოროტო ვარაძმუნედაც.

წელსაც ყველა თანამშრომელმა აღგვითქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება გარეგნივ გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქცევს ყურადებას: ჩვენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ღონღონიდან, ბეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გვაქვს შტუტგარდიდან, ხოლო ტფილისში შეუძლებელია ხეირიანი ნახატების დაბეჭდვა, რადგან ჩვენი ცხოვრების მცოდნე მხატვრები თითქმის არა გვყავს და ლიტოგრაფიასაც ხშირად უფუქდება სურათები.

თარღით და ჭამას შემდეგაც მოესწრებო. რა თქმა უნდა, ისინიც იმასვე გვიბასუხებდნენ: ჩვენ ჯერ პური გვშიან! ჯანდაბას თქვენცა და თქვენი ესტეტიკაცაო“.

მაგრამ დღეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეცდომების გასასწორებლად ინტელიგენციის მეორე ნაწილი გამოდის სამოქმედო ასპარეზზე და მოუწადინებია უმცროსი მოძიებების კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. თქვენ მოგვხსენებთ განჯის ქართველებზე და იმ მოსალოდნელ ამხანაგობაზე, რომლის დაარსებაც პატივცემულ ი. პ. როსტომაშვილს მოუნდომებია. კეთილშობილურია ეს სურვილი. მაგრამ მოგვხსენებთ, რომ მართო სურვილით, რაც უნდა კეთილშობილური იყოს იგი, დიდ მანძილს ვერაფერს გაივლის. სურვილთან საქმის უკეთესად დაყენებაც არის საჭირო. როგორც ბ. ა. ყუმისთაველის წერილიდან ვტყობილობთ, განჯის ქართველობის პატარა წრეს განუზრახავს „დრო-გამოშვებით მიაწოდოს“ ქართველ საზოგადოებას თავისი გამოცემები. მაშასადამე, ამას ჩვენ ამხანაგობას ვერ ვუწოდებთ იმ აზრით, როგორც ჩვენში უკვე არსებობენ ამხანაგობები. ამ პატარა წრის მოქმედება მხოლოდ შემთხვევითია. ბ. ივანე როსტომაშვილის მიერ ნაკისრი მომავალი ამხანაგობის მოქმედების პროგრამა კი, რამდენადაც ვიცით, არაფრით, ან ძლიერ ცოტათი განირჩევა უკვე არსებული ამხანაგობებიდან. ერთად-ერთი თვალ-საჩინო განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საწევრო ფული ნუთი მანათია. მართალია, ყოველი კომერციული დაწესებულებისათვის სიძაფე საუკეთესო იარაღია სწვა მისივე გვარ დაწესებულების დასამარცხებლად; მაგრამ ამ შემთხვევაში

№53/3

11 დეკემბერი

ჩვენ მხოლოდ წევრების რიცხვით გადავამეტებთ არსებულ ამხანაგობებს. ამხანაგობის სული კი იფიქრებს...

შეიძლება ვინმემ მიბრძანოს: მომავალი ამხანაგობის ძირითადი განსწავლება ის იქნება, რომ ჩვენ კარგ მიმართულებას მივცემთ ჩვენს ამხანაგობას; უფრო ენერგულ პირებს ჩავაყენებთ საქმეში. მაგრამ ეს ხო მტკნარი შეცდომა იქნება! ასეთ პირობებს ხო სწვთ ამხანაგობებიც იძლეოდნენ? ეს ხო იმას ემზავსება, ერთი რუსი მწერალი რომ დაცინვით ამბობს: „ЗАКОНЫ СВЯТЫ; ИСПОЛНИТЕЛИ ЛИХИЕ СУПОСТАТЫ“-ო. ნუ-თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი გამომცემელ ამხანაგობების მეთაურებს საქმის სიყვარული და ენერჯია აკლიათ? ეს ხო ცილის წამება იქნება? საქმე ის არის, რომ თვით მეხანიზმი, თვით ამ საქმის საძირკველი არ ვარგა. თვითონ ეს ამხანაგობის მეხანიზმი რუტინით სავსე... თუ ამის მეტი არაფერი დაედო საძირკვლად მომავალ ამხანაგობას, თუ იმანაც უკვე არსებულ ამხანაგობათა ძველ ყალიბზე ჩამოასხა თავისი მოქმედების პროგრამა, ბოლოს ისიც ძალა-უნებურად უნდა დაადგეს უკვე არსებულ ამხანაგობათა ცნობილ გზას და ჩვენ, გონების თვალთა წარმოდგენილ სასარგებლო დაწესებულების ნაცვლად, მხოლოდ ერთ საკომერციო კანტორას შევსძღვნიოთ ქართულ საზოგადოებას და ისიც ისეთ კანტორას, რომელსაც საქონელი ათასობით ექნება და მყიდველი-კი ათობითაც არა...

ჩვენის აზრით, ამ შეცდომების თვითონ ასაცვლებლად მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება-და დაგვრჩენია: თვით მკითხველ საზოგადოებასა და ინტელექტუალური შუა დამყარდეს სულიერი კავშირი; გაიბას შემართებული მავთული. ამისათვის ერთად-ერთი გზა ის

არის, რომ თვით მკითხველ საზოგადოებისაგან შევადგინოთ წიგნების გამომცემელი საზოგადოება, დაგაარსოთ „მკითხველთა ასოციაცია“. ავიღოთ მაგალითი: ვსთქვათ, რომ დიდად პატივცემულ ი. როსტომაშვილს 400 ხელის მომწერი ჰყავს; თვითიული მათგანი ოთხ-ოთხ მანათს იხდის და 18 წიგნს იღებს გამომცემლისგან (ჩვენ აქ ბ. როსტომაშვილი იმიტომ ავიღეთ მაგალითად, რომ ხელის მოწერით წიგნების გამოცემა იმან შემოიღო ჩვენში.).

აქ, როგორც მკითხველი ხედავს, უბრალო ვაჭრობაა: ერთი მხარე ჰყიდის საქონელს, ხოლო მეორე ჰყიდულობს. რა-კი ეს ყიდვა-გაყიდვა გათავდა, ამ ორ მხარე შორის არაფერი ქონებრივი და ზნეობრივი კავშირი არ არსებობს. მყიდველს არაფერი საქმე არა აქვს გამომცემლის მოგება-წაგებასთან. არც იმას დაუდევს იგი, თუ როგორ მიჰყავს საქმე გამომცემელს. მყიდველი არ არის ამ შემთხვევაში დაინტერესებული პირი... მკითხველ ასოციაციის საქმე კი შემდეგ ნაირათ უნდა მოეწყოს: მომაგალიტა ამხანაგობამ, თუ კერძო ხელის მომწერმა, ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ ყოველი წლიური ხელის მომწერი, რომელიც გადაწყვეტილ ფულს შემოიტანს, ამხანაგადაც ითვლებოდეს, ესე იგი დიდი ხნის მონაწილეც იყოს და ამხანაგობის გამომცემბიც ეგზავნებოდეს; ხოლო ამხანაგობამ თავიდანვე უნდა მიზნად დაიდოს ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა.

აქ მეტი უნდა იყოს იმაზე ლაპარაკი, თუ რა მაღალ-ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება მკითხველ საზოგადოებისთვის ამგვარ ამხანაგობას. ეს ყოველთათვის ცნადია. ვიტყვი მხოლოდ, რომ იქ ხელის მომწერ ამხანაგს ეცოდინება, რომ ის წიგნების გამომცემიდან მო-

გებული ფული, რომელიც ამდენ ხანს მისთვის უსარგებლოდ, კერძო გამომცემლის ან ამხანაგობის ჯიბეში მიდიოდა, დღეს თვითონ მას, გამომცემელ ამხანაგს ეკუთვნის. მაშინ ყველა თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს ამგვარ ამხანაგობას... უკვე არსებულ ამხანაგობებს კიდევ იმით ეძუობინება ამგვარი ამხანაგობა, რომ აქ ყოველი წევრი იღებს ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ჩვენ აქ მხოლოდ სქემას ვიძლევი „კითხველ ასოციაციის“ პროექტისა. თუ ვინმე მოსურვებს ამის განხორციელებას, მაშინ კი ვეცდებით დაწვრილებით შემუშავებული პროექტი მივაწოდოთ...

დასასრულ, არ გავჯიუტდებით და არ დავიწყებთ მტკიცებას, რომ ეს პროექტი ერთადერთი გზაა მიზნის მისაღწევად-თქო. იქნება სხვამ უკეთესი საშუალება მონახოს ზემო ნაჩვენებ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ, თუ მომავალი ამხანაგობა ისევ ძველი ამხანაგობის გზას დაადგა — მაშინ ჩვენც მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ გულ-დაწყვეტილად არ მოვიხსენოთ ის: მაგ გზით წასული ბევრი მინახავს და უკან დაბრუნებული კი არც ერთი თქო.

პ. პავლიძე.

P.S პ. პავლიძე ფსევდონიმია ჟურნალისტ პეტრე ბელიშვილისა

**პატრიკ
ბელიუშვილი**



პატრიკ პავლუს ძე ბელიუშვილი

(05.07.1870-18.03.1937) — პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, რსდმპ-ს, რსდმპ — „მენშევიკების“ ფრაქციის, საქ. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. ეკავა სწავლადანსა თანამდებობა: სოციალ-დემოკრატიული პარტიის არჩევარეისი, ბაქოს ქალაქის სამმართველოს მდივანი, საქ. ერთგული საბჭოს წევრი, საქ. პარლამენტის დეპუტატი, საქ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი, საქ. დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საქ. რესპუბლიკის სამეცნიერო არჩევთა დეპარტამენტის გამგე, საქ. „მუშათა კომისიის“ წევრი, მუშაობდა სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკაში, ბაქოს მუშათა საკვირაო სკოლაში; საქართველოს სსრ რევოლუციის მუზეუმში, ნიკო მარის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტში.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს.

1899-1900 წლებში პეტერბურგში მუშაობდა ჟურნალისტად: ჟურნალ „**Журнал журналов**“-ის მდივანად, ლეგალურ მარქსისტულ გამოცემებში „**Новое слово**“, „**Начало**“, „**Жизнь**“ და „**Северный курьер**“ (კავკასიის განყოფილების გამგედ). ბაქოს გაზეთებში „**Бакинские известия**“-სა და „**Баку**“-ში (1903). ტფილისში 1905 წლიდან მუშაობდა გაზეთ „**Возрождение**“-ს რედაქციაში, ასევე „**Кавказский рабочий листок**“-ში. იყო სოციალ-დემოკრატიული გამოცემების სარედაქციო კოლეგიების წევრი. 1905 წლიდან რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რუსულ გამოცემებს: „**Вольна**“, „**Жизнь**“,

„Наша жизнь“, „Молот“, „Трибуна“, „Край“, „Наш край“, „Понедельник“. თანამშრომლობდა ქართულ გამოცემებთან: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ახალგაზრდა“. აქვეყნებდა კრიტიკულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. იყენებდა ფსევდონიმებს: „ყარიბი“, „ლატინოსუს“, „ირონარი“, „პეტრე ყარიბი“, „პეტრიძე პეტრე პავლეს ძე“, „პეტრე პავლიძე“, „პეტრე-პავლიძე“, „პავლე — პეტრეს ძე“, „პ. პეტრიძე“, „პავლიძე“, „პ. პავლიძე“, „პ.გ.“, „გე-ლი“ და „გელი“.

1937 წელს დააპატიმრეს არალეგალური „მენშევიკური“ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. წაყენებულ ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნო. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე. წ. „ტროიკამ“) დახვრეტა მიუსაჯა 1938 წლის 17 მარტს. დახვრიტეს 18 მარტს, ღამით. (წყარო: <http://archive.ge/ka/biography/118/audios>; <http://archive.ge/ka/biography/118/>)



ქუნალისტები

ქართველ საზოგადოებისაგან ცნობილს ვი-
თრგი საძაგლიშვილს (მწერლობაში „ივერიე-
ლი“) ბერათ აღკვეცა განუზრანავს და მალე
აკურთხებენ კიდეც. თვითონ ჯერ ახალგაზრ-
და კაცია. სწავლა რუსეთის აკადემიაში აქვს
დამთავრებული.

ბიორგი ივრონიმუს ძე საბაბლიშვი-
ლი (მწერლობაში „ივერიელი“) — მეცნიერი,
სასულიერო პირი, ისტორიკოსი, საზოგადო
და სასულიერო მოღვაწე. წმინდანი, დაიბა-
და 1855 წლის 10 ნოემბერს ქვემო ნიქოზში,
გორის მაზრაში. აქტიურად თანამშრომლობ-
და ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებ-
ში. იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზო-
გადოების წევრი. 1896 წელს ეპიდემიამ
იმსხვერპლა მისი ცოლ-შვილი. მან მიიღო
გადაწყვეტილება, ბერად აღკვეცილიყო. იმავე
წელს აღიკვეცა ბერად კირიონის სახელით
და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობა ჩაი-
ბარა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
ადგენის შემდეგ 1917 წლის 17 სექტემბერს
არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს პირ-
ველ კათოლიკოს-პატრიარქად. 1918 წლის
27 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრული-
ად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
კირიონ II მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხ-
ლეს გამოასალმა მარტყოფის საპატრიარქო
რეზიდენციაში. დაკრძალეს 7 ივლისს სიონის
საპატრიარქო ტაძარში. 2002 წელს საქართ-
ველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა
სინოდმა კათოლიკოს-პატრიარქი წმინდანად
შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 9
ივლისი (ძვ. სტ. 26 ივნისი).

**ბიორგი
საბაბლიშვილი**



N46/2;

4 დეკემბერი

ზოილის მოქცევა

გაზეთ „ტფილისის ფურცელში“ დაბეჭდილია წერილი ზოილისა, რომელიც სწავთა შორის სწერს: მკითხველებმა იციან, რომ მე კალაში მეღორის კომბალზე გავცვალე და ჟურნალისტობის მაგივრად მეღორეთობა დავიწყე. მაგრამ, რაკი ამ საქმეში ხიფათი შემეძინვა, ესღა მეღორეთობას თავს ვანებებ, ისევე ლიტერატურას ვკიდებ ხელსა და „ტფილისის ლისტოკში“ ინტერესნი სტატიების წერა ხელ-ახლავ უნდა დავიწყოვო. სწორედ ასეა დაბეჭდილი.

იმედია, ზოილი კიდევ რასმეს დასწერს თავის ღორებზე და ამასაც ჩვენ უეჭველად ვაუწყებთ მკითხველებს.

ზოილი —
დავით ქაჯალი



ზოილი — დავით ივანეს ძე კაჯალი (25.07.1854-1907) — მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1870-იანი წლების I ნახევარში ხელმძღვანელობდა თბილისის სემინარიის მოსწავლეთა ფარულ წრეს. აღმოაჩნდა ხელისუფლების საწინააღმდეგო შინაარსის წერილი და პრეტორიაში „საქართველოს ახალ თაობას“. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წევრი. დააპატიმრეს 1873 წლის დეკემბერში. მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ არასრულწლოვანების გამო 8 თვის პატიმრობა მიესაჯა. 70-90-იან წლებში და XX საუკუნის დამდეგს ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. თანამშრომლობდა ქართულ („**ფრეზა**“, „**ივერია**“, „**თეატრი**“ და სხვ.) და კავკასიის რუსულ („**Новое обозрѣніе**“, „**Тифлисский листок**“ და სხვ.) პრესაში (ფსევდონიმები: „**ზოილი**“,

„დავით სოსლანი“, „არაგველი“). დავით კე-
სელი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია რუ-
სულ ენაზე ვაჟა-ფშაველას თხზულებებისა.
მისი არაერთი პიესა („სცენები მინოვოი სუ-
დასთან“ ორცოლიანი, ანუ ახალი დროის
გმირი“ და სხვ.) წლების განმავლობაში იდგ-
მებოდა ქართულ სცენაზე. კესელმა სახალხო
გმირის, არსენა ოძელაშვილის სახელის უკუ-
დავსაყრფად მის საფლავზე ქვა დადო. (წყარო:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97_%E1%83%99%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98)



№55/3
15 დეკემბერი.

ქართული გამოცემა წიგნისა: „კრწანისის
ბრძოლის 100-წლის თავის გამო“

ამ სათაურით დაიბეჭდა წიგნაკი ვახუთ
„კავკაზის“ თანამშრომლის ილ. ხონელისა.
წიგნაკში მოთავსებულია ილ. ხონელის ფელე-
ტონები, რომლებიც იბეჭდებოდა შარშან ხსენ-
ებულ ვახუთში და რომლებშიაც მოთხრობი-
ლია სამწუხარო ამბავი ალა-მაჰმად-ხანის მიერ
ტფილისის აოხრებისა. ერთმა ცნობილმა საბა-
ტით კაცმა მიჰმართა ილ. ხონელს და სთხოვა:
წიგნი ქართულ ენაზედ გადმოსთარგმნეთ და
მე ჩემის ხარჯით დავბეჭდავ 10 000 ცალად
ხალხში მუქთად დასარიგებლადო. რამდენად-
აც გვახსოვს, ეს პირველი მაგალითია კავკა-
ზიაში, რომ ასეთი ბედი სწვეოდეს ჩვენებურ
ავტორის ნაწარმოებს („კავკაზი“).



ბახტაძე ილია (ფსევდონიმი ხონელი)
(26.05.1859-13.07.1900), მთარგმნელი, პუბლი-
ცისტი, ჟურნალისტი. (იხ. გვ. 149)

ილია
ბახტაძე



№21/ 2,
9 ნოემბერი.

*** **



**ქორნელი
ბოროზდინი**

ცნობილი ბოროზდინი ამ თვის პირველს გარდაიცვალა პეტერბურგს. ბოროზდინი საქართველოში ჩამოვიდა ვორონცევის დროს და მაშინვე დაინიშნული იყო სამეგრელოს მთავარის ნიკოლოზ მინგრელისკის გამზრდელად. საქართველოში ბოროზდინმა დაჰყვა თითხმეტი წელიწადი, მერე ისევ რუსეთში გადავიდა და იქ დაიწყო წერა და ბეჭდვა საქართველოზე სხვა-და-სხვა ჟურნალებში. სხვათა შორის მისი წერილები იბეჭდებოდა ყველა სატანტო რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. საქართველოზე დაწერილი აქვს მთელი წიგნი: „მოგონებანი ამიერ კავკასიაზე“.

ბოროზდინი ქორნელი (1828-1896 წწ)
— დატოვა მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის შესახებ.



№49/2
7 დეკემბერი.

გ. ვ. ველიკო რედაქტორი და გამომცემელი გაზეთ „კავკასია“ დანიშნულ იქნა რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს აგენტად კავკასიაში.



№57/3
15 დეკემბერი.

გ. ვ. ველიკო, ახალი რედაქტორი და გამომცემელი გაზეთ „კავკასია“, გუშინ-წინ, 13 დეკემბერს, მოვიდა ტფილისში პეტერბურგიდან.

P.S. გ. ვ. ველიკოზე ინფორმაცია იხ. გვ. (იხ. გვ. 178),



მკითხველებს ესმოდათ, რომ ამ ექვსიოდე წლის წინად, როცა გაჩნდა „ნოვოე თობზრენი“ ნ. ი. ნიკოლაძის (იხ. გვ.: 231) რედაქტორობით გამოდიოდა, თფიციალურ რედაქტორად ბ-ნი უსპენსკი იყო. იმ ხანებში თბილისში თავი მოიკლა საზღვარ-გარეთელ ვაჭარმა მანამ, ვგარ-ტომობით სომეხმა. ამ ამბავმა მანამ დღიერ ადელევა ტფილისის საზოგადოება და სხვათა შორის გაჩნდა „ნოვოე თობზრენი“ ბევრი მწარე და ბასრი წერილები დასწერა მანის სიკვდილზე და საზოგადოდ ბევრი მოხვდა მიზანში ამოდებულს ვექილს პლუშჩევსკის, რადგან, როგორც დამტკიცდა, პლუშჩევსკის ისე გაეხლართა მანის საქმეები, რომ ამ უკანასკნელმა არჩია თავის მოკვლა. ეს საქმე დიდხანს აინტერესებდა ყველას და თუ მკითხველებს ახსოვს ერთხანად ბ-ნი პლუშჩევსკი კლუბიდგანაც-კი გარიცხეს. სწორედ ეს დიდი ხნის საქმე გაიჩნა გუშინ სასამართლო პალატაში. ბ-ნი პლუშჩევსკი უჩიოდა „ნოვოე თობზრენის“ თფიციალურ რედაქტორს მ. უსპენსკის იმაზე, რომ გაჩნდაში ცილი შემწამაო. სასამართლოს თავმჯდომარედ იყო ლ. ლ. ფატეევი; წევრებად: ნ. მ. მალინოვსკი და ნ. ვ. სტრუვე; მდივნად ა. ა. მაქსიმოვიჩი. ამტყუნებდა თფითონ მომჩივარი ვექილი პლუშჩევსკის, ბრალდებული თფითონ იცავდა თავს. პროტოკოლისა და საქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა ორსავე მხარეს შერიგებულიყვნენ. ამაზედ პლუშჩევსკიმ სთქვა: თუ ბ-ნი უსპენსკი აღიარებს, რომ რაც იმ ხანებში გაჩ. „ნოვოე თობზრენი“ დაიწერა, შეცდომით მოუვიდა ანუ განგებ დასწერა და მანამ შეგუროდებით. ხოლო მ. უსპენსკიმ ამ გვარ პირობებით შერიგებაზე სრული უარი

განაცხადა და სთქვა, რომ რაც იმ ხანებში ბ-ნ პლუშჩეკსკიყედ დაწერილი იყო, არც მოგონილია და არც განზრახ არის დაწერილი, გაზეთში სრულს ჭკუშმარიტებას ვწერდით და რაც მაშინ გვითქვამს, იმას დღესაც განვიმეორებთ: მე კიდევ ვიტყვი, რომ პლუშჩეკსკი რომ ისრე არ მოქცეოდა განსვენებულ მანის, იგი თავს არ მოიკლავდა და უპატრონოდ არ დასტოვებდა თავის ცოლ-შვილსო და სხვა და სხვა... მოსამართლენი მოდაგეთა ბაასის შექმდეგ გავიდნენ განჩინების დასადგენად. ორი საათის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი: ბ-ნი მ. უსპენსკი იცნოს სამართალმა დამნაშავედ და გადაუწყვიტეს 13 დღით სამხედრო გაუბტვანტში დაბატონება და ჯარიმად გადახდა 166 მ. და 60 კაპიკისა.



N42/3,
30 ნოემბერი

*** *** ***

გუშინ, 29 ნოემბერს, საოლქო სასამართლოში გაარჩიეს საქმე „ნოვ. ობზრ.“ რედაქტორის თავ. გ. მ. თუმანიშვილისა, (იხ. გვ.: 231) რომელსაც უჩიოდა კბილის ექიმი ქალი ტარასოვისა ცილის წამებაში. საქმიდამ აშკარად დამტკიცდა, რომ „ნოვ. ობზრ.“ რედაქტორი არაფერში ყოფილა დამნაშავე, პირიქით, თვითონ კბილის ექიმ ქალს ტარასოვისას, თურმე ძრიელ ნდომებია ბათომის კბილის ექიმების გაძეგება და „დონოსიც“ მიუცია სადაც ჯერ არს, ესე იგი დაუბეზლებია. თავ. თუმანიშვილი სასამართლომ, რა თქმა უნდა, გაამართლა.

ამავე დღეს ირჩეოდა იქვე „ტფ. ლისტ.“ რედაქტორის ე. ი. ნეჩატუროვის საქმე. ამას ცილის წამებას უჩიოდნენ ბ-ნი ტიფჩუკი, რად დასწერა გაზეთში, რომ მე პოლიციამ შემიბყ-

როგო, როცა მხოლოდ სახლი გამომხრიკეს და არ დაგუჭერივარო. ამაზედ ხეჩატუროვმა სასამართლოს წარუდგინა პოლიციის ოქმი და იქიდან სჩანდა, რომ ტიფჩუკი თუძცა დაჭერილი არ იყო, მაგრამ პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფილა. მეორე მომჩივარი იყო ტანისამოსის მკერვალი ნუდელი, რომელსაც თურმე ერთი მოხელესათვის ტანისამოსი სხვა-და-სხვა ნაჭრებიდან შეუკერაგეს, ხოლო ხეჩატუროვის ეს ამბავი გაჩეთში გამოუქვეყნებია. ამის საქმეზედაც ხეჩატუროვმა სასამართლოს წარუდგინა მომრიგებელ-მოსამართლის განჩინება, საიდანაც სჩანს, რომ მართლა ნუდელს სხვა-და-სხვა ნაჭრებისგან შეუკერია ტანისამოსი და მოსამართლეს მიუსაჯავს ნუდელისათვის ფულის უკან დაბრუნება მოხელესათვის.



თავ. მეშჩენსკის და პოლოვცოვთა საქმე.

41/3
29 ნოემბერი.

„გრაჟდანიის“ რედაქტორ თავ. მეშჩენსკის თხოვნა შეუტანია სასამართლოში: ნუ დასჯით ძმებს პოლოვცოვებსო. საქმე ის არის, რომ წელს გაჩაფხულზე ძმებმა პოლოვცოვებმა რაღაც წერილისათვის „გრაჟდანიის“ რედაქტორი თავ. მეშჩენსკი შეურაცხვეს და რედაქციაშივე სცემეს, რისთვისაც სასამართლომ პოლოვცოვებს სასაჯელად ციხეში დაბარებობა გადაუწყვიტა.



**ვლადიმერ
ბეზუჩარსკი**

ვლადიმერ პეტროს ძე ბეზუჩარსკი
(ფსევდონიმები: „К. В. М.“, „Женщины из петербургского большого света“, „Один из наших Бисмарков“, „Лорд Апостол в петербургском большом свете“, „Хочу быть русской“, „Тайны современного Петербурга“, „Ужасная женщина“, „Реалисты большого света“, „Князь Нони“, „Граф Обезьянинов“, „Ужасная ночь“. (14.01.1839-10.07.1914)

— რუსი მწერალი, უკიდურესად მემარჯვენე პუბლიცისტი, ჟურნალის გამომცემელი-რედაქტორი, სახელმწიფო მრჩეველი. ცნობილი იყო, როგორც გავლენიანი კონსერვატიული პუბლიცისტი და მთაწარმის კონსულტანტი (ალექსანდრე III-ის, შემდეგ, ნიკოლოზ II-ისთვის), რომელიც ცნობილი გახდა ალექსანდრე II-ის რეფორმების „დასრულების“ წინადადებით. მისი სატირული რომანები წარმატებით სარგებლობდა მაღალ საზოგადოებაში. 1887 წლიდან გამოსცემდა მთაწარმის მიერ სუბსიდირებულ გაზეთ „Гражданин“-ს. (წყარო: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B5%D1%89%D0%B5%D1%80%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D0%92%D0%BB%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%BC%D0%B8%D1%80_%D0%9F%D0%B5%D1%82%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87)



ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სომხურ ჟურნალ „ტარაზის“ რედაქტორის ტ. ნაზარიანისა, რომელსაც ბრალად ედება, რომ სომხურსავე გაზეთის „არმაგანის“ რედაქტორს ა. იონისიანს ცილი დასწამა. ოლქის სასამართლომ ტ. ნაზარიანს სამის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

ნაზარიანს დაბრალდა, რომ იონისიანს შემდეგი ცილი დასწამა: იონისიანი ატყუებდა თავის გაზეთის ხელის-მომწერლებს, ბანკში ვაჭრებს ძალას ატანდა, ჩემს გაზეთზე ხელი მოაწერეთო, აიღო ასი ათასი მანათი იმ ფულიდგან, რომელ მას ჩააბარეს. ბანკიდგან ფულს რომ აძლევდა ვაჭრებს, ათას თუმნობით სთხოვდა: მასესხეთო. სემინარიის მზრუნველად ყოფნის დროს მასწავლებელს ემუქრებოდა: თუ ჩემს გაზეთში არ იშუშავებთ, სამსახურიდგან დაგითხოვთო. მთელ დამეებს ატარებდა ქაღალდის თამაშობაში, ლოთობაში და გარყვნილობაში და სსგ.

სასამართლო პალატამ ტ. ნაზარიანი დამნაშავედ იცნო და დაამტკიცა განაჩენი ოლქის სასამართლოში, ხოლო მანიფესტების ძალით სამის თვით და პატიმრება ორმოც დღემდე შეუმცირა.

ტფილისის ოლქის სასამართლო გაარჩევს 18 დეკემბერს გაზეთ „კავკაზის“ (P.S. იხ. გვ.: 167) რედაქტორის გამომცემლის ბ-ნი მილუტინის (იხ. გვ.: 179) და ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნი ბანტაძის საქმეს, რომელთაც ნაფიც ვეჭილის თანაშემწე ბ-ნი გავზავა ბრალს სდებს, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამესო.

P.S. „ტარაზი“ — სომხურენოვანი ლიტერატურულ-მნატურული, საზოგადოებრივი ყოველკვირეული ჟურნალი გამოიცა ტფილისში (1890-1919). რედაქტორი-გამომცემელი: **ტიბრან ნაზარბანი**. ძირითადად ლიბერალური პოზიცია ჰქონდა. სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას მეტი ადგილი დაუთმო სომხურ საკითხს. მკვეთრად აკრიტიკებდა ჰამიდის რეჟიმის პროსომხურ პრაქტიკას. დასცინოდა ეგრეთ წოდებულ „კონსტიტუციას“. ჟურნალი გამოემხურა იმ დროის თითქმის ყველა ლიტერატურულ მიმინარეობას. თარგმანში წარმოდგენილი იყო რუსული, ქართული და ევროპული ლიტერატურა. მნიშვნელოვანია „ტარაზის“ როლი მუსიკის, თეატრის, სახვითი ხელოვნების საკითხების გაშუქებისას. სტატიები წარმოაჩენს იმდროინდელი კულტურული ცნობების სრულ სურათს. აქვეყნებდა პრესის მიმოხილვებს, სომეხი რედაქტორებისა და სხვათა საქმიანობას. (წყარო: https://hy.wikipedia.org/wiki/%D5%8F%D5%A1%D6%80%D5%A1%D5%A6_%D5%A9%D5%A5%D6%80%D5%A9)

P.S. „არძაბანკი“ — ყოველკვირეული სომხური გაზეთი გამოიცემოდა ტფილისში (1882-1898). გაზეთში აღწერილი იყო დასავლეთ სომხეთის მდგომარეობა, თურქების ანტისომხური პოლიტიკა და ა.შ. დაწერილებით გააშუქა 1894-1896 წლებში სომხების ხოცვა-ჟლეტა დასავლეთ სომხეთში. გაზეთი ასევე ენებოდა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას, რომლებიც მისდევდნენ საკუთარ ინტერესებს და არაფერს აკეთებდნენ დასავლეთ სომხეთში „მაისის“ რეფორმების განსახორციელებლად. 1895 წლიდან გაზეთის შექმოსვლა თურქეთ-

ში აიკრძალა. დამფუძნებელი-რედაქტორი აბბარ ჰოზანიანი. დაბეჭდილია ჰომ. მარტიროსიანის, შემდეგ მნ. მარტიროსიანის სტამბაში. (წყარო: [https://hy.wikipedia.org/wiki/%D4%B1%D6%80%D5%B1%D5%A1%D5%A3%D5%A1%D5%B6%D6%84_\(%D5%A9%D5%A5%D6%80%D5%A9,_%D4%B9%D5%AB%D6%86%D5%AC%D5%AB%D5%BD\)](https://hy.wikipedia.org/wiki/%D4%B1%D6%80%D5%B1%D5%A1%D5%A3%D5%A1%D5%B6%D6%84_(%D5%A9%D5%A5%D6%80%D5%A9,_%D4%B9%D5%AB%D6%86%D5%AC%D5%AB%D5%BD)))

ნაზარიანი ტიგრან ჰაკობჯანი (29.09.1858-14.09.1926), — სომეხი რედაქტორი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. 1879 წელს შუშაში დააარსა გამომცემლობა. 1881 წელს გადავიდა ტფილისში, გამოსცა საბავშვო ჟურნალი „აღბური“, ყოველკვირეული „ტარაზი“ დანართებით, „კავკასიის დილა“ (1907) და სხვა გაზეთები, წიგნები, კალენდრები, ანთოლოგია, კრებულები, პიესები, არის ესეებისა და საჯარო გამოსვლის სტატიების ავტორი. 1907 წელს წარადგინა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსების ნამუშევრები ლისაბონში ლიტერატურათმცოდნეთა, მხატვართა და მშვიდობის საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე, აირჩიეს ამ ორგანიზაციის საპატიო წევრად. 1915 წელს ტფილისში გახსნა ბავშვთა სახლი „სასწრაფო დახმარება დედა სომეხებს“ და საბავშვო ბაღი „გასპურაკანის სკოლა“. 1919 წელს გაემგზავრა ევროპაში. იყო „აპაგას“ (პარიზი) და სხვა გაზეთების კორესპონდენტი. გამოსცა ლიტერატურული კრებული „თიკა“ (ლაიფციგი, 1922). 1925 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მოაწყო ყარაბაღის დახმარების კომიტეტი ყარაბაღის აღდგენისთვის.

**ტიგრან
ნაზარიანი**



ქიზიყის ბოქაული თავ. ნ. დ. კრისთავი გვთხოვს გამოგაცნადოთ შემდეგი:

„გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-41 №-ში არის დაბეჭდილი, რომ ქიზიყში საქონლის ქურდობა გაფრცვლდათ, ქურდები იქამდის გათამამდნენ, რომ თვით ბოქაულის აივნიდამ თეთრეული ტანისამოსი დაიპარეს“. გთხოვთ სიმაართლის აღსადგენად შემდეგი დამიბეჭდოთ:რა საბუთი აქვს კორესპონდენტს, ასე რიხიანათ რომ ამტკიცებს ქურდობის გაფრცვლებას. მე არ ვიცი, რას მივაწერო: მის ფანტაზიას, თუ სხვა რასმეს ჩემთვის გაუგებარ დაფარულ აზრს.

რაც შეეხება იმედს ბ. კორესპონდენტისას ქურდობის მოსპობაზედ, ვეცდები არ გაუმტყუვნო; მხოლოდ მეც ვიმედოვნებ, რომ ბატონი კორესპონდენტი ფრთას შეაკვეცავს თავის ფანტაზიას და შემდეგში უფრო სწორს და შინაარსიან ცნობებს გაცნობებთ.



ფორმულია



ფოტოგრაფიის გაუმჯობესება

ფოტოგრაფ ბ-ნ როინაშვილთან ჩვენ ვნახეთ მშვენიერად გადაღებული სურათი, რომელსაც ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს. ეს სურათი წარმოადგენს ერთსა და იმავე პირს სხვა-და-სხვა მდგომარეობაში გადაღებულს. ამ სურათში თვით ბ. როინაშვილია გადაღებული ისე, რომ ერთი როინაშვილი ცუდად უბიძგებს მეორეს; მეშტი მოუღერებია მეორესათვის და საშინელი გაბრაზებული უყურებს. მხოლოდ მეორე კაცი, რომელსაც მეშტს უღერებს, იგივე ბ. როინაშვილია და ჯიბეებში ხელს ჩაწყობილი, დამცინავის სახით შეჰყურებს მეორე როინაშვილს; მთლად ეს სცენა ერთს სურათად არის გამოყვანილი. ადამიანი როდესაც დაჰხედავს ამ სურათს, თავის თავს არ უჯერებს, რომ ეს ორივე სახე ერთი და იგივე პირია და გაშტყრებული ძალა-უნებურად აცქერდება ორთავე პირს.

ალექსანდრე როინიშვილი



ალექსანდრე სოლომონის ძე როინიშვილი (ასევე ცნობილი იყო რუსიფიცირებული სახელით ალექსანდრ როინოვი, 1846-11.05.1898) — პირველი ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფი. ქართული ისტორიული ძეგლების განადგურებამ, სამუშაურო ნივთების მიტაცებამ იმ დასვენამდე მიიყვანა, რომ მხოლოდ ფოტოგრაფიით შეიძლებოდა უტყუარი დოკუმენტური მასალის შექმნა. „ისტორიულ ნივთებს ბზარავთ, კმელები იბრძვით, ცხოვრება წინ მიდის, ადამიანის ყოფა-ცხოვრება იცვლება, ფოტოსურათები მაინც დარჩნენ წარსულის საბუთად“. — ამბობდა ხოლმე. გარდა თანადროული საზოგადო მოღვაწეთა ფოტოგრაფირებისა, ასევე თავგამოდებით ეძებდა ძველ მხატვრული

პირების სურათებს, რათა ფოტოკომპოზიციის საშუალებით დადუბისაგან გადაეჩინა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შოთა რუსთველის პორტრეტის დაბეჭდვაც რადგანაც მისი სახეობა ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭედი ხელნაწერი, თითქმის უკვალოდ განადგურებულიყო დროთა განმავლობაში. „**შუშალი რეინკარნაციის ფოტოგრაფიაში ჩვენ ვნახეთ ახლად გადაღებული სურათი შოთა რუსთაველისა. სურათი ფრანგულ გამოცემაში „Caucase putto due“-დან არის ბადონატიანი.**“ მოძრავი „კავკასიური მუზეუმის“ გამართვას 1887 წლიდან შეუდგა. იგი შედგებოდა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმისმატიკური განყოფილებებისაგან. წარმოდგენილი იყო ათასზე მეტი ფოტოსურათი. გამოფენები მოაწყო თეიმურაზშურაში, ასტრახანში, მოსკოვსა და პეტროგრადში. თბილისში სამი ფოტოატელიე ეკუთვნოდა. ის იყო იმ პირველთაგანი, რომელიც იღვწოდა თბილისში კრონოლოგიური მუზეუმის გახსნას. 1886 წლის 22 მაისს თავისი ნაღვაწი სანოტარო წერილით უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: ფოტოგრაფიული სახელოსნები, ნეგატივები, აპარატები, ფოტო სურათები, არქეოლოგიური და ანტიკვარული ნივთები, აგრეთვე კაპიტალი და მოძრავი ქონება. 1905 წელს ფოტოსახელოსნო ა. როინაშვილის მიერ გადაღებულ ნეგატივებთან ერთად გადავიდა ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის საკუთრებაში. 11 წლის შემდეგ ერმაკოვიც გარდაიცვალა. ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით, ერმაკოვის ფოტოგრაფიული მემკვიდრეობა ა. როინაშვილის ნეგატივების ჩათვლით შეიძინა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ თბილისის უნივერსიტეტთან ერთად.

უცხოეთის პრესა

№18/2

*** **

6 ნოემბერი.

ინგლისის გაზეთი „Times“-ის 100 წლის დაარსების დღე იდღესასწაულებს 9 ნოემბერს (ან. სტილის). ამ შემთხვევისათვის ახლად დაიბეჭდა გაზეთის 1 №, ისე როგორც 1796 წ. 9 ნოემბერს იყო დაბეჭდილი. პირველ ნომერში 4 გვერდი იყო, ამასში მეთხუთმედ განცხადებანი იყვნენ დაბეჭდილნი. ამ შემად-კი „Times“-ის საქმე უშველებელი საქმეა და ზოგიერთ შემთხვევაში პატრიარქალური. გაზეთის რედაქციაში და კანტონაში ადგილები მაძიდან შვილზე გადადის ხოლმე; ბევრნი 50 წელს მსახურობენ. ხოლო გაზეთის ხელმძღვანელობა ყოველთვის ახალგაზრდებს აქვთ ჩაბარებული. კხლანდელი დირექტორი, ადმინისტრატორი და ორი რედაქტორი, ოთხივე ერთად, სულ 110 წლისა არიან. დირექტორი რედაქციაში უმაღლესი და უაბელაციო მსაჯულია. იგი თითონ არას სწენს, მხოლოდ საქმეს ყურს უგდებს. უმთავრეს კანტონის და რედაქციის გარდა გაზეთის 20 რეპარტიორი ჰყავს მართო ერთს ლონდონში და 30 საკუთარი კორესპონდენტი საზღვარ-გარედ და მრავალი შემთხვევითი თანამშრომელი.



*** **

№22/4

10 ნოემბერი.

ჩვენს გაზეთში იყო მოყვანილი ცნობა ინგლისურ გაზეთი „Times“-ზე, ეხლა მოგვყავს კიდევ შემდეგი ცნობები.

გაზეთი დააარსა ერთმა მესტამბემ, გვარად ვოლტერმა, 1784 წ. გაზეთის პირველად ერქვა „Daily Universal Register“, მხოლოდ შემდეგ დაერქვა „Times“-ი. ამჟამად „ტაიმსი“ ორ გამოცემად გამოდის: ერთი ყოველ-დღიურია,

რომელშიც 12 გვერდია, თითო გვერდზე 6 სვეტია, თითო სვეტში 194 სტრიქონია და ყოველ სტრიქონში დაახლოვებით 44 ასოა. პირველი და უკანასკნელი ფურცელი განცხადებით უჭირავს; პირველ გვერდზე ინგლისის სახელმწიფო ღერბი აწის. მეორე გამოცემა იბეჭდება კვირაში ერთხელ პარასკეობით და შეიცავს 12 ფურცელსა; შიგ მთავსებულია წერილები, დასტამბული პირველ გამოცემაში და კიდევ ბევრი რამ სხვა. იმ ადგილს ანუ უბანს, სადაც „ტაიმსი“ იბეჭდება, ჰქვიან სიტი, რომელიც თითქმის „ტაიმსს“ ეკუთვნის; ამიტომაც ხშირად შეხვედებით ჟურნალ-გაზეთებში „ტაიმსის“ სახელის მაგივრად „სიტის ორგანოს“. არა მონდება ქვეყანაზედ ისეთი შესამჩნევი რამ, რომ პირველად „ტაიმსმა“ არ გაიგოს და თავის ფურცელზედ არ გამოაცხადოს. 1894 წ. 3 ნოემბერს (ახალ სტილ.) „ტაიმსმა“ დაკარგა თავისი უფროსი რედაქტორი ბ-ნი ჯოჰნ ვოლტერი, შვილის-შვილი დამაარსებლისა. ესლა „ტაიმსის“ უფროსი რედაქტორია მეკენზი უოლიშ, გამოჩენილი პუბლიცისტი და წინანდელი კორესპონდენტი ამავე გაზეთისა.



№35/1
23 ნოემბერი.

*** *** ***

ბერლინი. 20 ნოემბერს, დაიწყო საქმის გარჩევა, რომელიც გამოიწვია გაზეთში დაბეჭდილმა წერილმა. ამ წერილით შეურაცხყოფილ არიან ობერ-გოფმარშალი ეილენბურგი, სტატუს-სეკრეტარი და ფონ-მარშალი და პრინცი ალექსანდრე ჰოგენლოე. გაზეთში დაბეჭდილია რუსეთის იმპერატორის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო და შექმდეგ

სწერია, რომ ვითომ გერმანიაში შეუსაბამო და საიდუმლო მთავრობა იყოს; გარდა ამისა, ნათქვამია, რომ მთავრობაზე ინგლისს გაგ-
 ლენა აქვსო. ბრალდებულნი არიან: ჟურნალ-
 ისტები: ლეკკერტი და ლიუცოვი, გაზეთის
 „Welt“-ის რედაქტორი პლენ-ბერგერი, გაზე-
 თის „Burger“-ის რეპორტერი ფელმერი და
 ვაჭარი ლეკკერტი. მოწმეებად მიწვეულნი არ-
 იან: სტატს-სეკრეტარი ფონ-მარშალი, ლეგია-
 ციონეროტი გოლშტეინი, გალმანი, პრინცი ჰო-
 გენლოუ, ვოლფის სატელეგრაფო სააგენტოს
 დირექტორი, პოლიციის კომისარი ტაუში და
 რამდენიმე ჟურნალისტი. თუმცა მრავალჯერ
 დაკეითნენ, ლეკკერტმა არ დაასანელა ის კაცი,
 ვისგანაც ცნობა მიიღო. იციან მხოლოდ, რომ
 ეს კაცი ბერლინის ერთს სახელმწიფო უწყე-
 ბაში მსახურობს. ლეკკერტმა სთქვა, მე არა-
 ვითარი პირადი საქმე არა მქონია მარშალთან,
 პრინცი ჰოგენლოუსთან, გალემანთან და გოლ-
 შტეინთან და მათ არც-კი ვიცნობო. ბრალ-
 დებულები ამტკიცებს, ბრესლაგში აუდენცია
 მქონდა და ველაბარაკე იმპერიის კანცლერის,
 ხოლო სახელმწიფო მთავარ-პროკურორი ამ-
 ბობს, მე წერილი მაქვს იმპერიის კანცლერისა,
 რომელიც ამბობს, რომ ეგ ტყუილიაო. ბრალ-
 დებულის ვეჭილის თხოვნით, სასამართლომ
 გადასწავიბა გადადებულ იქნას იმპერიის
 კანცლერის ჩვენება იმ დრომდე, ვიდრე ფონ
 მარშალს ჩამოართმევნ ჩვენებას. აღმოჩნ-
 და, რომ ლეკკერტი — ყოფილა დამწერი იმ
 წერილისა, რომელშიაც წარმოთქმულია აწრი,
 ვითომც გრაფ ეილენბურგის წინააღმდეგ
 საქციელი სტატს — სეკრეტარის ფონ-მარ-
 შალის ანუ პრინცის ჰოგენლოუს საქმე იყოს.



№48/3

6 დეკემბერი.

გაზეთი მატარებელში

ბარლიგტონის რკინის გზის საზოგადოებას (ამერიკაში) განუზრახავს ბექტოს მატარებელში ყოველ-დღიური გაზეთი. საგანგებოდ ამისათვის სამს ვაგონს აკეთებენ; ერთში რედაქცია იქნება, მეორეში გაზეთს ააწვობენ და მესამეში დაბეჭდამენ. დეპეშებსა და ახალ ამბებს რედაქცია მიიღებს ყველა სადგურებიდან, სადაც საგანგებო კორესპონდენტებს იყოლიებს.



№48/3

6 დეკემბერი,

ინგლისური გაზეთების აკრძალვა
ოსმალეთში.

30 ნოემბერს ოსმალეთში არავის არ მიუღია არც ერთი ინგლისური ჟურნალი ან გაზეთი. მთავრობას სასტიკად აუკრძალავს ოსმალეთში ინგლისურ ჟურნალ-გაზეთების მიღება.



№48/3

6 დეკემბერი,

ედისონის ახალი გამოგონება

განთქმულს და საქვეყნოდ ცნობილს ედისონს ამ ხანად კიდევ გამოუგონია ერთგვარი მანქანა, რომელსაც უწოდებს ავტოტელეგრაფს. ეგ ავტოტელეგრაფი საოცარ ცვლილებას მოახდენს შეძევში, რადგან ამ მანქანის საშუალებით შეიძლება ყოველ გვარ მანძილზე გადაეცეს ყოველ ნაირი სურათი, როგორც მაგალითად დეპეშას გადასცემენ ხოლმე, მაგრამ ყური დაუგდოთ თვითონ ედისონს, რას ამბობს იგი თავის ახალ გამოგონებაზე: „აწრი ამ მანქანის გამოგონებისა ახალი არ არის; იგი

უკვე კასალამ მოისაზრა, მე მხოლოდ გავაუმჯობესე და დაფარე მას სახელად ავტოტელეგრაფი. მე უფრო ადრე შეგუდებოდი ავტოტელეგრაფის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ყოველი ჩემი დრო მთავანდომე ტელეფონის გაუმჯობესებას. ჩემის ახალის მანქანით შეიძლება, სადაც მოისურვებთ, იქ გადასცეთ რაც გინდა რთული სურათი იყოს. მხატვარი დახატავს თუ არა სურათს, ზედ შემთხვევას ნახატს მანქანის ცილინდრს, დააჭერს ღილს და სურათი მყისვე გამოჩნდება თუნდაც ათასი ვერსის მანძილზე, სწორედ ისე, როგორც დეპეშა გადაეცემა ხოლმე ყოველგვარ სიშორეზე. ამ უამად მე მსურს, რომ მანქანა ადვილ სახმარებლად გავხადო, რათა ყველას შეეძლოს მისი ჯიბით ტარება. საკმარისია ტელეგრაფის აპარატთან დასდგათ, მიაბათ ტელეგრაფის მაფთულს და სადაც გინდათ და რა რიგ სურათიც გნებავთ სწრაფად გადასცეთ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ედისონი მალე ისეთ მანქანას მოიგონებს, რომ ტელეგრაფის მაფთულების საშუალებით ერთმანეთს ხელაფდნენ ევროპიდან ამერიკაში.



ცოტა რამ ავტორ-შემდგენელის შესახებ



მარინე ჟორას ასული დამენია დაიბადა ქ.ზუგდიდში 1963 წლის 23 თებერვლს; 1981 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის №14 საშუალო სკოლა; 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა საბუნებისმეტყველების სკოლა ბუნებისმეტყველების სპეციალობით; 1989 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკური სამრეწველო და სამთავრობო მშენებლის სპეციალობით.

ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, თმისა და სამხედრო ძალების ვეტერანი სხვადასხვა დროს იყო: ქ. ზუგდიდის საბინაო კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბუნებისმეტყველების-მონაგარი; ქ. ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ტექნიკურ განყოფილებაში ხარისხის კონტროლიორი; ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია „კოლხური ნახა“ პრეზიდენტი; „ინტელექტუალთა ჯგუფი — 2011“-ის დამფუძნებელი, თავმჯდომარის მოადგილე, გამგეობის წევრი;

საქართველოს „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ ზუგდიდის ორგანიზაციის პრესამსახურის, პოლიტიკური ორგანიზაცია „ეროვნული თანხმობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის პრესცენტრის თანამშრომელი; პოლიტიკური ორგანიზაცია „სამართლიანი საქართველოსთვის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პრესამსახურის ხელმძღვანელი;

ადგილობრივი და რესპუბლიკური გაზეთების კორესპონდენტი; პასუხისმგებელი მდივანი; საერთაშორისო ტელე-რადიოკომპანია „ეგრაზის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ტელევიზიის დირექტორი; „საქართველოს მასშედის, პოლიგრაფიისა და მასშედიაში მომუშავეთა პროფკავშირების“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის რწმუნებული; 2014 წლიდან საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2014-2017წ. წ.); საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალ „დისკუსიის“ დამფუძნებელი და რედაქტორი (2007-2008); საზოგადოებრივ-სამეცნიერო

ჟურნალ „დისკუსიის“ დამფუძნებელი და რედაქტორი (2019 -). რედაქტორია კლარა ფანუაშვილის წიგნებისა: „ქალი სუსტი — ქალი ძლიერი“ (მემუარები, წერილები, შემოქმედება.) და „სიტყვა მარად ცოცხლობს“; თანაავტორია 2015 წელს გამოცემული წიგნისა „ზუგდიდი — წარსული და თანამედროვეობა“; ავტორია წიგნისა „ზუგდიდი ერთგულ მოძრაობაში“ (წიგნი პირველი). გამოსაცემად მზად აქვს წიგნები: „სამეგრელო-ზემო სვანეთის მედიაისტორია და ჟურნალისტიკის შემოქმედებითი ცხოვრება“, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერები, 1918 წლის 26 მაისი — 1919 წლის 12 მარტი“; „საქართველოს მედიაკალენდარი“ (წიგნი პირველი — გაზეთები); მუშაობს წიგნებზე: „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერები“, „ზუგდიდი ერთგულ მოძრაობაში“ (წიგნი მეორე).

შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა თურქეთის საერთაშორისო ტელეკომპანია „ჰაიათის“ თურქ კოლეგასთან ილქნურ იილმაზთან (წარმოშობით ქართველი), რომელსაც დაეხმარა საქართველოს შესახებ ორი გადაცემის მომზადებაში.

დიდი მონდომებითა და რუდუნებით იკვლევდა ქართულ მედია ისტორიას. წლების განმავლობაში მოძიებულ უნიკალურ სამუზეუმო ექსპონატებზე (რომლებიც არც ერთ სსვა მუზეუმში არ ინახება) დაყრდნობით დააფუძნა პოსტსაბჭოთა კავშირში ერთადერთი „მედია მუზეუმი“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“), სადაც მუშაობს წამყვან სპეციალისტად.

საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითა კავშირმა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა დიპლომით; ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის“ წოდება.

A little about the author-compiler



Marine Damenia was born in Zugdidi on October 23, 1963; In 1981, she graduated from Zugdidi Secondary School N14; In 1982, she graduated with honors from the accounting school with a specialization in accounting; In 1989, she also graduated with honors Zugdidi Polytechnic College with specialization in industrial and civil engineering.

An active member of the national movement, a veteran of the war and military forces at different times was: accountant of the construction and repair department of the Zugdidi housing and communal services; quality controller in the technical department of the Zugdidi porcelain factory; President of Young Creators Association „Kolkhuri Nana“; Founder, deputy chairman and board member of „Group of Intellectuals — 2011“;

An employee of the press office of the Zugdidi organization of the „St Ilia Rightous Society“ of Georgia, the press center of the Zugdidi political organization „National Accord“; Head of Press Service of Samegrelo-Zemo Svaneti region of Political Organization „For a Fair Georgia“;

Correspondent of local and republican newspapers; responsible secretary; Director of the Samegrelo-Zemo Svaneti regional television of the international TV-radio company „Eurasia“; Trustee of the Samegrelo-Zemo Svaneti Regional Organization of `Mass Media, Polygraphy and Mass Media Workers' Unions of Georgia“; Since 2014, member of the Board of the Creative Union of Journalists of Georgia. Founder and editor of the social-political magazine „Discussion“ (2007-2008); Deputy Chairman of the Creative Union of Journalists of Georgia (2014-2017);

Founder and editor of the public-scientific journal „Discussion“ (2019-); She is the editor of Klara Pachuashvili's books: „A Weak Woman — a Strong Woman“ (memoirs, letters, literature) and „The Word Lives Forever“; Co-author of the book „Zugdidi

— past and present“ published in 2015; She is the author of the book „Zugdidi in the National Movement“ (book one). Her book is ready for publication: „Media history of Samegrelo-Zemo Svaneti and creative life of journalists“, „Signatories of the Act of Independence of Georgia, May 26, 1918 — March 12, 1919“; and „Georgian Media Calendar“ (book one — newspapers); She is working on the books: „Signatories to the Act on Restoration of State Independence of Georgia“, „Zugdidi in the National Movement“ (book two).

She had a creative relationship with Ilknur Yilmaz (Georgian by origin), a Turkish colleague of the Turkish international TV company „Hayati“, whom she helped prepare two programs about Georgia.

She researched the history of Georgian media with great zeal and enthusiasm. Based on the unique museum exhibits found over the years (which are not kept in any other museum), she founded the only „Media Museum“ in the post-Soviet Union („Georgian Mass Media and Polygraphy Museum“), where she works as a leading specialist.

The Creative Union of Journalists of Georgia awarded her with a diploma for his contribution to the development of Georgian journalism; She was awarded the title of Honored Journalist of Georgia for his long and fruitful work in Georgian journalism.

Немного об авторе-составителе



Марине Жораевна Дамения родилась в Зугдиди 23 октября 1963 года. В 1981 году окончила среднюю школу №14, г. Зугдиди; в 1982 году с отличием окончила Школу бухгалтерского учета по специальности „Бухгалтер“, в 1989 году она также с отличием закончила Зугдидский политехнический колледж по специальности „Промышленное и гражданское строительство“.

Активный участник национального движения, ветеран войны и вооруженных сил. в разное время была: бухгалтер-учетчик строительно-ремонтного отдела Зугдидского жилищно-коммунального хозяйства; контролер качества в техническом отделе Зугдидского фарфорового завода; президент Ассоциации молодых творцов „Колхури Нана“, учредитель, заместитель председателя, член правления „Группы Интеллигентов - 2011“; сотрудник пресс-службы зугдидской организации „Общество Святого Ильи Праведного“ в Грузии, пресс-центра зугдидской организации политической организации „Национальное согласие“; руководитель пресс-службы региона Самегрело-Земо Сванети политической организации „За справедливую Грузию“; корреспондент местных и республиканских газет; ответственный секретарь; директор регионального телевидения Самегрело-Земо Сванети международной телерадиокомпании „Евразия“; попечитель Региональной организации Самегрело-Земо Сванети „Профсоюзы работников средств массовой информации, полиграфии и средств массовой информации Грузии“; с 2014 года член правления Творческого союза журналистов Грузии; заместитель председателя Творческого союза журналистов Грузии (2014-2017 гг.); основатель и редактор общественно-политического журнала «Дискусия»

(2007-2008 გ.); основатель и редактор общественно-научного журнала „Дискуссия“ (2019 — гг.); редактор книг Клары Пачуашвили: „Слабая женщина — сильная женщина“ (воспоминания, письма, творчество) и „Слово живет вечно“; соавтор книги „Зугдиди — прошлое и настоящее“, изданной в 2015 году; автор книги „Зугдиди в национальном движении“ (книга первая).

Готовы к изданию книги: „Медиаистория Самегрело-Верхней Сванети и творческая жизнь журналистов“, „Подписанты Акта о независимости Грузии, 26 мая 1918 г. — 12 марта 1919 г.“; и „Календарь грузинских СМИ“ (книга первая — газеты), работает над книгами: „Подписанты Акта о восстановлении государственной независимости Грузии“, „Зугдиди в национальном движении“ (книга вторая).

У нее были творческие отношения с Илкнуром Йылмазом (грузин по происхождению), коллегой турецкой международной телекомпании „Хаят“, которому она помогла подготовить две передачи о Грузии.

Она с большим рвением и энтузиазмом исследовала историю грузинских СМИ. На основе найденных за многие годы уникальных музейных экспонатов (которые не хранятся ни в одном другом музее), основала единственный на постсоветском пространстве „Музей СМИ“ („Грузинский музей СМИ и полиграфии“), где работает ведущим специалистом.

Творческий союз журналистов Грузии наградил ее дипломом за вклад в развитие грузинской журналистики. За многолетнюю и плодотворную работу в грузинской журналистике ей присвоено звание Заслуженного журналиста Грузии.





მედიამუზეუმი
(საქართველოს მასშედისა და
პოლიგრაფიის მუზეუმი)
მადლობას უხდის
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.
„ხელოვნებისა და კულტურის
განვითრების ცენტრის“ დირექტორს
ბატონ მანუჩარ სამუშიას
პროექტის მხარდაჭერისა და
დაფინანსებისთვის.

აიწყო და დაჯაბადონდა გამომცემლობა „დისკუსიაში“
ქ. ზუგდიდი, ტელ: 557 567 116



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

